ტენდენციების შესაბამისად; სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტის ფორმულირება სტრატეგიულ პლანში და უახლოეს პერსპექტივისათვის; ეკონომიკის ზრდის ახალი ხარისხი და მისი სოციალური ორიენტაცია; სამეწარმეო და ინვესტიციური საქმიანობის ლიცენზირება; ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა სხვა სახელმწიფოს წინაშე; ფასების შეთანხმებული პოლიტიკის გატარება; მომხმარებლისთვის მწარმოებლებს შორის არსებული კონკურენციის გაძლიერება; ეფექტიანი დასაქმება და მოსახლეობის მიგრაციის რეგულირება; მოსახლეობის სოციალური დაცვა; ბუნების დაცვა და ქვეყნის ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება.

ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფუნქციების განხორციელებაში გამოყენებული უნდა იყოს: საფინანსო-საკრედიტო, საგადასახადო, საბიუჯეტო და ფასწარმოქმნის პოლიტიკა; სამეცნიერო-ტექნიკური, ინვესტიციური და სტრუქტურული პოლიტიკა; დემოგრაფიული და სოციალური პოლიტიკა, მათ შორის შრომისა და ხელფასის დარგში; ეკოლოგიური პოლიტიკა.

ამრიგად, არსებული რეალიების გათვალისწინებით აუცილებელია დამუშავდეს ინვესტიციური ბაზრის სახელმწიფო რეგულირების სისტემა. ამ სისტემამ უნდა მოიცვას შემდეგი ელემენტები: კანონმდებლობის მიღება ინვესტიციური საქმიანობის შესახებ; მიწით და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის და ინვესტიციური საქმიანობის უფლების მინიჭების პირობების შემუშავება; გადასახადებისა და საგადასახადო შედავათების სისტემის მიღება; მიზნობრივი ობლიგაციებისა და სესხების შემოღება-გამოშვება; ბიუჯეტური ინვესტიციების ახალი მიმართულებებისა და მეთოდების გამომუშავება; სახელმწიფო ფინანსური დახმარების გამოყოფა დოტაციების, სუბვენციების, ბიუჯეტური სესხების სახით, სესხების გამოყოფა და შედავათიანი მიზნობრივი დაკრედიტების გამოყენება საინვესტიციო საქმიანობის ყველაზე უფრო პრიორიტეტული მიმართულებებისათვის; ამორტიზაციის პოლიტიკის შეცვლა, მათ შორის ძირითადი ფონდების, მოწყობილობის და ა.შ. დაჩქარებული ამორ-

ტიზაციის გამოყენების სფეროს გაფართოების გზით; ეკოლოგიური, არქიტექტურული და სხვა მსგავსი კონტროლი; ანტიმონოპოლიური ღონისძიებები, რომლებიც რეგიონულ თავისებურებებს გაითვალისწინებს; პროდუქციის ლიცენზირება და კვოტირება; საგანგებო ზომების მიღება ბაზრის ფორმირების პერიოდში, საზოგადოებრივად გამართლებული დროებითი შეზღუდვების შემოღება; ქვეყნის გარეთ კაპიტალის დაბანდების წახალისება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ჩვენი წარმოდგენით, ამაჯერად ყველაზე უფრო აქტუალურია ინვესტიციური ბაზრის ფორმირების პირველი რიგის ღონისძიებებისა და გზების განსახდერის პრობლემა. თანამედროვე მდგომარეობის და დასახულ ღონისძიებათა საბოლოო მიზნების გათვალისწინებით, ინვესტიციურ სფეროში ბაზარზე გადასვლის ძირითადი, კონცეპტუალური საფუძვლები ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

- აუცილებელია, თავისუფალი მეწარმე-ინვესტორების (ე.ი. დამკვეთთა) გაჩენის უზრუნველყოფა. დამკვეთთა ახალი ტიპი ხელს მოჰკიდებს არა უფასო სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებას, არამედ იზრუნებს ამა თუ იმ პროექტში თავისი (ან ნასესხები) სახსრების ეფექტიანად დაბანდებაზე. თანაც ის იქნება სავსებით თავისუფალი და მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი;

- განსახელმწიფოებრიობით და მეწარმეობის განვითარებით ჩნდებიან თავისუფალი მეწარმე-დამკვეთები. ამის უზრუნველყოფა შეიძლება სამშენებლო კომპლექსის საწარმოთა აქტიურად გარდაქმნით სააქციო საზოგადოებებად, მეწარმეობის სხვა ეფექტიან ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებად;

- ინვესტიციური საქმიანობის თავისუფალი სუბიექტების ფუნქციონირება შეუძლებელია შესაბამისი საბაზრო ინფრასტრუქტურის გარეშე. მისი განვითარება გულისხმობს კომერციული ბანკების ქსელის, ბირჟების, სავაჭრო სახლების, ტენდერული კომიტეტების, საშუამდგომლო, სარეკლამო და სადაზღვევო ფირმების შექმნას, საკრედიტო, სადაზღვევო და აუდიტორული

სისტემების განვითარებას, საგირაუნო ურთიერთობათა შემოღებას და ა.შ.

- ნებისმიერი თავისუფალი ეკონომიკა გულისხმობს საბაზრო ურთიერთობათა სახელმწიფო რეგულირებას. შესაძლოა, ეს იყოს შემოთავაზებული კონცეფციის ყველაზე აქტუალური ბლოკი, რადგანაც განახლების წარმართვის პარალელურად აუცილებელია მართვის ძველი სისტემის დემონტირება;

- ინვესტიციური ბაზრის ფორმირების კონცეფციის განხორციელება შეუძლებელია ახალი ადამიანების, ახალი ცოდნის, გამოცდილებისა და ჩვევების გარეშე. თუ რეალიებიდან გამოვალთ, ამ ბლოკს წამყვანი როლი ეკუთვნის, თუკი ამის უკან ვიგულისხმებთ კადრებისათვის საბაზრო ეკონომიკისა და მართვის ინტენსიურად და მასობრივად სწავლებას;

- და ბოლოს, წარმატების აუცილებელი პირობაა კრედიტის, ფასიანი ქაღალდების, ვალუტის, სამუშაო ძალის, საპროექტო და სხვა მომსახურების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ბაზრების განვითარების ოპტიმალური, ურთიერთშესაღარიბის ტემპები. ჩანს, რომ გარდამავალ პერიოდში საჭირო გახდება მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ბაზრის მეთვალყურეობისა და რეგულირების განსაკუთრებული სისტემა, სახელმწიფო შეკვეთების მშენებლობათა რესურსებით გარანტირებული მომარაგების შემოღება.

ხელისუფლებამ უნდა იტვირთოს განვითარების პროცესის ხელშეწყობის როლი, რადგანაც მისი ფუნქციაა ერთმანეთს შეუსაბამოს სიმძლავრეები და რესურსები. ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ამ ღონისძიებების გადაუდებელი აუცილებლობა, რომლებიც ადამიანური კაპიტალის შესაქმნელადაა საჭირო, განათლებისა და ინფრასტრუქტურების სახით [3]. გარდა ამისა, მთავრობას ევალება ინვესტიციებისათვის ბარიერების მოხსნისა და უფრო კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შესაქმნელად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები: - ხელი შეუწყოს შემოსავლის უფრო სამართლიან განაწილებას. ეკონომიკური ზრდის, სოციალური სტაბილურობისა და ბაზრების გაფართოებისათვის საჭიროა საშუალო ფენის არსებობა, რომე

ლიც შედგება კარგად განათლებული და კარგად ანაზღაურებული სპეციალისტებისაგან; გაუმჯობესდეს სწავლისა და ტრენინგისათვის საჭირო საშუალებები. ეს გამოიწვევს უმუშევრობის შემცირებას, სამუშაო ძალის განვითარებას სოციალურ-ეკონომიკურ კიბეზე და უზრუნველყოფს შესაბამისი პროფესიონალების არსებობას; მოისპოს, ან მინიმუმამდე დავიდეს კორუფციის შესაძლებლობები. ბევრ ახლად შექმნილ ბაზარს ახასიათებს ფართოდ გავრცელებული კორუფცია, ამ შემთხვევაში ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების ინტერესები თანხმდება; ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს, თუ რისთვისაა საჭირო უცხოური ინვესტიციები.

ამრიგად, გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: თანამედროვე რეგულირების სისტემა საბაზრო და ადმინისტრაციული მეთოდების სინთეზია, მათი პროპორცია კი კონკრეტულ ვითარებაზეა დამოკიდებული. რაც უფრო მწვავეა სიტუაცია, რაც უფრო სერიოზულია კრიზისი, მით უფრო მაღალია ეკონომიკური რეგულირების სახელმწიფოებრივი მეთოდების როლი და მნიშვნელობა და პირიქით – რაც უფრო სტაბილურია ვითარება, მით უფრო მაღალია რესურსების განაწილების საბაზრო მექანიზმების როლი, ოღონდ სახელმწიფო მაინც ინარჩუნებს გარკვეულ ფუნქციებს ეკონომიკური და სოციალური რეგულირების სფეროში. ეს გასაგებიცაა: სახელმწიფოებრივი რეგულირების სიდიდე და სიმკაცრე წრფივადაა დამოკიდებული მინიმუმ ორ ფაქტორზე: ჯერ ერთი, არსებული რესურსების სიდიდეზე და, მეორე, მოქმედი კაპიტალისა და საზოგადოებრივი კვლავწარმოების წინააღმდეგობებისა და დეფორმაციების სიმწვავეზე.

ამასთან დაკავშირებით, არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი კაპიტალის ნორმალური სტრუქტურის და ეკონომიკის ყველა დარგში კვლავწარმოების პირობების აღდგენას. ეს რთული ამოცანაა, მოითხოვს საკმაოდ დროს და მკაცრ სახელმწიფოებრივ რეგულირებას მთელი ამ დროის მანძილზე. აქედან ყველაზე უფრო არსებითად მიგვაჩნია ღონისძიებათა შემდეგი სამი ბლოკი: პირველი, ძირითადი კაპიტალის და, პირველ რიგში, მისი აქტიური ელემენტების კვლავწარმოების პი-

რობების აღდგენა. ამ მიზნით აუცილებელია წმინდა პროდუქციის ნაწილის დარგთაშორისი გადანაწილების ოპტიმიზირება ფასების სისტემის მეშვეობით და კაპიტალდაბანდებათა საერთო-საზოგადოებრივი სისტემის ჩამოყალიბება სხვადასხვა ფორმით, რომელთა შორისაცაა სპეციალური საინვესტიციო ბიუჯეტი და ამ დარგში საგადასახადო და საკრედიტო შეღავათების სისტემა; მეორე, საზოგადოებრივი კაპიტალის ფულად-სასესხო ნაწილის აღდგენა. ეს დიდ დროს მოითხოვს და დამოკიდებულია ნამდვილი კაპიტალის აღდგენისა და კვლავწარმოების მსვლელობაზე, აგრეთვე, საზღვარგარეთ კაპიტალების გადინების დამამუხრუჭებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე; მესამე, შემოსავლების განაწილების დეფორმირებული სტრუქტურის ფორსირებულად მოდერნიზებაზე, რადგანაც არსებული სტრუქტურა მჭიდროდ უკავშირდება დანაზოგებისა და მათი გამოყენების დეფორმირებულ სისტემას და მკაცრად ზღუდავს როგორც პირად სამომხმარებლო, ისე საინვესტიციო მოთხოვნას.

ამ ასპექტით დიდი მნიშვნელობა აქვს საბიუჯეტო დაფინანსების სისტემას, მის როლს წმინდა ან საბოლოო პროდუქციის ნაწილის გადანაწილების საქმეში. აშკარაა, რომ ამის მასშტაბები სხვადასხვა ქვეყანაში ერთნაირი არ იქნება და ეს პირველ რიგში დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე, მის კონკრეტულ ეტაპზე და გადასატრედი პრობლემების ხასიათზე. არსებითი მნიშვნელობის მქონეა ის, თუ რა პრინციპებზე იქნება აგებული საბიუჯეტო მექანიზმი, მისი შემოსავლების მობილიზაცია და მათი განაწილებისა და გამოყენების სისტემა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი მთლიანად საზოგადოების ინტერესებზეა დაქვემდებარებული თუ დიდი ბიზნესის გაბატონებული წრეების ჯგუფურ ინტერესებს ანიჭებს უპირატესობას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემის განმტკიცება და მისი ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის დონის ამაღლება. ეს იმიტომ, რომ სახელმწიფომ სერიოზულად შეასუსტა, ხშირ შემთხვევა-

ში კი საერთოდ თქვა უარი მისი ამ უალტერნატივო ფუნქციების შესრულებაზე. ეკონომიკაში სერიოზულად დაქვეითდა მართვადობის დონე, ხოლო თუ სადმე და ოდესმე ხდებოდა ეკონომიკის რეგულირება, ეს პირველ რიგში მიმართული იყო არა მდგრადად და დაბალანსებულად განვითარებისთვის პირობების შექმნისკენ, არამედ ცალკეული ოლიგარქიული ჯგუფების ინტერესებით იყო ნაკარნახევი. ფაქტები გვიჩვენებს, რომ რეფორმების ვითარებაში სწრაფად გამდიდრების ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო შესაბამის მუწარმეთა წრეების სიახლოვე და მათი კავშირები სახელმწიფო აპარატთან და, პირველ რიგში, მისი უმაღლესი ეშელონების მოხელეებთან. ბიუროკრატის ტოტალური კორუმპირებულობა ეკონომიკური რეფორმების იმანენტურ ნიშან-თვისებად იქცა. მაშასადამე, საუბარია კერძო ბიზნესისა და საერთოეროვნული, საერთოსახელმწიფოებრივი ინტერესების თანაფარდობაზე. კრიზისიდან თავის დასაღწევად სასიცოცხლოდ აუცილებელია, კერძო კაპიტალის ინტერესები საერთოეროვნულს დაექვემდებაროს, რადგანაც ამის საპირისპირო ვარიანტი გზას უკეტავს კრიზისიდან გამოსვლას.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, წინათ გამოყენებულ სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკას არ აღმოაჩნდა იმ ამოცანების გადაჭრის უნარი, რომლებიც უკავშირდებოდა რეფორმების პროგრამის რეალიზებას, უმცირეს ეკონომიკურ დანახარჯებს და სოციალურ დანაკარგებს. უფრო მეტიც, ეს პოლიტიკა იმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გამოდგა, რომელმაც გააღრმავა და გააჭიანურა კრიზისი. ამ დროს დამღუპველი როლი ითამაშა ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლების მიერ გაგებულ მონეტარისტული მოდელის ერთგულებამ. საქმე ისაა, რომ საბაზრო მექანიზმებით გამოწვეული კრიზისიდან გამოსვლა შეუძლებელია ისევ და ისევ და მხოლოდ რეგულირების მეთოდების მეშვეობით.

მსოფლიო გამოცდილებამ დაადასტურა და მრავალრიცხოვანმა თეორიულმა გამოკვლევებმაც გვიჩვენა (კეინსური მიდგომებით დაწყებული და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტების ბოლოდროინდელი კვლევებით

დამთავრებული), რაც უფრო ნაკლებია არსებული რესურსების მოცულობა, მით მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს და მის ეკონომიკური რეგულირების ორგანოებს: სწორედ მათი ვალია შეზღუდული რესურსების რაციონალურად, ეკონომიკურად და სოციალური თვალსაზრისით სწორად განაწილება და გამოყენება, რადგანაც ამ ამოცანის შესრულება არ ძალუძთ წმინდა საბაზრო მექანიზმებს.

ლიტერატურა:

1. მოლქერი კ. ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი საკანონმდებლო სტრუქტურები. *ეკონომიკური რეფორმები დღეს*, 1999, № 1.
2. Маркс К., Энгельс Ф. Соч. – 2-е изд. т-37.
3. ვერნორი რ. სახელმძღვანელო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. *ეკონომიკური რეფორმები დღეს*, 1999, № 1.
4. ოთინაშვილი რ. სახელმწიფო რეგულირების თავისებურებები. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი. 2001, № 62.
5. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2000.
6. ასათიანი რ. საქართველოს ფინანსური კრიზისი და ტრანზიტული პროცესების მაკროეკონომიკური რეგულირება. – შრომები: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2000.

DEVELOPMENT OF STATE INFLUENCE FORMS AND METHODS ON THE INVESTMENT MARKET

Lamara Qoqiauri

I. Javakhishvili Tbilisi State University

2, University St, 0102, Tbilisi, Georgia

Summary. Methodological problems of State regulation function and the development of investment market is a part of the system methods of regulation in whole investment sphere, which in it's turn mustn't be considered a part from the problems of State regulation in whole economics. The mechanism of State regulation economics has Shaky and evolutionary character.

During the last ten years interchangment process of State regulation types on the basis of new unconservative conception is obvious. The cause of denationalization and deregulation is pursued – replacing one kind of property for with another. At the same time State deviation from the regulation is still observed.

In the market conditions high role of the State in the process of capitalization is caused by uncertainly of expectation especially concerning to the long – term contribution of means.

In general – nowadays investment difficulties existed in Georgia is to be overcome by immediate collaboration of government, in public wealth saving process, as an initiator and guarantee.

Government should take as a direct part in investment process as well as indirect in the process of finance regulation.

In this case it'll be possible to finish production assignation, to raise investment activity and increase economic stability.

РАЗВИТИЕ ФОРМ И МЕТОДОВ ГОСУДАРСТВЕННОГО ВОЗДЕЙСТВИЯ НА ИНВЕСТИЦИОННЫЙ РЫНОК

Ламара Кокнаური

Тбилисский Государственный Университет

им. И. Джавахишвили

Тбилиси, 0102, ул. Университетская 2

Резюме. Методологические проблемы государственного управления, функционирования и развития инвестиционного рынка являются частью системы методов регулирования всей инвестиционной сферы, которые, в свою очередь, нельзя рассматривать в отрыве от проблемы государственного регулирования всей экономики.

В инвестиционной сфере в последнее десятилетие происходит смена типа государственного регулирования на базе новых неоконсервативных концепций. Проводится курс на денационализацию и дерегулирование, смену одной формы собственности другой. При этом наблюдается отход государства от всеобъемлющего регулирования.

В условиях рынка повышение роли Государства в процессе капиталообразования обусловлено неопределенностью ожиданий субъектов рынка, особенно в отношении результатов долгосрочного вложения средств, и, как следствие, слабой устойчивостью предлагаемых показателей состояния товарных рынков и тем более рынка капитала. Ожидаемая финансовая конъюнктура может быть «подказана» в итоге целенаправленного государственного вмешательства. Последнее связано как с прямым участием государства в инвестиционном процессе, так и косвенным регулированием финансовых потоков.

На сегодняшний день существующие в Грузии инвестиционные барьеры преодолимы при прямом участии государства в качестве инициатора, и гаранта. Тогда удастся покончить с производственной стагнацией и повысить инвестиционную активность, также устойчивый экономический рост.

ადრიცხვის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი ახალი ანგარიშთა გეგმის მიხედვით

ლევან გრიგალაშვილი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
 0162, თბილისი, ირ. აბაშიძის ქ. №70

შემოვიდა: 2003 წლის 20 ივლისს

რეზიუმე. სტატიაში აღნიშნულია, რომ ბუღალტრული ადრიცხვა-ანგარიშგების ნორმატიული რეგულირების სფეროში ანგარიშთა გეგმას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. განვიხილოთ პერიოდში მისი სტრუქტურა რამდენჯერმე შეიცვალა. ანგარიშთა გეგმა გარკვეულწილად ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასაც კი ასახავს.

საქართველოში საბუღალტრო ადრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლამ გამოიწვია შესაბამისი ანგარიშთა გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების აუცილებლობა; ახალი ანგარიშთა გეგმის დამახასიათებელ თავისებურებად მიიჩნევა ის, რომ მასში აღარ არის აქტიურ-პასიური ანგარიშები, გაზრდილია ანგარიშთა რაოდენობა, აქტივები და პასივები წარმოდგენილია პერიოდიზაციის პრინციპით; მატერიალური მარაგების ადრიცხვაში გამოყენებულია მუდმივი და პერიოდული მეთოდები, აგრეთვე ხარჯების ეკონომიკურ და ფუნქციონალური კლასიფიკაცია; საწარმოებს უფლება ენიჭებათ თავიანთი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემოიღონ დამატებითი ანგარიშები და სხვ.

ავტორი მიუთითებს ანგარიშთა გეგმის ზოგიერთ ნაკლოვანებაზე, კერძოდ, „საეჭვო მოთხოვნების კორექტირების“ ანგარიშში აქტიური ანგარიშების ჯგუფში არ უნდა იყოს შეტანილი, ხოლო დაუმთავრებელი წარმოების ანგარიში შეტანილი უნდა იყოს „საოპერაციო ხარჯების“ ჯგუფში. ძირითადი საშუალებების ცვეთა წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი ანგარიშით. ფი-

ნანსური იჯარით აღებულ ძირითად საშუალებებს მიკუთვნებულ
 უნდა ჰქონდეს ცალკე ანგარიში და ა. შ.

შემოთავაზებული წინადადებების განხორციელება თავის
 მხრივ ხელს შეუწყობს აღრიცხვის გამარტივებას და აამაღ-
 ლებს მიღებული ინფორმაციის სანდოობის დონეს.

* * *

ბუღალტრული აღრიცხვა როგორც მეცნიერება და პრაქტი-
 კული საქმიანობა დიდი ხნის წინათ წარმოიშვა, რომელსაც სა-
 ფუძველი ცნობილმა იტალიელმა მოღვაწემ ლუკა პაჩოლიმ და-
 უდო. საბუღალტრო აღრიცხვაში ანგარიშთა გეგმას, ანუ ანგა-
 რიშთა გარკვეულ სისტემას უმთავრესი ადგილი უჭირავს. ფარ-
 თო გაგებით ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშთა გეგმის (სის-
 ტემის) გარეშე პრაქტიკულად არ არსებობს.

საქართველოში საბუღალტრო აღრიცხვის მწყობრ სისტე-
 მად ჩამოყალიბებას დიდად შეუწყო ხელი რუსეთში აღრიცხვის
 განვითარებამ. თავად რუსეთში კი ორმაგი ბუღალტერიის იდე-
 ით დაინტერესება, როგორც ამას ცნობილი რუსი მეცნიერი,
 ბუღალტრული აღრიცხვის ისტორიის მკვლევარი პროფესორი
 ი. სოკოლოვი წერს XVIII საუკუნეში შეინიშნება [1]. ეს მას
 შემდეგ, როცა სამი წიგნი გადმოითარგმნა: ფრანგულიდან –
 „ტორგ ამსტერდამსკი“, ინგლისურიდან – „კომერციის გასაღები“
 და გერმანულიდან – „დარიგებანი რუსი ვაჭრებისათვის.“

საბჭოთა პერიოდში და მის შემდეგ ბუღალტრული აღრიც-
 ხვის ანგარიშთა გეგმა გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა.
 ასე მაგალითად, 20-იანი წლების შემდეგ იგი გამოიცა 1940
 1955, 1985, 1992 წლებში. საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეკო-
 ნომიკის სფეროში გამოცემულ ნორმატიულ აქტებს შორის ან-
 გარიშთა გეგმა ზოგადად ჩვენი აზრით, უნიკალური დოკუმენ-
 ტია, რომლის მნიშვნელობაც საწარმოს საქმიანობის გაშუქები-
 სას განუზომლად დიდია. თუ სხვადასხვა პერიოდის ანგარიშთა
 გეგმის სტრუქტურებს ერთმანეთს შევადარებთ, ნათლად იკვე-
 თება, რომ იგი ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას, მაგა-

ლითად, 1930 წლიდან სსრ კავშირის ყველა ოფიციალურ საბუღალტრო დოკუმენტში ტერმინი „კაპიტალი“ ამოღებული იქნა და იგი შეიცვალა „ფონდით.“ საქართველოს სინამდვილეში აღნიშნული ტერმინი ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმაში 1997 წელს კვლავ აღსდგა.

1999 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების შესახებ.“ ამ კანონით ოფიციალურად საქართველოს სტანდარტებად აღიარებული იქნა საერთაშორისო სტანდარტები. ამან თავის მხრივ გამოიწვია ახალი ანგარიშთა გეგმის მიღების აუცილებლობა, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა საერთაშორისო სტანდარტებთან. უნდა აღინიშნოს, რომ საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში არაფერია ნათქვამი ანგარიშთა გეგმის შესახებ (მაშინ როდესაც მოცემულია ბალანსის, მოგება-ზარალის ანგარიშის, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის ზოგადი სტრუქტურები), რაც ერთერთ ნაკლოვან მხარედ უნდა მივიჩნიოთ.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით ცალკეულ საწარმოს შეუძლია დამოუკიდებლად შეიმუშაოს მისთვის საჭირო ანგარიშთა გეგმა, მაგრამ დღევანდელ პირობებში, საქართველოში ეს ვერ გაამართლებს, ამიტომ ტიპიური ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის შემოღება ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტთან არსებულმა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიამ 1999 წლის 12 აგვისტოს დაამტკიცა ახალი ანგარიშთა გეგმა, რომელიც განსხვავებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 1992 წელს დამტკიცებული ანგარიშთა გეგმისაგან.

იმისთვის, რომ უფრო უკეთ დავახასიათოდ ანგარიშთა გეგმის დადებითი და უარყოფითი მხარეები, უპრიანია მიმოვიხილოთ წინამორბედი.

1992 წლის ანგარიშთა გეგმისათვის დამახასიათებელია, რომ იგი ძირითადად ემყარება ადრე მოქმედი ანგარიშთა გეგმის სტრუქტურებს, 75 პირველი რიგის ანგარიშს, ამდენივე მე-

ბის თანმიმდევრობაში შეიძლება არსებული წესის შენარჩუნება, რომელიც გააიოლებდა მის გამოყენებას.

განვიხილოთ ანგარიშთა ცალკეული ჯგუფები. ფულადი საშუალებები მოცემულია 1100 და 1200 ჯგუფის ანგარიშებში, რომელიც დაყოფილია ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში გამოსახულ საშუალებებად. აქ სიახლეს წარმოადგენს უცხოური ვალუტის აღრიცხვა განთავსების მიხედვით, რომელიც დადებით მომენტად უნდა მივიჩნიოთ. ამასთანავე მეტი ინფორმაციულობის მიზნით უპირანი იქნება ამ ჯგუფში შემოდებული იქნეს ისეთი ანგარიშები, როგორიცაა აკრედიტივები, საჩეკო წიგნაკები, ფულადი დოკუმენტები, ფულადი საშუალებები გზაში.

1300 და 2400 ჯგუფის ანგარიშები მოცემულია შესაბამისად „მოკლევადიანი“ და „გრძელვადიანი“ ინვესტიციების სახელწოდებით. ეს სახსრები ფაქტიურად წარმოადგენენ ფინანსურ დაბანდებებს, ამიტომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონთან და წინამორბედ ნორმატიულ აქტებთან ტერმინოლოგიური თავსებადობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათ ეწოდოს „მოკლევადიანი“ და „გრძელვადიანი“ ფინანსური დაბანდებანი.

მოკლევადიანი მოთხოვნების ჯგუფში მოცემულია ანგარიშში 1415 „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება.“ ამ ანგარიშის ფუნქციას მოქმედი ანგარიშთა გეგმით ასრულებდა 82 ანგარიშში „საეჭვო ვალების რეზერვი.“ მიგვაჩნია, რომ საეჭვო ვალები მოთხოვნების სახით არ უნდა იყოს წარმოდგენილი. ამ ანგარიშის ფუნქცია რეზერვების შექმნაა სამეურნეო წლის მოგებიდან, რომელიც ერთის მხრივ, ნიშნავს დაზღვევას მოსალოდნელი ზარალისაგან, მეორეს მხრივ, ზღუდავს დივიდენდების გაცემას ფინანსური სიძნელეების თავიდან აცილების მიზნით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იგი მოკლევადიანი მოთხოვნების 1400 ჯგუფიდან გადატანილ უნდა იქნეს 5400 ჯგუფში, მიეკუთვნოს შიფრი 5440 და ეწოდოს „საეჭვო მოთხოვნების რეზერვი“. გარდა ამისა, ანგარიშთა გეგმის განმარტებაში აღნიშნულია, რომ იგი არის პასიური ანგარიში. აქედან გამომდინარე,

იგი აქტიური ანგარიშების ჯგუფში არ უნდა იყოს წარმოდგენილი.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოცემულია 1600 ჯგუფში, რომელიც თავის მხრივ წარმოდგენილია „საქონლის“, „ნედლეული და მასალების“, „დაუმთავრებელი წარმოების“, „მზა პროდუქციის“ და „სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგების“ ანგარიშებით.

აღსანიშნავია, რომ საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში და შესაბამისად ახალ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმაში მოცემული არ არის ბრუნვაში მყოფი ისეთი ფასეულობების აღრიცხვის წესები, როგორცაა მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები. მათი რაოდენობა ზოგჯერ დიდ თანხებს აღწევს. ამიტომ ჩვენი აზრით საჭიროა „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები“ ანგარიშთა გეგმაში და შესაბამისად ბალანსშიც ცალკე მუხლების სახით იყოს წარმოდგენილი.

უპრიანია ცალკე შევჩერდეთ „დაუმთავრებელი წარმოების“ ანგარიშის „სასაქონლო-მატერიალური მარაგების“ ჯგუფში გაერთიანების საკითხზე. საქმე იმაშია, რომ დაუმთავრებელი წარმოების სტრუქტურა თავისი ეკონომიკური შინაარსით მარტო მატერიალურ საშუალებებს არ მოიცავს. დანახარჯების აღრიცხვის მეთოდებიდან გამომდინარე (მუდმივი თუ პერიოდული) იგი შეიძლება მოიცავდეს შრომის ანაზღაურების თანხებს, სოციალური დაზღვევის ანაზღაურებებს, ძირითადი საშუალებების ამორტაზაციას და ა.შ. აქედან გამომდინარე „დაუმთავრებელი წარმოების“ ანგარიში შეტანილი უნდა იქნეს არა „სასაქონლო-მატერიალური მარაგების“, არამედ საოპერაციო ხარჯებში „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ჯგუფში.

ძირითადი საშუალებების ჯგუფში მოცემულია ცხრა დასახელების ანგარიში. ამდენივე ანგარიშია განკუთვნილი ძირითადი საშუალებების ცვეთის აღსარიცხავად. მიგვაჩნია, რომ ისინი ერთი ანგარიშით იქნეს წარმოდგენილი, მაგრამ, თუ მაინც ცალ-ცალკე ანგარიშებს გამოვყოფთ, საჭიროა ლიზინგით აღებული ძირითადი საშუალებების გამოყოფა, რადგან, ასეთი ინ-

ფორმაცია არანაკლებ საინტერესოა საბაზრო ურთიერთობათა პირობებში. შესაძლებელია აგრეთვე „არამატერიალური აქტივებისა“ და „არამატერიალური აქტივების ცვეთის“ ანგარიშების გაერთიანება ცალ-ცალკე ერთი ანგარიშის სახით.

ანგარიშთა გეგმაში განსაკუთრებულ სიახლეს წარმოადგენს ფინანსური შედეგების განსაზღვრის მექანიზმი მატერიალური მარაგების მუდმივი და პერიოდული აღრიცხვის პირობებში. საჭიროა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ბუღალტრული აღრიცხვა მატერიალური მარაგების მუდმივი აღრიცხვის პრინციპს იყენებდა. მარაგების აღრიცხვის ორ ზემოაღნიშნულ მეთოდთან უშუალოდაა დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვის მეთოდები. პირველ შემთხვევაში გამოიყენება „დანახარჯების ფუნქციური მეთოდით აღრიცხვა“, ხოლო მეორეში „ეკონომიკური შინაარსის მიხედვით“ აღრიცხვა.

ფუნქციური დანიშნულების მიხედვით აღრიცხვა გულისხმობს მათ ანგარიშებში დაჯგუფებას წარმოების ტექნოლოგიური პროცესებისა (მაგალითად ძირითადი წარმოება, დამხმარე წარმოება და ა. შ.) და წარმოების სახეების მიხედვით.

ეკონომიური შინაარსის მიხედვით, დანახარჯების დაჯგუფება გულისხმობს ისეთ ელემენტებს, როგორცაა პირდაპირი ხარჯები მასალებზე, პირდაპირი ხარჯები ხელფასზე და სხვა.

ამ მეთოდებით აღრიცხვისათვის შემოღებულია ანგარიშთა სპეციალური ჯგუფები. პირველ შემთხვევაში აღრიცხვის მეთოდოლოგია იგივეა, რაც აქამდე მოქმედი ანგარიშთა გეგმით იყო გათვალისწინებული. კერძოდ, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების საკალკულაციო ანგარიშებად გამოყენებული იქნება 1630 ანგარიში – „დაუმთავრებელი წარმოება“, ხოლო ადმინისტრაციული სამმართველო ხარჯების აღსარიცხავად შეიძლება გამოყენებულ იქნეს 7400 ანგარიში იგივე დასახელებით – „ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯები“.

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ანგარიშთა დაჯგუფებისა და ფინანსური შედეგების განსაზღვრის პრაქტიკის დაწესების პირველი მცდელობა საქართველოში იყო „მეწარმეთა შესახებ“ კანონში განსაზღვრული წესების შემოღება. იგი კა-

ნონით კი იქნა მიღებული, მაგრამ, არ არსებობდა შესაბამისი აღრიცხვის სისტემა. ამის გამო ამ მეთოდმა საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ ზოგადი დასკვნა, რომ, როდესაც ამა თუ იმ სფეროში რეფორმას ვახორციელებთ და სიახლე შემოგვაქვს, ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ და სათანადო მექანიზმებიც შევქმნათ, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგი არ იქნება.

ორივე ზემოაღნიშნულ მეთოდს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. მაგალითად, ფუნქციური მეთოდით ხარჯების აღრიცხვისას მათზე კონტროლის განხორციელების მეტი შესაძლებლობები არსებობს. დაინტერესებულ მხარეს შეუძლია ნებისმიერ მომენტში განსაზღვროს მატერიალურ ფასეულობათა ნაშთები და ა.შ. ეკონომიკური დანიშნულებით ხარჯების აღრიცხვისას მარაგების ოპერატიული მართვა ძნელდება და კონტროლის დამატებითი მექანიზმებია საჭირო, სამაგიეროდ იგი ტექნიკური თვალსაზრისით მარტივია და ნაკლებ შრომით დანახარჯებს მოითხოვს. ამის შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში აღნიშნულია, რომ „ამ მეთოდის გამოყენება მოსახერხებელია ძალიან მცირე საწარმოებში“ [3]. იგივე აზრს გამოთქვამენ პროფ. რ. მიულენდორფი და მ. კარენბაუერი— „ამ მეთოდის გამოყენება იმ საწარმოებში, რომლებიც რამდენიმე სახის პროდუქციას უშვებენ, არ იძლევა საშუალებას განისაზღვროს მოგება პროდუქციის ცალკეული სახეების მიხედვით, ამიტომ, იგი სასარგებლოა მხოლოდ იმ საწარმოებში, რომლებიც ერთი დასახელების ნაწარმს ამზადებენ“ [4].

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხარჯების აღრიცხვისათვის ანგარიშთა გეგმაში გათვალისწინებულია 7100 „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება“ და 7200 „რეალიზებული საქონლის თვითღირებულება“ ჯგუფის ანგარიშები. აქ მთავარი პრინციპი ის არის, რომ ხარჯებად აღიარებულია არა უშუალოდ დახარჯული მასალები, ნედლეული, საქონელი და ა.შ., არამედ მათ შენაძენზე გაწეული ხარჯები. აღნიშნული საკითხები ჩვენს ეკონომიკურ ლიტერატურაში სათანადოდ არ

არის გაშუქებული. ახალი ანგარიშთა გეგმის მიხედვით ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგი მეთოდოლოგია: „შექმნილი საქონელი“ აისახება 7210 ანგარიშის „გაყიდული/შექმნილი საქონელი“ დებეტში და შესაბამისი მოკორესპონდენტო ანგარიშის კრედიტში. საანგარიშო პერიოდის ბოლოს საქონლის ინვენტარიზაციის საფუძველზე ახდენენ საქონლის ნაშთის დადგენას. თუ საქონლის ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოს მეტია ვიდრე ის იყო პერიოდის დასაწყისში, ნამეტი თანხა აისახება 1610 ანგარიშის „საქონელი“ დებეტში და 7290 ანგარიშის „მარაგის კორექტირება“ კრედიტში. იმავედროულად მარაგის კორექტირების ანგარიში და შექმნილი საქონელის ანგარიში იხურება „მოგება-ზარალის“ ანგარიშთან კორესპონდენციით, რითაც ვლინდება საბოლოო ფინანსური შედეგი. ამასთან მიგვაჩნია, რომ როდესაც საქმე გვაქვს მცირე საქონელბრუნვასთან აღრიცხვის მეთოდოლოგია შესაძლებელია ისე გაგამარტივოთ, რომ საერთოდ არ გამოვიყენოთ 7290 „სასაქონლო-მატერიალური მარაგების კორექტირება“, 7210 „გაყიდული/შექმნილი საქონელი“ და 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“ ანგარიშები. ამ ანგარიშების ფუნქციები შეიძლება შეუთავსდეს 1610 „საქონელი“ და 5330 „საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი“ ანგარიშებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა მოქმედი ანგარიშთა გეგმის მიმართ გაგვაჩნია სხვა მოსაზრებანიც, რომელიც სხვა პერიოდულ გამოცემებში იქნება წარმოდგენილი.

ლიტერატურა:

1. Соколов Я. В. Принципы бухгалтерского учёта. – Бухгалтерский учёт, 1996, № 2.
2. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის წინასიტყვაობა. – ბუღალტრული აღრიცხვა, 1999, № 7-8.
3. ბასს-1, ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები. თბილისი, საქართველოს ბუღალტრული ინსტიტუტი.

ველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამომცემლობა, 2000.

4. Мюллендорф Р., Карренбауер М. Производственный учёт. Москва, ЗАО «ФБК-ПРЕСС», 1996.

ON SOME ISSUES OF THE IMPROVEMENT OF ACCOUNTING ACCORDING TO THE NEW CHARTS OF ACCOUNTS

Levan Grigalashvili

Ministry of Finance of Georgia

70, Irakli Abashidze st. 0162, Tbilisi, Georgia

Summary. It is suggested in the paper that the charts of accounts keep one of the most significant places in the field of normative regulation of accounting. It's structure has been changed several times through the recent period. It should be noticed that charts of accounts somehow demonstrate the economic policy in the country.

The process of transmission to the international standards of accounting in Georgia has caused the necessity of elaboration and improvement of the corresponding charts of accounts. The major characterization of the current charts of accounts is that they do not include active and nominal accounts, the number of accounts is increased, assets and liabilities are differentiated by the principle of division into periods, constant and periodic methods are in use for the process of registration of inventories together with the economic and functional classification of expenditures. The companies are given the right to adopt the supplementary accounts according to the specification of their activities.

In the given work the author indicates to some of the shortcomings of the current chart of accounts, namely, the account "on the correction of the doubtful demands" should not be included in the group of active accounts

and the account of incomplete production should be included in the group of "the operational expenses". The depreciation of the fixed assets must be represented by one account. Separate account should be determined for the financial leasehold fixed assets and so on. The realization of the suggested proposals will make it possible to simplify the system of accounting and will increase the level of the reliability of the received information.

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ БУХГАЛТЕРСКОГО УЧЁТА ПО НОВОМУ ПЛАНУ СЧЁТОВ

Леван Григалашвили

Министерство финансов Грузии.

Тбилиси, 0162, ул. Абашидзе 70

Резюме. В статье отмечается, что в системе нормативного регулирования бухгалтерского учёта и отчётности, план счётов имеет важное значение, в нём в определённой степени отражается экономическая политика страны.

Переход Грузии на международные стандарты бухгалтерского учёта вызвал необходимость разработки и утверждения нового плана счётов.

Характерной чертой настоящего плана счётов является то, что в нём не существуют активно-пассивные счета, увеличены количества счётов, активы и пассивы предоставлены по принципу периодизации, в учёте материальных запасов применяются методы постоянного и периодического учёта, а также экономическая и функциональная классификация затрат. Исходя из специфики деятельности, предприятия имеют право вводить дополнительные счета и т. д.

Автор указывает на некоторые недостатки действующего плана счетов, в частности: – счет «Корректировки сомнительных требований»,

не должен быть внесён в группу активных счетов, а счет «Незавершенного производства» в группу «материальных запасов». «Износ основных средств» должен быть представлен одним счётом. Основным средствам, взятым под финансовую аренду должен быть присвоен отдельный счёт и т.д.

Осуществление предлагаемых предложений, в свою очередь, будет способствовать упрощению учёта и повышению уровня достоверности полученной информации.

Levan Grigalashvili

Ministry of Finance of Georgia

70, Irakli Abashidze st. 0162, Tbilisi, Georgia

ლევან გრიგალაშვილი

საქართველოს ფინანსთა სამსახური

თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქ. 70

Summary. It is suggested in the paper to simplify the system of accounts by taking the following measures:

1. To transfer the account of "Work in Progress" to the group of "Material Reserves". The account of "Depreciation of Fixed Assets" should be presented by one account. The main means taken on financial lease should be assigned a separate account and so on.

The implementation of the proposed proposals, in turn, will contribute to the simplification of accounting and the improvement of the reliability of the information obtained.

Характерной чертой настоящей работы является упрощение системы счетов путем принятия следующих мер:

1. Перенести счет «Незавершенное производство» в группу «материальных запасов». Счет «Износ основных средств» должен быть представлен одним счётом. Основным средствам, взятым под финансовую аренду должен быть присвоен отдельный счёт и т.д.

Осуществление предлагаемых предложений, в свою очередь, будет способствовать упрощению учёта и повышению уровня достоверности полученной информации.

EXTERNAL DEBT FINANCING: EFFECT ON THE SYSTEMATIC RISK OF THE FIRMS¹

Y. Lal Mahajan

Monmouth University
West Long Branch
New Jersey 07764-1898 USA

Received: March 20, 2002

Summary. This research is meant to ascertain the fundamental reasons for the changes in the value of the issuing firms. Assuming there are net present value projects, the firms issue different kind of securities including debt to finance these NPV projects. To the best of their knowledge, if these projects were undertaken, it would be in correspondence with the fundamental goal of maximizing the value of the firm. In this regard the issuance of any security or debt should result in increasing relative value of those firms' stock.

The current author had found in earlier research studies that for a sample of straight debt issues the relative value of the firms, on average, did not change statistically. The value of convertible debt issuing firms on the other hand *decreased* statistically. Furthermore, the high convertible debt issuing firms lost more in value than their counterpart, low convertible debt issues. The current paper examines whether the loss in value for convertible debt issues and statistically little gain in the value of straight debt issues is because of a change in equity beta which had been shown at least theoretically that equity beta increases at the issuance of corporate debt. It was found that compared to the corresponding control firms, the equity beta for the convertible debt issues did not change statistically. This may be due to the mean reversion tendency of beta. For the convertible debt with high conversion ratio issues and low conversion ratio issues, the change in beta

¹ The author would like to thank anonymous referees for their helpful comments and the Business Council at Monmouth University for partially funding this research.



was statistically insignificant. Similarly for the straight debt issues, there was no significant increase in beta. As both convertible debt and straight debt are leverage increasing, we should have expected, a la Hamada, for the equity beta to increase statistically. Our research demonstrates that despite the increase in leverage, there was no significant change in the equity beta of the issuing firms. The loss in value of the convertible debt-issuing firms thus is not due to the changes in beta, it could be due to several other factors, which would become a topic for another research paper.

* * *

INTRODUCTION

The relative loss of wealth at the issuance of convertible debt and practically no gain at the issuance of straight debt cast a doubt on the well-known Modigliani-Miller (1963) proposition where they have empirically demonstrated that because of tax advantage of debt in the IRS code, the debt issuing firms are likely to increase their relative wealth and increase the price of their stock by issuing debt instruments. This relative loss of wealth is not only inconsistent with the leverage hypotheses of Modigliani and Miller (1963) and Miller (1977) but is also inconsistent with the agency cost hypothesis associated with Jensen and Meckling (1976) and Green (1984)^{2,3}. Myers and Majluf (1984) and Kim (1990) have however, theorized that this loss at the issuance of a risky security may be due to the poorer future expectations about the firm. None of the studies however are specific about the nature of future prospects. Does it mean that the current debt issues are

² Since Dann & Mikkelson, King (1977) and Billingsley, et. Al (1986) has shown that convertible debt is leverage increasing; therefore, the announcement effect should be at least non-negative.

³ The issuance of convertible debt should have a non-negative if not strictly positive effect on stock prices because convertible debt mitigates agency cost of wealth appropriation by the stockholders.

risky in nature? What evidence do we have that the debt-issuing firms have increased their equity beta in the light of new external financing? According to Hamada (1972), the cost of capital may decrease because of less after tax cost of debt but the equity beta would increase because of larger debt in the capital structure. Under this hypothesis the relative decline in stock prices of debt issuing firms is largely because of a rise in equity beta. One of the many reasons we are planning to investigate is whether the change in beta is statistically significant variable that the market may incorporate this information to downgrade the value of the issuing firms and as a result the stock prices decline at the announcement of convertible debt issues.

Mahajan (2001, 1999) documented that stock prices react significantly and negatively at the issuance of convertible debt issues and this loss is consistent and robust regardless of the return generating model, estimation techniques, or time period used⁴.

With these objectives in mind, Section 2 discusses the hypotheses to be empirically tested in this paper. Section 3 discusses methodology and sample data to be used for empirical validation of our hypotheses. In Section 4, empirical results are discussed followed by summary and conclusions in Section 5.

2. EMPIRICALLY TESTABLE HYPOTHESES

We test the following hypotheses: First, relative stock prices decline significantly at the announcement of convertible debt issues. Second, relative stock price reaction is mainly due to the information effect about future changes in beta of the firm. The controversy however lies in ascertaining the source of asymmetric information. Assuming an informational asymmetry environment, we would also expect managers to issue convertible debt when

⁴ For example see Table 1 for details. Other previous researchers such as Dann and Mikkelson (1984); Eckbo (1986); Mikkelson and Partch (1986) have also shown similar results.

they foresee an unexpected increase in business risk. Therefore, we postulate the following:

BETA HYPOTHESIS: Change in systematic risk (equity beta) for straight debt and convertible debt firms are larger after the issuance than before the issuance. This hypothesis assumes that the financial leverage of the issuing firm has increased because of new debt. Furthermore, the change in beta for the high conversion ratio firms is smaller than that of the large conversion ratio firms as the large conversion ratio firms act more like an equity than small conversion ratio firms.

3. METHODOLOGY

Abnormal returns and the variance of daily stock returns are estimated using the single index market model and measured relative to the benchmark. The magnitude of abnormal returns at the time of announcement of convertible debt, measures the impact of that announcement on the stockholder's wealth.

The abnormal returns and the cumulative abnormal returns (CAR) are calculated using the methodology outlined in Brown and Warner (1980, 1985). We use the window of -30 to +30 days and estimate the market model parameters using the estimation period (+31 to 170, and -31 to -170). An examination of the CAR of sample securities helps to determine whether the values of the average residuals, cumulated up to the event period are statistically different from zero.

We test our hypothesis using the following test statistic:

$$t = \frac{\text{SAR}}{\sqrt{\sigma/n}}$$

Where SAR represents the two-day (-1,0) average abnormal returns, and σ is the estimate of the standard deviation of the two-day average abnormal returns. The standard deviation for the two-day abnormal returns is estimated using the 28 non-overlapping two-day average abnormal returns over the trading days -30 to -3 and +3 to +30⁵.

We test the null hypothesis by assuming that the standardized coefficient is distributed normally, and calculate the 't' statistics as follows:

$$S(\beta_{i,j,k}) = \beta_{i,j,k} / \sigma(\beta_{i,j,k})$$

And

$$\text{Avg.}(S\beta_{j,k}) = (1/n_j) \sum S(\beta_{i,j,k})$$

$$t = \text{Avg.}(S\beta_{j,k}) * \text{sq.root}(n_j)$$

where $S(\beta)$ is the standardized coefficient of the shift variable, σ is the standard error.

Data Sources and Sample Selection

The initial sample of 284 convertible debt offerings were identified in the Registered Offering Statistics (ROS) tape during 1977 through 1998. We restricted our final sample to meet the following criteria: a) The issue must be registered with the U.S. Securities and Exchange Commission and offered for sale in the U.S. Three of the convertible debt issues were eliminated. b) The issuing company's common stock must be traded either on the American Stock Exchange or the New York Stock Exchange. No firm was deleted. c) The issuing company's daily common stock returns are included in the Center for Research in Security Prices (CRSP) tapes for computation of abnormal returns and other appropriate parameters. Seventy-five issues were eliminated. d) At the time of announcement, no other securities are offered and no other firm specific announcements are made. Eight issues were eliminated. e) A pre-issuance date announcement of the convertible debt

offerings must be reported in the Wall Street Journal (WSJ) or Dow Jones News Wire Service. f) According to the three-digit Standard Industrial Classification (SIC) code, the issuing firm must be an industrial firm⁶. g) No more than one issue is included in the registration statement. h) The name of the issuer is included in the Compustat list so that appropriate accounting information on these firms can be verified from the Compustat tape. Thirty-one issues were eliminated. i) The type of convertible bonds must be callable or convertible into a pre-specified number of shares of common stock. j) All issues must be public issues, comply with the 1933 Act, and be registered by domestic corporations.

With the above criteria, a convertible debt sample of 167 was identified⁷. The mean (median) of our convertible debt sample is \$79 (\$60) million. The issues were scattered all over the year and hence there was no apparent attempt to time the issues.

Corresponding to the convertible debt sample, a control group was chosen which meets the following criteria: 1) Each firm in the control group is listed on the same exchange as the announcing firm (almost 97% of the control group firms met this criteria) and belongs to the same industry group. 2) Firm has not undergone any capital structure changes during the announcement year. 3) Firm has total assets similar to the one in the announcement group. 4) The name of the issuer is included in the Compustat list. 5) All issues are public issues must comply with the 1933 Act, and be registered by domestic corporations. 6) Each firm must have the same fiscal year as the corresponding firm in the announcement group.

4. ANALYSIS OF EMPIRICAL RESULTS

⁶ Since the utilities are regulated, there might be less information asymmetry than for industrial firms and hence the announcement effects of securities may not fully reflect the asymmetric information effect. Inclusion of regulated industries may contaminate our data and thereby the prediction errors.

⁷ The list of convertible debt sample can be obtained from the author.

The results of previous studies were replicated and demonstrated that the results of previous studies are consistent and robust. The main purpose of this research was to ascertain the negative relative price effects of issuing convertible debt and insignificant effect of issuing straight debt.

Tables 1 and 2 replicate the results of Mahajan (1999). From Table 3 we notice that beta did not significantly change for the straight debt-issuing firms after the issuance of new straight debt. This is inconsistent with Hamada who argued that equity beta increases with an increase in leverage. It is possible that the Tax advantage of straight debt was nullified by an increase in other negative signals than the increase in beta. As a matter of fact, for the straight debt-issuing firms, beta increased for 45% of the issuing firms but decreased for 54% of the firms. This may be consistent with the "reversion to the mean" hypothesis as suggested in the literature.

From table 4 we note that for the convertible debt-issuing firms, the average beta increased for only 41% of the firms and decreased for 58% of the convertible debt-issuing firms. This is again inconsistent with Hamada as the issuance of convertible debt has been shown to be leverage increasing. Also, notice that beta for the corresponding control firms has increased in 54% of the firms as compared to only 41% of the convertible debt issuing firms.

For the high conversion ratio firms, that are more likely to be converted because of lower than average premium, the abnormal returns from Table 2 are highly and negatively significant. We hypothesized that because of higher conversion ratio and larger possibility of conversion into common stock, the average change in beta after the issuance would be smaller or even insignificant. From Table 5 we find that the change in beta after the issuance is insignificant. The increases and decreases in beta after the announcement of convertible debt are similar to the corresponding control firms. Alternatively, an examination of changes in beta before and after the announcement and comparison with corresponding control group do not help us in ascertaining the reasons for negative abnormal returns associated with high conversion ratio issues.

For the low conversion ratio firms where the conversion into common stock shares is less likely to happen, the effect of announcing convertible debt

was negligible as shown in table 2. When we examined changes in beta after the issuance, we notice from Table 6 that the beta of the issuing firms decreased in over 55% of the cases as opposed to 38% in control firms. In other words, the beta of the low conversion ratio issuing firms decreased more than that of the corresponding control firms.

All in all we were unable to derive any conclusion from examination of changes in beta after the announcement of straight or convertible debt that why the stock market reacts insignificantly at the issuance of straight debt and significantly negatively at the announcement of convertible debt. We were also unable to determine the causes of the relative stock market reaction to the issuance of low and high conversion issues. We can say that for convertible debt announcing firms, (1) average prediction errors (APE) are significantly negative. The analysis of beta alone could not ascertain the reasons for negative abnormal returns associated with announcement of convertible debt.

5. SUMMARY AND CONCLUSIONS

This research was motivated by an observation that stock prices decline significantly at the announcement of convertible debt issues but insignificantly at the announcement of new straight debt issues. Several hypotheses were invoked to determine whether such results could be explained.

Under the first hypothesis -Tax Benefit of Leverage- the market should have reacted at least non-negatively to convertible debt issues. Negative abnormal returns associated with convertible debt, therefore, are not consistent with this hypothesis. The negative abnormal returns are also not consistent with the Agency Cost Hypothesis either as abnormal returns associated with convertible debt should be positive or at least non-negative as convertible debt mitigates the agency problems.

One of the hypotheses we invoked was that could it be following Hamada that the increase in leverage because of new issuance of convertible as well as straight debt is causing the issuing firms' beta to increase and thereby the issuance of convertible debt results in negative stock prices. Under this hypothesis, the riskier the issue the more adverse the relative stock

price reaction and therefore, we should get negative abnormal returns for convertible debt issues.

In order to test this hypothesis we stipulated the following: change in beta after issuance is larger for convertible debt issues than the control group. For the sample 167 convertible debt, the average prediction error for the two-day (-1,0) announcement period came out be -0.99% and was significant. These tests showed that our data were comparable to the data used by other researchers. The analysis of change in equity beta indicated that only 41% of the convertible debt sample had an increase in beta, but the increase in beta was insignificant. This does not lend full support to our information hypothesis and neither does it confirm the classical hypothesis. In summary, we were unable to conclude that the negative returns at the issuance of convertible debt are because of an increase in debt to equity ratio or because of increase in beta of the firms on the average.

REFERENCES

1. Billingsley, R., R. Lamy and G. Thompson, 1986, "Valuation of Primary issue Convertible Bonds," Journal of Financial Research, 9, 251-259.
2. Brick, I. and M. Statman, 1981, "A Note on Beta and the Probability of Default," Journal of Financial Research, 4, 265-269.
3. Brown S. and J. Warner, 1980, "Measuring Security Price Performance," Journal of Financial Economics, 8, 205-258.
4. Brown, S. and J. Warner, 1985, "Using Daily Stock Returns: The Case of Event Studies," Journal of Financial Economics, 14, 3-31.
5. Christie, A., 1987, "On Cross-sectional Analysis in Accounting Research," Journal of Accounting and Economics, 9, 231-258.
6. Dann, L. and W. Mikkelson, 1984, "Convertible Debt Issuance, Capital Structure Change and Financial Related Information: Some New Evidence" Journal of Financial Economics, 13, 159-186.
7. Eckbo, B., 1986, "Valuation Effects of Corporate Debt Offerings," Journal of Financial Economics, 15, 119-152.

8. Fields, P. and E. Mais, 1991, "The Valuation Effects of Private Placements of Convertible Debt," Journal of Finance, 46, 1925-1932.
9. Green, R., 1984, "Investment Incentives, Debt and Warrants," Journal of Financial Economics, 13, 115-136.
10. Hamada, R., 1972, "The Effect of the Firm's Capital Structure on the Systematic Risk of Common Stock," Journal of Finance, 435-452.
11. Hansen, R. and C. Crutchley, 1990, "Corporate Earnings and Financing: An Empirical Analysis," Journal of Business, 63, 349-371.
12. Jensen, M. and W. Meckling, 1976, "Theory of Firm: Managerial Behavior, Agency Costs and Ownership Structure," Journal of Financial Economics, 3, 305-360.
13. Kim, Y., 1990, "Informative Conversion Ratios: A Signalling Approach," Journal of Financial and Quantitative Analysis, 25, 229-243.
14. King, R., 1984, "The Effect of Convertible Bond Equity Values on Dilution and Leverage," Accounting Review, 59, 419-431.
15. Long, M., I. Malitz, and S. Sefcik, 1991, "Market Reaction to Capital Structure Changes and its Association with Earnings, Cash Flow and Dividends," Working paper, Rutgers University, Newark.
16. Mahajan, Y., 1999, "Corporate Financing for New Projects," paper presented at the International Atlantic Economic Conference Meetings, Vienna, Austria.
17. Mahajan, Y., 2001, "The Financial Managers' Dilemma: Risky vs. Risk Free Debentures," The Georgian Academy of Sciences, 9, 41-56.

18. Mikkelson, W. and M. Partch, 1986, "Valuation Effects of Security Offerings and The Issuance Process," Journal of Financial Economics, 15, 31-60.
19. Miller, M., 1977, "Debt and Taxes," Journal of Finance, 32, 261-275.
20. Modigliani, F., and M. Miller, 1963, "Corporation Income Taxes and the Cost of Capital; A Correction," American Economic Review, 53, 433-443.
21. Myers, S. and N. Majluf, 1984, "Corporate Financing and Investment Decisions When Firms Have Information That Investors Do Not Have," Journal of Financial Economics, 13, 157-187.
22. Ofer, A. and A. Natarajan, 1987, "Convertible Call Policies: An Empirical Analysis of an Information- Signaling Hypothesis", Journal of Financial Economics, 19, 91-108.
23. Patell, J. and M. Wolfson, 1979, "Anticipated Information Releases Reflected in Call Option Prices," Journal of Accounting and Economics, 1, 117-140.
24. Shyam-Sunder, L., 1991, "The Stock Price Effect of Risky Versus Safe Debt," Journal of Financial and Quantitative Analysis, 26, 549-558.
25. Smith, C., 1986, "Investment Banking And The Capital Acquisition Process," Journal of Financial Economics, 15, 3-29.
26. Szewczyk, S. and R. Varma, 1991, "Raising Capital with Private Placement of Debt," Journal of Financial Research, 14, 1-13.
27. Varma, R. 2001, "The Role of Institutional Investors in Equity Financing and Corporate Monitoring," Journal of Business and Economic Studies, 7, 39-53.

TABLE 1

Summary of Common stock prediction errors around the announcement dates of the Straight Debt issues (125 events), Convertible Debt issues (167 events) and corresponding control groups under various model and beta specifications.

	APE	APE	APE
	<u>MARKET MODEL</u>		
	<u>OLS BETA</u>	<u>SCH-WILL BETA</u>	<u>MEAN</u>
<u>RETURNS MODEL</u>			
Estimation period (140 days)	<u>STRAIGHT DEBT ISSUES</u>		
(-1,0)	-0.14%	-0.14%	-0.05%
T stat	-0.66	-0.66	-0.20
%PE>0	46.00%	47.50%	
	<u>CONTROL GROUP</u>		
(-1,0)	0.04%	0.06%	0.38%
T stat	0.12	0.17	0.98
%PE>0	53.90%	56.60%	
	<u>CONVERTIBLE DEBT ISSUES</u>		
	<u>OLS BETA</u>	<u>SCH-WILL BETA</u>	<u>MEAN</u>
<u>RETURNS MODEL</u>			
(-1,0)	-0.82%	-0.86%	-0.80%
T stat	-3.20*	-3.28*	-3.10*
%PE>0	39.30%	44.20%	
	<u>CONTROL GROUP</u>		
(-1,0)	0.28%	0.33%	0.43%
T stat	0.64	0.76	0.90
%PE>0	52.20%	58.70%	

Parameter estimation period: 140 days after the event day (+30); market index: value weighted; for the Mean Returns Model, it is assumed that the expected return on stock j is equal to the average return of that stock over the last 30 days preceding the announcement, further for the Mean Returns model, the market index and betas are not applicable. APE is abnormal prediction errors and T_{APE} is the 't' statistics. APE are estimated using ordinary least squares estimation technique and using the market model $R_{jt} = \hat{\alpha}_j + \hat{\alpha}_j R_{mt} + \hat{\alpha}_{jt}$, where R_{jt} is the compound rate of return on stock j and R_{mt} is the return on market portfolio and $\hat{\alpha}_j$ is the OLS beta. SCH-WILL BETA accounts for the impact of any information lag on security prices, * implies significant at 5% level. %PE>0 is the percentage of

firms with positive abnormal returns. The results of parameter estimation period for 140 days before the event day (window: -30) were the same as reported in the table.

TABLE 2

Summary of Common stock prediction errors around the announcement dates of the High Convertible Debt Issues and Low Convertible Debt Issues and corresponding control groups under various model and beta specifications.

MODEL	MARKET MODEL			
	APE	APE	APE	APE
Estimation period (140 days)	OLS BETA	SCH-WILL BETA	MEAN	RETURNS
	<u>HIGH CONVERSION CONVERTIBLE DEBT ISSUES</u>			
(-1,0)	-1.95%	-1.92%		-2.25%
T stat	-3.64*	-3.41*		-4.03*
%PE>0	39.30%	40.20%	44.20%	
	<u>CONTROL GROUP</u>			
(-1,0)	1.27%	1.37%	1.22%	
T stat	1.69	1.82		1.58
%PE>0	65.40%	61.50%	61.50%	
	<u>LOW CONVERSION CONVERTIBLE DEBT ISSUES</u>			
(-1,0)	-0.53%	-0.62%		-0.29%
T stat	-1.03	-1.23		-0.58
%PE>0	41.20%	37.30%	49.00%	
	<u>CONTROL GROUP</u>			
(-1,0)	0.51%	0.53%	0.77%	
T stat	0.54	0.56		0.77
%PE>0	54.80%	51.60%	67.70%	

High conversion ratio issues are those which have conversion premium less than the average, Low conversion ratio issues are those which have conversion premium more than the average and are less likely to be converted into common stock, the parameter estimation period: 140 days after the event day (window: +30); market index: value weighted; for the Mean Returns Model, it is assumed that the expected return on stock j is equal to the average return of that stock over the last 30 days

preceding the announcement, APE are abnormal prediction errors around the event period, and T_{APE} are the 't' statistics. * Implies significant at 5% level. %PE>0 is the percentage of firms with positive abnormal returns. The results of parameter estimation period for 140 days before the event day (window: -30) were the same as reported in the table.

TABLE 3

(A) BETA AND CHANGES IN BETA BEFORE AND AFTER THE EVENT FOR STRAIGHT DEBT ANNOUNCING FIRMS

	BETA BEFORE	BETA AFTER	ΔBETA	ΔBETA%
MEAN	1.10	1.07	-0.03	
6.66% STD DEV	0.53	0.56	0.43	
64.8 0.10 T STAT			-0.07	
T STATISTICS BETWEEN BETA BEFORE AND AFTER				-0.52
% OF INCREASES IN BETA AFTER THE ANNOUNCEMENT				45%
% OF DECREASES IN BETA AFTER THE ANNOUNCEMENT				54%
% OF NO CHANGE IN BETA AFTER THE ANNOUNCEMENT				1.0%

(B) BETA AND CHANGES IN BETA BEFORE AND AFTER THE EVENT FOR CORRESPONDING CONTROL FIRMS

	BETA BEFORE	BETA AFTER	ΔBETA	ΔBETA%
MEAN	1.03	0.91	-0.12	
-0.45% STD DEV	0.51	0.47	0.46	
67.3 -0.01 T STAT				-0.26
T STATISTICS BETWEEN BETA BEFORE AND AFTER				-1.46
% OF INCREASES IN BETA AFTER THE ANNOUNCEMENT				43%
% OF DECREASES IN BETA AFTER THE ANNOUNCEMENT				54%
% OF NO CHANGE IN BETA AFTER THE ANNOUNCEMENT				3.0%

Beta before is estimated using 140 days prior to the announcement of the issue as the estimation period. Beta after is estimated using 140 days after the announcement of the issue as the estimation period using the market model and the ordinary least squares estimation technique.

ΔBETA = average beta after the event - average beta before the event

n

$$\Delta BETA\% = (1/n) \sum (\text{beta after} - \text{beta before}) / \text{beta before} * 100$$

n=1

TABLE 4

(A) BETA AND CHANGES IN BETA BEFORE AND AFTER THE EVENT FOR
CONVERTIBLE DEBT ANNOUNCING FIRMS

	AVERAGE BETA BEFORE	AVERAGE BETA AFTER	Δ BETA	Δ BETA%
MEAN	1.11	1.08	-0.03	
3.95%				
STD DEV	0.53	0.57	0.47	
149.1				
T STAT			-0.07	0.03
T STATISTICS BETWEEN BETA BEFORE AND AFTER				-0.61
% OF INCREASES IN BETA AFTER THE ANNOUNCEMENT				41%
% OF DECREASES IN BETA AFTER THE ANNOUNCEMENT				58%
% OF NO CHANGE IN BETA AFTER THE ANNOUNCEMENT				1.0%

(B) BETA AND CHANGES IN BETA BEFORE AND AFTER THE EVENT
 FOR THE CORRESPONDING CONTROL FIRMS

	AVERAGE BETA BEFORE	AVERAGE BETA AFTER	Δ BETA	Δ BETA%
MEAN	0.94	1.00	0.06	
5.69%				
STD DEV	0.53	0.61	0.51	
25.65				
T STAT			0.13	0.22
T STATISTICS BETWEEN BETA BEFORE AND AFTER				0.76
% OF INCREASES IN BETA AFTER THE ANNOUNCEMENT				54%
% OF DECREASES IN BETA AFTER THE ANNOUNCEMENT				45%
% OF NO CHANGE IN BETA AFTER THE ANNOUNCEMENT				1.0%

Beta before is estimated using 140 days prior to the announcement of the issue as the estimation period

Beta after is estimated using 140 days after the announcement of the issue as the estimation period using the market model and the ordinary least squares estimation technique.

Δ BETA = average beta after the event - average beta before the event

n

TABLE 6

**BETA AND CHANGES IN BETA BEFORE AND AFTER THE EVENT
FOR CONVERTIBLE DEBT ISSUES**
(A) LOW CONVERSION RATIO ISSUES

	AVERAGE BETA BEFORE	AVERAGE BETA AFTER	Δ BETA
MEAN	1.28	1.21	-0.08
STD DEV	0.52	0.56	0.60
T STAT 2.39		2.14	-0.13
T STATISTICS BETWEEN THE AVERAGE BETA BEFORE AND AFTER -0.75			
% OF INCREASES IN BETA AFTER THE ANNOUNCEMENT			42.86%
% OF DECREASES IN BETA AFTER THE ANNOUNCEMENT			55.36%
% OF NO CHANGE IN BETA AFTER THE ANNOUNCEMENT			1.79%

**(B) BETA AND CHANGES IN BETA BEFORE AND AFTER THE EVENT
FOR THE CORRESPONDING CONTROL GROUP**

	AVERAGE BETA BEFORE	AVERAGE BETA AFTER	Δ BETA
MEAN	0.93	1.04	0.11
STD DEV	0.49	0.60	0.45
T STAT 1.90		1.74	0.24
T STATISTICS BETWEEN THE AVERAGE BETA BEFORE AND AFTER 0.78			
% OF INCREASES IN BETA AFTER THE ANNOUNCEMENT			61.3%
% OF DECREASES IN BETA AFTER THE ANNOUNCEMENT			38.7%
% OF NO CHANGE IN BETA AFTER THE ANNOUNCEMENT			00.0%

Low (high) conversion ratio issues are those which have conversion premium more (less) than the average and are less (more) likely to be converted into common stock sooner. Beta before is estimated using 140 days prior to the announcement of the issue as the estimation period. Beta after is estimated using 140 days after the announcement of the issue as the estimation period using the market model and the ordinary least squares estimation technique.

Δ BETA = average beta after the event - average beta before the event

$$\Delta\text{BETA}\% = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n (\text{beta after} - \text{beta before}) / \text{beta before} * 100$$

APPENDIX

We use the abnormal return methodology of Brown and Warner [1985] and supplement it with mean-adjusted stochastic return generating process. To be more specific, The Single Index Market model may be written as:

$$1) R_{jt} = \hat{\alpha}_j + \hat{\alpha}_j R_{mt} + \hat{\epsilon}_{jt} \quad \text{for } t = 31, \dots, 200, \\ \text{and } t = -31, \dots, -200 \\ j = 1, \dots, n$$

Where R_{jt} is the compounded rate of return on stock j at time t , and R_{mt} is the rate of return on market portfolio at time t . It is assumed that disturbance terms are normally distributed and are independent of exogenous terms.

Abnormal return for the common stock of firm j on day t (-30, +30) is defined as:

$$2) AR_{jt} = R_{jt} - (\hat{\alpha}_j + \hat{\alpha}_j R_{mt}) \quad \text{for } t = -30, \dots, +30$$

where $\hat{\alpha}_j$ and $\hat{\alpha}_j$ are estimated regression coefficients of α_j and β_j using the Ordinary Least Squares regression method. These parameters are also estimated using the Scholes and Williams method described above. Abnormal returns are calculated for each day in the event period beginning 30 days before the announcement and ending 30 days after the announcement.

Abnormal returns before the announcement may be higher because of a common tendency on the part of convertible debt firms to announce new issues following unusually large stock prices. Cowan, et al. [1990] show that use of the pre-call date to estimate the market model parameters is "inappropriate in light of the fact that calls of convertibles, on average, occur after a period of positive stock price performance."⁸ Therefore, the comparison of returns for pre-announcement and post-announcement may lead to a higher difference than it really is.

The reason we estimate the market model parameters before and after the announcement period is to also examine whether there is a shift in the parameters and the risks because of leverage change following the arguments of Hamada [1972] and Galai and Masulis [1976]. If we estimate alpha ($\hat{\alpha}$) and beta ($\hat{\beta}$) after the announcement of convertible debt, it may induce bias in the measurement of abnormal returns due to a shift in the parameters because of leverage change. On the other hand, if the parameters are estimated using pre-announcement data, it is quite possible to underestimate the parameters. The estimated parameters may not account for leverage changes. Consequently, abnormal returns will be overestimated.

Using the window of -30 to +30 days the market model parameters are calculated using the estimation period (+31 to 200, and -31 to -200)⁹. This should perhaps alleviate the problem raised by

⁸ Cowan, et al. [1990, p.553].

⁹ For example, Dann and Mikkelsen [1984], and Shyam-Sunder [1991] estimate the market model using the period beginning 200 days before and ending 200 days after the event date, excluding days (-60, 60). Abbott and Rai [1991] estimate the parameters using the pre-issuance period (-150 to -16) and post-issuance period (+16 to +151).

Cowan, et al. [1990]. Robustness is also tested by comparing pre-estimation and post-estimation period results.

The average prediction error (difference between actual returns and predicted returns) on day t is defined as:

$$3) \text{ Av. AR}_t = \frac{1}{n} \sum_{j=1}^n \text{AR}_{jt}$$

where n is the number of firms in the sample. The abnormal return for the two-day announcement period for firm j is expressed as:

$$4) \text{AR}_j = \sum_{t=-1}^0 \text{AR}_{jt}$$

The cumulative abnormal return (CAR) at t for the sample firms is given by:

$$5) \text{CAR}_t = \sum_{\delta=-30}^t \text{Av. AR}_\delta \quad t = -30, \dots, +30$$

The average two-day announcement period abnormal returns is:

$$6) \text{Av. AR}_t = \frac{1}{n} \sum_{t=-1}^0 \text{AR}_{jt}$$

To test the significance of the abnormal returns, we estimate standardized abnormal returns (SAR_{jt}) for stock j at time t :

$$7) \text{SAR}_{jt} = \frac{\text{AR}_{jt}}{S_{jt}} \quad \begin{matrix} j = 1, \dots, n \\ t = t_1, \dots, t_2 \end{matrix}$$

where

$$S_{jt}^2 = \hat{\sigma}_a^2 \left[\frac{1 + (R_{mt} - R_m)^2}{n \sum_i (R_{mi} - R_m)^2} \right]$$

where S_{jt} is the estimated standard deviation of AR_{jt} and $\hat{\sigma}_a^2$ is the estimated variance of the residuals. Both S_{jt} and $\hat{\sigma}_a^2$ are assumed to be normally distributed, n is the number of days used in the market model estimation, R_{mt} is the market return on day t , and R_m is the mean market return¹⁰.

¹⁰ For the Mean Adjusted Returns model the statistics are as follow:

$$\text{AR}_{jt} = R_{jt} - \text{Av. R}_t$$

$$t = \text{Av. AR}_{jt} / s(\text{Av. AR}_{jt}), \quad \text{where}$$

The average standardized abnormal returns at t is:

$$8) \text{Av. SAR}_t = \frac{1}{n} \sum_{j=1}^n \text{SAR}_{jt}$$

For the two-day announcement period, the average standardized abnormal returns is:

$$9) \text{Av. SAR}_{-1,0} = \frac{1}{n} \sum_{j=1}^n \sum_{t=-1}^0 \text{SAR}_{jt}$$

The null hypothesis is tested by using the following test statistic :

$$10) t = \frac{\text{SAR}}{\sqrt{\hat{\sigma}/n}}$$

where SAR represents the two-day average abnormal returns, and $\hat{\sigma}$ is the estimate of the standard deviation of the two-day average abnormal returns. The standard deviation for the two-day abnormal returns is estimated using the 58 non-overlapping two-day average abnormal returns over the trading days -60 to -3 and +3 to +60.¹¹

$$s^2 = (\sum (\text{Av.}R_i - \text{Av.}R_i)^2)/(n-1).$$

¹¹ This overlapping methodology of estimating the standard deviation from prediction errors using the same length of time avoids the problem of mis-specification due to serial correlation of average market model residuals.

საბარეო ვალების დაწინაანსება: ფირმაზე მოქმედი მუღმივი რისკი

ი. ლალ მაკაჯანი

მონმაუტის უნივერსიტეტი

ვესთ ლონგ ბრენჩი, ნიუ ჯერსი. 07764-1898 აშშ.

რეზიუმე. სტატიაში მოცემულია ფირმის თავდაპირველი სიდიდის ცვლილების მიზეზების გარკვევის მცდელობა. გაკეთებულია დაშვება, რომ თუ არსებობს პროექტები, რომელთა მიზანია ფირმის შემოსავლების ზრდა, მაშინ ისინი იყენებენ სხვადასხვა სახის ფასიან ქაღალდებს, პირდაპირი სესხების აღების ჩათვლით, ამ პროექტების დასაფინანსებლად. საუკეთესო შემთხვევაში, თუ კი ამ პროექტებთან დაკავშირებით აღებულ იქნა გარკვეული ვალდებულებები, მაშინ მათ ხელი უნდა შეუწყონ იმ უზენაეს მიზანს, რაც გამოიხატება ფირმის სიდიდის გაზრდაში. ამ მიმართებით, ფასიანი ქაღალდების, ან სხვა სახის სესხების აღების შედეგად გვექნება ამ ფირმების აქციების სიდიდის ზრდა. როგორც ავტორის მიერ იქნა ნაჩვენები, აღებული სესხის მიმართ ფირმის სიდიდე საშუალოდ სტატისტიკური აზრით არ იცვლება. მეორეს მხრივ, კონვერტირებადი ვალის სიდიდე საწყისი ფირმებისათვის სტატისტიკური აზრით მცირდება. გარდა ამისა, მაღალი კონვერტაციის მქონე სესხების შემთხვევაში ფირმები უფრო ბევრს კარგავენ, ვიდრე დაბალი კონვერტაციის მქონე სესხების შემთხვევაში. სტატიაში მოწმდება ჰიპოტეზა იმის შესახებ, რომ საწყისი კონვერტირებადი სესხის სიდიდის შემცირება და სტატისტიკურად მცირე შემოსავალი განპირობებულია ჩვეულებრივი ფასიანი ქაღალდების სიდიდის შეცვლით. უკანასკნელი გარემოება, თეორიულად მაინც ადასტურებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ფასიანი ქაღალდების სიდიდე იზრდება კორპორაციული სესხის შემთხვევაში. დასაბუთებული იქნა მოსაზრება იმის შესახებ, რომ კონტროლს დაქვემდებარებული ფირმების კონვერტირებადი სესხე-

ბის საწყისი აქციების სიდიდე სტატისტიკური აზრით არ იცვლება.

ФИНАНСИРОВАНИЕ ВНЕШНЕГО ДОЛГА: СЛЕДСТВИЕ ПОСТОЯННОГО РИСКА, ДОВЛЕЮЩЕГО НА ФИРМЫ

И. Лал Махаджан

Монмаутский университет

Вест Лонг Бренч, Нью Джерси 07764-1898 США

Резюме. В статье делается попытка выяснить основную причину изменения размеров фирмы. Предполагая, что имеются проекты увеличения доходов фирм, они применяют различного рода ценные бумаги, включая долги, для финансирования этих проектов. В наилучшем случае, если в отношении этих проектов были взяты определенные обязательства, то они должны способствовать фундаментальной цели – максимизации величины фирмы. В этом отношении, результатом ценных бумаг или долга является увеличение относительной величины акций этих фирм. Как было показано автором, в отношении чистого долга относительная величина фирм в среднем статистически не меняется. С другой стороны величина конвертируемого долга исходных фирм в статистическом смысле уменьшается. Кроме того, высоко конвертируемые долги исходных фирм теряют больше, чем те, у которых менее конвертируемые долги. В настоящей статье проверяется гипотеза уменьшения величины исходного конвертируемого долга и статистический малый доход обусловленной уменьшением объема обыкновенных ценных бумаг. Последняя показывает, по крайней мере теоретически, объем ценных бумаг увеличивается при выпуске корпоративного долга. Сравнивая данные подлежащих контролю фирмы, было выявлено, что величина акции исходных конвертируемых долгов в статистическом смысле не меняется.

ბიზნესის აღმოცენება და განვითარება საქართველოში

გულნაზ ერქომაიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

0102, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 2.

შემოვიდა: 2003 წლის 25 აგვისტოს

რეზიუმე. ნაშრომში მოცემულია მეწარმეობის, ბიზნესის განვითარების პერიოდიზაცია და ეტაპები: ბიზნესის წარმოშობის პერიოდი, რომელიც სათავეს მონათმფლობელური წყობილებიდან იღებს. ბიზნესის გამოცოცხლების პერიოდი (XIX ს. 30-იანი წლების შემდგომ); საბჭოურ პერიოდში არსებული არალეგალური ბიზნესი, როცა კერძო საკუთრება და მეწარმეობა დანაშაულად იყო მიჩნეული; საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი. მეწარმეთა დიდი ნაწილი „ჩრდილოვან“ და „ნახევრად ჩრდილოვან“ საქმიანობას ეწევიან.

* * *

საქართველოში ბიზნესს შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული.

ისტორიული წყაროებიდან ვიგებთ, რომ საქმიანობა, რომელსაც დღეს ბიზნესს უწოდებენ, სათავეს მონათმფლობელური წყობილებიდან იღებს და სხვა ქვეყნების მსგავსად იგი აქაც ვაჭრობით დაწყებულია. საქართველოს პირველი მეფის ფარნავაზის დროს მოიჭრა პირველი ვერცხლის მონეტა (კოლხური). კოლხეთში წარმოებული სელი ქვეყნის გარეთ იყიდებოდა.

ფეოდალური წყობის პერიოდში ფეოდალურ მამულებში იქმნებოდა მიწათმოქმედების დამატებითი პროდუქცია, რაც

ვაჭრობის განვითარებასთან ერთად ხელს უწყობდა ხელოსნობის განვითარებას. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი ჰქონდა ირანთან, ერაყთან, სირიასთან. ხანგრძლივმა ომებმა, რომელიც XIX ს.-ის დასაწყისამდე გაგრძელდა, მკვეთრად შეამცირა ინდივიდუალური წარმოება. XIX საუკუნის დასაწყისისთვის ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში ჯერ კიდევ სოფლის მეურნეობა და პატრიარქალური საოჯახო მრეწველობა ბატონობდა.

საქართველოში XIX საუკუნის 30-იანი წლების შემდგომი პერიოდიდან იწყება მეწარმეობის, ბიზნესის განვითარების ახალი ეტაპი. 1831 წელს ჩამოყალიბდა „კავკასიის სავაჭრო დეპო“, 1833 წელს „სოფლის მეურნეობის მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის წახალისების საზოგადოება“, 1836 წელს დაარსდა „ქართული ღვინის კომპანია“, როგორც სააქციო - სამეწარმეო საზოგადოება. ასევე „კერძო საზოგადოება აქციებზე მებაზრეშუმეობისა და სავაჭრო მრეწველობის განვითარებისათვის“. 1847 წელს შეიქმნა „ამიერკავკასიის საბითუმო ვაჭრობის საზოგადოება“, მანუფაქტურული საქონლის მაღაზია [2].

მსხვილი მანქანური წარმოების განვითარებას საქართველოში აბრკოლებდა ცარიზმი; თუმცა ამავე დროს ხელს არ უშლიდა და ზოგიერთ შემთხვევაში აქეზებდა კიდევ წვრილი წარმოების გაფართოებას, განსაკუთრებით ისეთ დარგებში, რომლებიც დამყარებული იყვნენ ადგილობრივი ნედლეულის, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებაზე და ამზადებდნენ ისეთ პროდუქტებს, რომელთაც დიდი გასაყვალნი ჰქონდათ შეგარუსეთის ბაზრებზე და რაც სხვა შემთხვევაში უცხო ქვეყნებიდან შემოჰქონდათ.

მსხვილი წარმოება ვითარდებოდა უმთავრესად მოპოვებითი მრეწველობის დარგებში, რაც ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრით იყო განპირობებული, როგორიცაა მაგალითად სპილენძის, ქვანახშირის, მარგანეცის და სხვა წიაღისეულის დამუშავების განვითარება.

როგორც მთლიანად საქართველოში, ისე მის ქალაქებში დიდ როლს თამაშობდა შინამრეწველური და ხელოსნური წარ-

მოება. ხელოსნური წარმოების მაღალი დონე საქართველოში არ იყო შემთხვევითი მოვლენა. მას განაპირობებდა პირველხარისხოვანი ნედლეულის სიუხვე. თითქმის ყველა რეგიონში უხვად მოიპოვებოდა მაღალხარისხოვანი შალი, აბრეშუმი, სელი, ხის ჯიშები, გიშერი, ვერცხლი, სპილენძი, თიხა და სხვ.

სხვადასხვა ხელოსნურ ხელობაში ჩაბმული მუშათა საერთო რაოდენობა სხვადასხვა დროს ქალაქის მთელი მოსახლეობის 5-7 პროცენტს შეადგენდა. მსგავსად ხელოსნებისა, ამქრებში გაერთიანებული იყვნენ წვრილი ვაჭრებიც. კერძოდ, სირაჯი, ბაყალი, თულუხჩი და სხვ. [4].

თბილისში ჯერ კიდევ 1850-იან წლებში სხვადასხვა ამქრულ ხელობათა რაოდენობა 40-ს აღემატებოდა. მათ შორის აღსანიშნავია: ვერცხლისა და ოქრომჭედლობა, თოფიარადის ხელოსნობა, ზეინკლობა, მებრილიანტობა, მექუდეობა (აზიური და ევროპული), ფეიქრობა, მრთველობა, თერძობა, მეჩექმეობა, ხარაზობა, დალაქობა, დურგლობა, სიგარების კეთება, მეპურეობა, მეთუნეობა, მეღვინეობა და სხვ.

ქარგალთა უმრავლესობა ცდილობდა დამოუკიდებელი მწარმოებელი გამხდარიყო, ე. ი. საკუთარი სახელოსნო გაეხსნათ, მაგრამ მათი ცდები მარცხით მთვარდებოდა. თუმცა ხელოსნობამ კადრები მოამზადა მსხვილი წარმოების განვითარებისათვის, მაგრამ მსხვილი მრეწველობა არ იყო იმდენად განვითარებული, რომ გამოეყენებინა ეს მუშა ძალა.

ამგვარად, ამქრის ხელოსანთა მხოლოდ მცირე ნაწილი მისდევდა წვრილ მეწარმეობას. თანდათან იშლებოდა ამქრული კორპორაციები. 1860-იანი წლებიდან რუსეთში დაიწყო მოძრაობა ხელოსანთა ამქრული კორპორაციების წინააღმდეგ. ისინი ან თავისუფალ საზოგადოებად უნდა გადაკეთებულიყვნენ, ან და საერთო გაუქმებულიყვნენ.

1867 წლის 5 აპრილის დებულების შესაბამისად თბილისში წარმოიქმნა ხელოსნობის გამგებლობა. იგი ზრუნავდა ხელოსნური წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, რათა განემტკიცებინა „ხელოსანთა კეთილდღეობა, რათა თვით ქალაქ თბილისის სწრაფ ზრდასთან ერთად გა-

ფართოებულ იყო ხელოსნური წარმოების მასშტაბი და დარგობრივი სტრუქტურა“. მაგრამ რაც დრო გადიოდა ეს ზრუნვა უფრო ძნელად გადასალახავ დაბრკოლებებს აწყდებოდა.

თბილისის ხელოსანთა თავი 1913 წლის ანგარიშგებაში წერდა, რომ თბილისის მოსახლეობისათვის საჭირო „ხელოსნური წარმოების ნაკეთობათა უდიდესი რაოდენობა თბილისში შემოდის რუსეთის სხვა ქალაქებიდან და უცხოეთიდან“ [5]. ეს იწვევდა თბილისელი ხელოსნების ნაკეთობათა მოცულობის შემცირებას, რაც უარყოფითად მოქმედებდა მათ ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. ასეთი სავალალო მოვლენა უნდა აიხსნას იმით, რომ ხელოსნები სრულებით არ ზრუნავდნენ თავიანთი ცოდნისა და დახელოვნების დონის ამაღლებისათვის.

ამქრული ხელოსნობისა და წვრილი ხელოსნური წარმოების შეუჩერებელ დაქვეითებას იწვევდა ის გარემოება, რომ 1870-1880-იანი წლებიდან ზღვისა და რკინგზის იაფი ტრანსპორტით შემოდოდა საქართველოში რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ფაბრიკულ-ქარხნული ნაწარმი, რომელმაც შეავიწროვა როგორც ოჯახური, ისე შინამრეწველობა. თუმცა ეს უკანასკნელი მაინც ინარჩუნებდა არსებობას – თავს აფარებდა რა შედარებით მიუვალ რაიონებს და ადგილობრივი მოთხოვნილების საგანათა მწარმოებელ დარგებს.

საქართველოში განვითარებულ შინამრეწველობას სხვადასხვა დარგთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა საფეიქრო მრეწველობას, სხვადასხვა შალეულის, აბრეშუმეულის, ნოხების, ფარდაგების წარმოებას; აგრეთვე ქარვას, ქსოვას და სხვ.

შინამრეწველობის განვითარებაში გარკვეულ როლს თამაშობდა ბუნებრივ-კლიმატური პირობები. მაგალითად, მთიან რაიონებში, სადაც განვითარებული იყო მეჯოგეობა, მისდევდნენ მატყლის შინამრეწველურ გადამმუშავებას, ხოლო ბარში, მიწათმოქმედების რაიონებში – აბრეშუმის, ბამბის და სხვა ბოჭკოვან მცენარეთა (სელ, კანაფი) გადამმუშავებას.

საქართველოში განვითარებული იყო ასევე ხის დამმუშავებელი შინამრეწველობა, წნულების წარმოება, მეკასრეობა, მე-

ნახშირეობა, მეთუნეობა, მეღვინეობა, რძის პროდუქტთა გადამმუშავებელი შინამრეწველობა და სხვა. მაგრამ რაც უფრო მეტად შემოდინდა ბაზრებში უკეთესი და უფრო იაფი ფაბრიკულ-ქარხნული საქონელი, მით უფრო ეცემოდა საერთოდ შინამრეწველობა.

შინამრეწველებს თანდათან გამოეყვნენ შემსყიდველი ვაჭრები. მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის წერილმრეწველურ საწარმოთა შორის გამრავლდნენ ახალი დარგები, კერძოდ, საკურავი მანქანის შემკეთებელი, ოპტიკურ-მექანიკური, ფიტულების, ლიმონათის, საძეხვე, სამსხმელო, სამრეცხაო და სხვა სახელოსნოები. 1880-იან წლებში წერილხელოსნურ საწარმოთა სახით არსებულ რიგ მრეწველურ წარმოებაში უკვე საქმე გვაქვს გამსხვილებასთან. ე. ი. ჩნდებიან ისეთი სახელოსნოები, სადაც 2-3 კაცის ნაცვლად მუშაობს ხუთი, ექვსი და მეტი მუშა.

ხელოსნური წარმოების ასეთი დარგები იყო მეკასრეობა, მეაგურეობა, მეძეხდევობა, მეკერაობა, მკინძაობა, მრეცხაობა, ზეინკლობა, დურგლობა და სხვა. ამგვარად, აქ შედის როგორც გემოკვების, აგრეთვე მშენებლობის, ტანსაცმლის წარმოებისა და სხვა დარგები.

რაც შეეხება მსხვილი წარმოების განვითარებას, იგი საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. მანუფაქტურული, ე. ი. ხელით შრომაზე დამყარებული წარმოება ნელ-ნელა ქრებოდა და ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებად იქცეოდა.

✓ კერძოდ, 1860-იან წლებში ჩათახში (სოფელი წაღკის რაიონში) აშენდა თუჯის ქარხანა, რომელიც თავისი დროისათვის საკმაოდ მსხვილი საწარმო იყო და რომელმაც ათი წელი იარსება. მაგრამ მას მაინც არსებითი გავლენა არ მოუხდენია საქართველოში მსხვილი წარმოების განვითარებაზე.

მსხვილი სამრეწველო საწარმოებიდან იმდროისთვის აღსანიშნავია ქვანახშირისა და მარგანცის წარმოებები.

ტყობულის ქვანახშირის დამუშავება 1840-იან წლებიდან დაიწყო. მისი მომხმარებლები იყვნენ შავი ზღვის ფლოტი, საქართველოს ქალაქები და უმთავრესად რკინიგზა.

ერთი მუშის საშუალო წლიური მწარმოებლურობა მოპოვებული ნახშირის მიხედვით უდრიდა: 1888 წ - 2680 ფუტს, ხოლო 1913 წელს მან მიაღწია 7000 ფუტამდე, ე. ი. გაიზარდა 260%-ით [6]. ეს გამოწვეული იყო არა იმდენად ტექნიკურ გაუმჯობესებათა, არამედ უფრო გამოცდილი და დახელოვებული მუშათა კადრების შექმნისა და მათი მუშაძალის ექსპლუატაციის ინტენსივობის გაზრდის მეოხებით. საერთოდ კი მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში გაუმჯობესებულ ტექნიკურ ბაზაზე მომუშავე სარეწავების მადაროელთა შრომის მწარმოებლურობა იმ დროსაც ბევრად აღემატებოდა ტყიბულისას. მალე უფრო მსხვილმა ფირმამ, სახელწოდებით „ნახშირა“ დაიწყო ორთქლისა და ელექტროენერჯის გამოყენება ქვანახშირის მოპოვების საქმეში.

ერთ-ერთი მსხვილი საწარმო იმდროინდელ საქართველოში ჭიათურის მარგანეცის მადაროები იყო. მეტალურჯის განვითარებასა და მარგანეცზე მოთხოვნილებების ზრდის მეოხებით ჭიათურა იზიდავდა უცხოეთის კაპიტალს. აქ ჩამოდიოდნენ გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა მეტალურჯიული ქარხნების აგენტები.

1900 წელს პირველი მადნის სარეცხი ქარხნები ააშენეს უცხოელმა ექსპორტიორებმა, რომელთაც ამით კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი მდგომარეობა. მაგრამ მარგანეცის მოპოვება უმთავრესად ადგილობრივ მეწარმეთა ხელში იყო. წვრილ მეწარმეთა მტკივნეული საკითხი იყო ფულადი კაპიტალის სიმცირე. მათ არ ჰქონდათ საშუალება თვითონვე გაეტანათ თავიანთი პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე. ამას ძირითადად უცხოელი ექსპორტიორები ახერხებდნენ. ისინი გაბატონდნენ ადგილობრივ ბაზარზეც და კარნახობდნენ ფასებს.

XIX ს. მიწურულიდან მარგანეცის მრეწველობაში ძლიერდებოდა კონცენტრაციის პროცესი. წვრილი მეწარმეები თანდათან ღატაკდებოდნენ. 1914 წელს წვრილ მეწარმეებზე მოდიოდა მარგანეცის მთლიანი მოპოვების მხოლოდ 15,1%, ხოლო უმსხვილეს მრეწველებზე, რომლებიც მრეწველთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 6,7%-ს შეადგენდნენ, მოდიოდა მთლიანი

მოპოვების 41,1%. ამ დროისათვის იქ უდიდეს როლს თამაშობს დასავლეთ ევროპის საბანკო კაპიტალი, რომელიც მოისწრაფოდა შეექმნა თავისთვის მონოპოლიური მდგომარეობა მარგანეცის ექსპორტის, ასევე მოპოვების სფეროშიც. აღსანიშნავია, რომ 1900 წელს ჭიათურაზე მოდიოდა მარგანეცის მსოფლიო მოპოვები 45,5% და მსოფლიო ექსპორტის 47% [2].

რკინიგზის მშენებლობამ საქართველოში გამოიწვია წერილი და მანუფაქტურული მრეწველობის ადგილას მანქანური წარმოების გაძლიერება და გავრცელება. თვით რკინიგზის სახელოსნოები, განსაკუთრებით თბილისის ვაგონშემკეთებელი სახელოსნო ერთ-ერთი უდიდესი ქარხანა იყო არამცთუ საქართველოში, არამედ მტელ კავკასიაშიც.

ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში (თბილისში) 1890 წ. მუშაობდა 1058 მუშა, 1859 წ. – 1595, 1902 წ. – 3072, 1913 წ. – 4260. დროებით დაქირავებულ და სხვა დამხმარე სამუშაოებზე დასაქმებულ მუშათა ჩათვლით აქ საშუალოდ ხუთი ათას კაცამდე მუშაობდა.

ამგვარად, XIX ს. 80-იანი წლებიდან საქართველოში მრეწველობის მრავალი დარგის წერილი წარმოების ფორმებიდან და მანუფაქტურიდან ფაბრიკულ ფორმაში გადადის. ასე მოხდა აბრეშუმის, ბამბის მრეწველობის დარგებში, თამბაქოს, ტყავის, კასრების, აგურის და კრამიტის წარმოებაში. ფაბრიკის ინჟექციის მეთვალყურეობაში შემავალი ინდუსტრიული სწარმოები მათში დასაქმებული მუშების მიხედვით ნაჩვენებია № 1 ცხრილში.

როგორც №1 ცხრილიდან ჩანს, 1904 საწარმოთა საერთო რაოდენობაში ყველაზე მეტი ხვედრი წონითი გამოირჩეოდა საწარმოები, სადაც დასაქმებული იყო 20-მდე და 21-დან 50-მდე მუშა, შესაბამისად ასეთი საწარმოების რაოდეობა იყო 36 და 34. 501-დან 100-მდე და 101-დან 500-მდე მუშით დასაქმებული საწარმო იყო 10-11. ხოლო 501-დან 1000-მდე და 1000-ზე მეტი მუშით დასაქმებული სწარმო იყო შესაბამისად 3 და 2.

მომდევნო წლებში აღინიშნება მცირე საწარმოთა ხვედრი წონის კიდევ უფრო გაზრდა საწარმოთა საერთო რაოდენობაში

სადაც დასაქმებული იყო 20-მდე და 21-დან 50-მდე მუშა. 501-დან 1000-მდე და 1000-ზე ზევით დასაქმებული მუშებით წარმოდგენილი საწარმოები აღარ არსებობდა. მოხდა მათი დაშლა და საშუალო საწარმოებად გარდაქმნა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მაშინდელ ოფიციალურ სტატისტიკას არ ჰქონდა შემუშავებული „ფაბრიკა-ქარხნის“ ცნება, ასე რომ, მრავალი წერილი, ხელოსნური და შინამრეწველური საწარმო აღირიცხებოდა როგორც ფაბრიკა-ქარხანა.

ასე მაგალითად, წისქვილები განიხილებოდა როგორც ქარხნული საწარმო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათი დიდი უმრავლესობა არა, მაგრამ ზოგიერთი მართლაც წარმოადგენდა ქარხანას. კერძოდ, ორთქლის წისქვილი მანქანურ წარმოებას მიეკუთვნება და მეცნიერულ გაგებით ქარხანას წარმოადგენს. მაგრამ იმდროინდელ საქართველოში ორთქლის წისქვილები ცოტა იყო. 1902 წელს მუშაობდა 12 ორთქლის წისქვილი, სადაც დასაქმებული იყო 49 მუშა. საქართველოში სულ აღირიცხებოდა 3161 წისქვილი, სადაც 3300 კაცი მუშაობდა. როგორც ვთქვით, ორთქლის წისქვილები უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ წისქვილთა საერთო რაოდენობაში.

საერთოდ, წისქვილები შეადგენდნენ „ფაბრიკა-ქარხნების“ საერთო რაოდენობის 51,3%-ს – 1899 წელს, 66,8%-ს – 1902 წელს, 71,6 % – 1908 წელს, 65,7% – 1910 წელს და 61,3%-ს – 1911 წელს. ამავე დროს საერთოდ წისქვილებში დასაქმებული იყო მუშათა საერთო რაოდენობის 14,2% – 1899 წელს, 14,7% – 1910 წელს და 9,8% – 1911 წელს [6].

ამგვარად, წისქვილები შეადგენდნენ „ფაბრიკა-ქარხნების“ საერთო რაოდენობის 51-72%-ს. მათში დასაქმებული იყო მუშათა საერთო რაოდენობის მხოლოდ 2-10%. ქარის, წყლისა და ცხენის წისქვილები წარმოადგენდნენ წერილ საწარმოებს. მათში დასაქმებული იყო საშუალოდ ერთი კაცი.

N 1870-იანი წლებიდან საქართველოში ჩნდებიან ახალი ფორმაციის ვაჭრები და მეწარმეები, რომლებიც ხელს ჰკიდებენ მომგებიან სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველო დარგების ორგანიზაციას.

1865 წელს გურიის თავადაზნაურთა შთამომავლამ გიორგი ბოლქვაძემ ქ. ქუთაისში დააარსა არყის ქარხანა, რომელიც სხვადასხვა ტიპის მაგარ სასმელს ამუშავებდა. გ. ბოლქვაძის ქარხანა იმხანად ითვლებოდა ამიერ-იმიერ კავკასიაში ერთადერთ მაღალადტყურვილ სამრეწველო ქარხანად. აქ კონიაკი მზადდებოდა ორგვარი ტექნოლოგიით: „ნატურალური და ხელოვნური“. ნატურალურმა კონიაკმა 25 ჯილდო მიიღო, ხელოვნურმა კი - 9.

ქართული კონიაკის პირველ დიდ გამარჯვებად ითვლება გ. ბოლქვაძის „კავკასიის ნატურალური კონიაკის“ მიერ 1879 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენაზე მოპოვებული ოქროს მედალი. საერთოდ მისმა სასმელებმა 1865-1900 წლებში მოიპოვა 100-ზე მეტი ჯილდო.

ამავე პერიოდში საქართველოში გამოირჩევიან სარაჯიშვილებისა და ზუბალაშვილების სავაჭრო სახლები. დავით ზაქარიას ძე ზუბალაშვილმა 1871 წელს ჰაიდელბერგში (გერმანია) დაამთავრა უნივერსიტეტი, გახდა ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი, ჩამოვიდა თბილისში და მოაწყო არყისა და კონიაკის წარმოება. იგი გახდა ამ დარგში ყველაზე გამოჩენილი მრეწველი კავკასიასა და მთელი რუსეთის იმპერიაში.

საერთოდ, ზუბალაშვილების გვარი ოდითგანვე ცნობილი ყოფილა საქართველოში, როგორც წარმატებული მოვაჭრეებისა და მოგვიანებით - როგორც მეწარმეებისა.

XIX ს. ოციანი წლებიდან ასპარეზზე გამოდის მისი ძმა - იაკობ ივანეს ძე, რომელმაც თავისი ბიზნესი არა მარტო ვაჭრობით, არამედ წარმოებით - კერძოდ კი, არყის წარმოებით დაიწყო. მან ქუთაისში დააარსა არყის წარმოება. ხაზგასასმელია ის, რომ მაშინ დასავლეთ საქართველოში არც ერთი საწარმო არ არსებობდა და არც ვაჭრობაში იყვნენ იქაურები დახელოვნებულნი. იაკობ ზუბალაშვილს არყის წარმოებაზე მონოპოლია მოუპოვებია, რითაც ხაზინის შემოსავალი 3-ჯერ გაზრდილა. არყით ძირითადად მარაგდებოდა რუსეთის ჯარი. შემდეგ მას თავისი ბიზნესი თბილისში გადმოუტანია. კერძოდ ააშენა დიდი ქარვასლა, რომელშიც იყო 10 სავაჭრო მაღაზია,

ფაბრიკის ინსპექციის მეთვალყურეობაში შემავალი ინდუსტრიული საწარმოები
 მათში დასაქმებული მუშების მიხედვით [2]

ცხრილი 1

წლები	20-მდე მუშით		21-დან 50-მდე მუშით		51-დან 100-მდე მუშით		101-დან 500-მდე მუშით		501-დან 1000-მდე მუშით		1000-ზე მეტი მუშით		სულ		
	საწარმოს რაოდენობა	მუშათა რაოდენობა	საწარმოს რაოდენობა	მუშათა რაოდენობა	საწარმოს რაოდენობა	მუშათა რაოდენობა	საწარმოს რაოდენობა	მუშათა რაოდენობა	საწარმოს რაოდენობა	მუშათა რაოდენობა	საწარმოს რაოდენობა	მუშათა რაოდენობა	საწარმოს რაოდენობა	მუშათა რაოდენობა	
1904	36	518	34	1118	10	623	11	2362	3	18					
1908	61	749	28	896	5	405	15	3247	—	57	2	3045	96	9523	
1910	61	742	37	1569	8	559	13	2939	—	—	—	—	109	5297	
1912	99	882	63	2158	13	918	16	2865	—	—	—	—	119	5809	
1913	117	1229	54	1792	18	1368	16	3509	—	—	—	—	191	6823	
1914	114	1238	82	1951	17	1314	20	3707	—	—	—	—	208	7898	
													233	8210	

ღვინის სარდაფები, სასტუმრო 71 ოთახით და სხვა. იაკობ ზუბალაშვილმა 1873 წელს გახსნა ამიერკავკასიაში პირველი შაქრის ქარხანა, თანაც მთავრობისაგან იმაზე დიდ შეღავათს მიაღწია, რასაც ადრე არყის წარმოებისას ითხოვდა — მას სააქციზო გადასახადი მოუხსნეს. სამაგიეროდ დაზოგილი თანხით საქართველოში შაქრის ლერწმის პლანტაციები უნდა გაეშენებინა. მაგრამ მისი ერთ-ერთი პარტნიორი უბო-უკვლოდ დაიკარგა და ეს წამოწყება ჩაიშალა.

შემდეგ სამეწარმეო საქმიანობაში დაწინაურდნენ დავითი, გიორგი, მიქელ და ანტონ ზუბალაშვილები. აღსანიშნავია, რომ ზუბალაშვილები თბილისი კომერციული ბანკის უმსხვილესი

აქციონერებიც იყვნენ. მაგრამ უმტავრესი, რითაც ისინი შემორჩნენ საქართველოს ისტორიას, ქველმოქმედება იყო.

პირველი ნაბიჯები ქართული ღვინომასალისაგან შამპანური წარმოების მოსაწყობად გადაიდგა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გაბურჟუებული მემამულის, თავად ი. ბაგრატიონ-მუხრანელის მეურნეობაში.

მაგარი სასმელების წარმოების საქმის ორგანიზებას მოჰკიდა ხელი დავით სარაჯიშვილმა. მან 1885 წელს თბილისში გახსნა სარეტიფიკაციო ქარხანა, რომელიც 1887 წელს სრულყოფილ არყის ქარხნად გადაკეთდა. 1888 წელს მან გახსნა რუსეთის იმპერიაში პირველი კონიაკის სპეციალიზებული ქარხანა.

1884 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე დ. სარაჯიშვილი სათავეში ედგა ფირმას, რომელიც აერთიანებდა რამდენიმე ლიქიორ-არყისა და კონიაკის ქარხნებსა და საწყობებს რუსეთის იმპერიაში.

1889-1913 წლებში დავით სარაჯიშვილის ფირმის კონიაკებმა და სხვა სასმელებმა საერთაშორისო, მსოფლიო, სრულიად რუსეთის გამოფენებსა და ბაზრობებზე მიირეს 11 ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლები.

იმერეთში ნიკო ნიკოლაძის მამამ, იაკობმა შავი ზღვის გზით გემებით შემოიტანა საქონელი საქართველოში. იგი დიდვაჭარი გახდა. ცდილობდა ბამბის ფაბრიკის გამართვას, რის შესახებაც 1865 წელს სწერდა თავის შვილს ნიკოს პარიზში და სთხოვდა დახმარებოდა ამერიკული საქსოვი მანქანის შექმნაში, თან, როგორც აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი მითითებს, ასეთ შეგონებას ურთავდა: „პოპიტკა ნე უბიტკა“-ო.

XXIX საუკუნის 70-90-იან წლებში საქართველოში შეიქმნა რძის გადამმუშავებელი გაერთიანებები. 1915 წელს საქართველოში იყო 19 კერძო ქარხანა. საშუალოდ ერთ ქარხანაზე მოდიოდა 280 ტ. რძის გადამმუშავება. ყველ-კარაქის მრეწველობა მთლიანად თავმოყრილი იყო მხოლოდ ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში. საქართველოს დანარჩენ რაიონებში კი ვერ განვითარდა.

საქართველოში ცალკეული მესაკუთრეების ხელში იმყოფებოდა თამბაქოს, ეთერზეთების, პურპროდუქტების, საკონდიტრო და სხვა კვების სწარმოები, ხილეულის წყლებისა და ლუდის წარმოება.

მიუხედავად ცალკეული მეწარმეების მცდელობისა საქართველო წარმოადგენდა ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანას, რომელსაც ცალმხრივად განვითარებული მრეწველობა და ნაკლებპროდუქტიული, უპირატესად წვრილგლეხური სოფლის მეურნეობა ჰქონდა. რუსეთის კაპიტალიზმის მას ითრედა საქონლის მსოფლიო საქონელმომოქცევაში, ქმნიდა ბაზარს მისი ფაბრიკებისათვის.

სტეფანე ზუბალაშვილი მეწარმეობასთან ერთად საშინაო და საგარეო ვაჭრობას ეწეოდა ირანთან, თურქეთთან, ინდოეთთან, რუსეთთან და სხვებთან.

საბჭოურ პერიოდში კერძო საკუთრება და მეწარმეობა სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულად იყო მიჩნეული, „მეწარმეობა“, „საქმოსნობა“, „კომერსანტობა“ საზოგადოებასი საღანძღავ სიტყვებად ითვლებოდა და მხოლოდ ნეგატიური მნიშვნელობით იხმარებოდა.

ინიციატივიანი, თაოსანი მეურნეებისადმი ასეთმა უსამართლო მიდგომამ გერგილიანი, თავისუფალი მეწარმეობის სულისკვეთების ადამიანები არალეგალურად აამოქმედა. ყოველივე ამან ქართველი მეწარმის ნიჭი და ენერჯია მიმართა არა იქითკენ თუ როგორ გაეუმჯობესებინა საქმიანობა და მიეღო გაზრდილი მოგება, არამედ როგორმე თავი აერიდებინა ბიუროკრატიული ბარიერებისა და ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობებისათვის.

ახლო წარსულის საქართველოში მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბება 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო. სწრაფი ტემპით განვითარდა კერძო სექტორი. ბევრს გაუჩნდა სურვილი წამოეწყო „საკუთარი საქმე“. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში შექმნილ კოოპერატივთა უმრავლესობა (75-80 პროცენტი) სახელმწიფო სწარმოთა ბაზაზე ფორმირდებოდა და მათი არსებობაც და განვითარებაც თითქმის მთლიანად სახელმწიფო

საწარმოებზე იყო დამოკიდებული. ეს ერთგვარი უსაფრთხოების გარანტიაც იყო, რამდენადაც დამწეები მეწარმეები უსიქოლოგიურად ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად დამოუკიდებლად განეხორციელებინათ თავისი საქმიანობა და საკმაოდ დიდი იყო სახელმწიფო ინსტიტუტებზე დამოკიდებულების ხარისხი. მეორე მხრივ, კოოპერატივების შექმნა სახელმწიფო საწარმოების ბაზაზე ხელსაყრელი იყო თავად ამ საწარმოთა ხელმძღვანელებისათვისაც. კოოპერატივების მიმართ ტარდებოდა შედარებით ღიბერალური ფასების პოლიტიკა, ხოლო სახელმწიფო საწარმოების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე (მომსახურებაზე, სამუშაოზე) დაწესებული იყო ფიქსირებული ფასი, რაც კარგ ნიადაგს ქმნიდა იმისათვის, რომ შეკვეთები შესრულებულიყო კოოპერატივის სახელით და შედეგად კოოპერატივის ფასსა და სახელმწიფო სწარმოს ფასს შორის სხვაობა მნიშვნელოვანი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას იძლეოდა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლად მიუთითებს, რომ საწყის ეტაპზე მეწარმეობადა კერძო სექტორი ყალიბდებოდა როგორც სახელმწიფო სექტორის დანამატი.

ამავე პერიოდში აქტიურად დაიწყო საიჯარო ურთიერთობათა (განსაკუთრებით იჯარა გამოსყიდვის უფლებით) დამკვიდრება, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო სექტორიდან კერძო სექტორში ქონების ფაქტიურად უკონტროლო გადადინების პროცესს. კერძო სექტორის მიერ გამოსყიდული ქონება ხშირად არადანიშნულებისამებრ გამოიყენებოდა, მაშინ, როდესაც სახელმწიფო საწარმოების მიერ ძირითადი ფონდების გაყიდვა აფერხებდა თავად ამ საწარმოების მუშაობას. საიჯარო ურთიერთობებისადმი ამგვარმა მიდგომამ შედარებით მოგვიანებით იჩინა თავი, როდესაც სამეურნეო კავშირების მოშლის შედეგად ტრადიციულ მომწოდებლებთან ვერ ხერხდება ძირითადი ფონდების დატვირთვა და ხდებოდა მისი ჯართის სახით რეალიზაცია.

80-იანი წლების მიწურულს და 90-იანი წლების დასაწყისში ყოფილ სბჭოთა კავშირში საზღვარგარეთის ქვეყნებთან მიმოსვლის პროცედურების გამარტივების კვალობაზე დაიწყო

სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურება. ეს პროცესიც სახელმწიფო სექტორთან მჭიდრო ურთიერთკავშირში წარიმართა. ბაზარზე არსებობდა საქონლის უმწვავესი დეფიციტი. დიდი შემოსავლების მისაღებად საკმარისი იყო უმარტივესი სავაჭრო ოპერაციების განხორციელება. მეწარმეობისათვის ხელშეწყობა ხდებოდა ცალკეული მეურნე-სუბიექტების დონეზე. გამომდინარე იმ დაინტერესების ხარისხიდან, რომელიც არსებობდა ცალკეულ უწყებათა მხრიდან. ამან საკმაოდ ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა გადასახადებისაგან და სხვა საკანონმდებლო მოთხოვნებისაგან თავის ასაცილებლად, რამაც პოლიტიკურ დესტაბილიზაციასთან ერთად ხელი შეუწყო სამეწარმეო სტრუქტურების კრიმინალიზაციას. ბაზარი ძირითადად იმპორტირებულ საქონელზე იყო დამოკიდებული. განსაკუთრებით კვების პროდუქტების და ზოგადად სასურსათო საქონლის ბაზარი, რამდენადაც საქართველოში სწორედ ეს ბაზარი ფუნქციონირებდა აქტიურად. მოსახლეობის შემოსავლები შეზღუდული იყო და ისინი უპირატესად მიმდინარე მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე იყო მიმართული, მომხმარებელი ალტერნატივის არარსებობის გამო ვერანაირ გავლენას ვერ ახდენდა მომწოდებელზე. ასეთ ვითარებაში მომწოდებელს უკვე შესაძლებლობა ეძლევა ბაზარზე ნებისმიერი, მისთვის ხელსაყრელი პირობა შესთავაზოს მომხმარებელს, ამასთან, გარდა იმისა, რომ ზარალდება მომხმარებელი, მოქმედი მეურნე-სუბიექტები წინააღმდეგობას უწევენ ბაზარზე ახალი მეურნე-სუბიექტების გამოჩენას, რომლებიც მომხმარებლის მოზიდვას ცდილობენ საქონლის ფასით, ხარისხით და სხვა კონკურენტული ბრძოლისათვის დამახასიათებელი მეთოდებით.

ბაზარზე ახალი მეურნე-სუბიექტების გამოსვლას აფერხებდა არსებული საკანონმდებლო ბაზა და აგრეთვე ლიცენზირების არსებული სისტემაც. ლიცენზიის მისაღებად მეწარმეს უხდებოდა რამდენიმე სახელმწიფო უწყებასთან ურთიერთობა, სადაც ოფიციალურ სახელმწიფო გადასახადთან ერთად არსებობდა გარკვეული გაუთვალისწინებელი ხარჯებიც.

ურთულესი პირობები შეიქმნა სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სფეროში. საწარმოთა პრივატიზების შედეგად ვითარება თვისობრივად არ შეცვლილა და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უმოქმედოდაა, ხოლო 40-45 პროცენტი მუშაობს უმნიშვნელო დატვირთვით. 2000 წლის ჩათვლით საქართველოში 76 000 რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი არსებობდა, საიდანაც 46 000 არ ფუნქციონირებს (60,5 %). მომავალში იგივე ტენდენცია გაგრძელდება და უმოქმედო საწარმოთა რიცხვი გაიზრდება. მრეწველობის 15 დარგი ოფიციალური მონაცემებით გაჩერებულია და უახლოეს მომავალში მათი ამოქმედება - ამუშავების პროგრამა არ არსებობს. საგადასახადო ტვირთის, მეწარმეთა არათანასწორუფლებიანობის და კონტრაბანდის მოზღვაგების გამო ლეგალური ბიზნესი არარენტაბელური გახდა, ამიტომ დიდი ნაწილი გადადის არალეგალურ მდგომარეობაში. ექსპერტთა აზრით, თუ ეს შეფარდება 1999 წელს იყო 3/2 ლეგალურის სასარგებლოდ 2000 წელს ეს მდგომარეობა შეიცვალა 2/3 არალეგალურის სასარგებლოდ. ეს მდგომარეობა კი დღითიდღე უფრო უარესდება.

შექმნილ ვითარებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს უცხოური კრედიტებისა და დახმარებების ეფექტიანი გამოყენება. ცხოველთა მიერ ადგილობრივ წარმოებაში ჩართვის ყველაზე პოპულარულ ფორმას წარმოადგენს ერთობლივი საწარმო, თუმცა მათ საქმიანობას ხელს უშლის ცვალებადი საგადასახადო სისტემა, საკანონმდებლო ბაზის არასრულფასოვნება, კორუფცია და მისი არსებობისათვის ხელშემწყობი გარემო, რაც ბიზნესმენებს სურვილს უკარგავს საქმის გასაგრძელებლად.

მიმდინარე ეტაპზე სახელმწიფოს მთელი მცდელობა მიმართულია გადასახადების ამოღებისაკენ. რა თქმა უნდა, გადასახადების ამოღება ბიუჯეტის სტაბილურობის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, მაგრამ ცალმხრივი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ დროთა განმავლობაში უკიდურესად გაამწვავებს სახელმწიფოს მხრიდან მეწარმეობის რეგულირების პროცესს, რის შედეგიც შეიძლება იყოს სამეწარმეო საქ-

მიანობის შეწყვეტა, ან ე. წ. „გადასახადებისაგან გაქცევა“, რაც უკვე თვალნათლივ ჩანს დღევანდელ სამეწარმეო საქმიანობაში. მაკონტროლებელი მექანიზმების გაძლიერება სახელმწიფოს მიერ მაშინ, როც არ არსებობს მეწარმეობის მასტიმულირებელი საკანონმდებლო ბაზა, ვერ გამოიღებს დადებით შედეგს და შესაძლოა მთელი ეკონომიკური სისტემის პარალიზებაც გამოიწვიოს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მეწარმეობა ძირითადად განიხილება მარტოდონ შემოსავლის მიღების წყაროდ, მაშინ როდესაც ბიზნესი, მეწარმეობა უპირველეს ყოვლისა ინდივიდის თავისუფლებისა და მისი შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის საშუალებაა, ხოლო შემოსავლის მიღება წარმოადგენს ამ პროცესის შედეგს. აქედან გამომდინარე, მეწარმეობა მოცილდა თავის ობიექტურ საფუძველს და ვითარდება სუბიექტური ნიშნის მიხედვით, რის გამოც ვერ ხერხდება მისი სოციალურ მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში მოყვანა. მოვლენების ამ მიმართულებით განვითარება გამოიწვევს სოციალური კონფლიქტების მომწიფებას, რომელიც დღეს უკვე ძალიან კარგად ჩანს, რაც თავის მხრივ ქვეყანაში პოლიტიკურ და ეკონომიკური დესტაბილიზაციის მიზეზი შეიძლება გახდეს.

ამგვარად, ბიზნესის განვითარება საქართველოში შეიძლება დავეყთ 4 ეტაპად:

1. ბიზნესის წარმოშობის პერიოდი, როდესაც იგი გაიგივებული იყო ვაჭრობასთან, მევახშეობასთან და კუსტარულ წარმოებასთან. მეწარმეობის ძირითად ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენდა ინდივიდუალური წარმოება;
2. ბიზნესის გამოცოცხლების პერიოდი (XIX ს. 30-იანი წლების შემდგომ). ვითარდება წვრილი წარმოება (შინამრეწველობა და ხელოსნობა) ისეთ დარგებში, რომლებიც დამყარებულნი იყვნენ ადგილობრივი ნედლეულის, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებაზე და რომელთაც დიდი გასავალი ჰქონდათ რუსეთის ბაზრებზე. მსხვილი წარმოება ძირითადად ვითარდებოდა მოპოვებითი მრეწველობის დარ-

გებში, თუმცა მის განვითარებას ხელს უშლიდა ცარიზმი. მეწარმეობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენდა ინდივიდუალური წარმოება და სააქციო საზოგადოებები. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფეხს იკიდებს ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება;

3. საბჭოურ პერიოდში არსებული არალეგალური ბიზნესი, როცა კერძო საკუთრება და მეწარმეობა დანაშაულად იყო მიჩნეული. „საქმიანობა“, „კომერსანტობა“, „მეწარმეობა“ საღანძღავ სიტყვებად ითვლებოდა და მხოლოდ ნეგატიური მნიშვნელობით იხმარებოდა. ნიჭიერი მეწარმეები ცდილობდნენ როგორმე თავი აერიდებინათ ბიუროკრატიული ბარიერებისა და ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობებისათვის. ქვეყანაში არსებობს საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული ფაბრიკა-ქარხნები, ხოლო კერძო საწარმოები მოქმედებენ არალეგალურად, მათი მფლობელები გამოვლენის შემთხვევაში მკაცრად ისჯებოდნენ;

4. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი. საწყის ეტაპზე (XX ს. 80-იანი წლების ბოლოს) მეწარმეობა და კერძო სექტორი ყალიბდებოდა როგორც სახელმწიფო სექტორის დანამატი. ამ პერიოდში შექმნილ კოოპერატივთა უმრავლესობა (75-80%) სახელმწიფო საწარმოთა ბაზაზე ფორმირდებოდა. 1999 წლიდან მეწარმეობის ყველაზე გაერცელებულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს ინდივიდუალური საწარმო (45,7 %) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, (32,5 %) სოლიდარული პასუხისმგებლობის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (3%), სააქციო კომანდისტური საზოგადოება, კოოპერატივი და და სხვა (18,8%). აქედან 86% იმყოფებოდა კერძო პირთა საკუთრებაში და მხოლოდ 6,6 % მიეკუთვნებოდა სახელმწიფო სექტორს. ISI ხელისუფლებამ ვერ შეასრულა მტკიცე როლი, რომ შეექმნა ყველასათვის კონკურენციის თანაბარი პირობების, არსებობს კორუფციის ძლავრი ტალღა. მეწარმეთა დიდი ნაწილი „ჩრდილოვან“ და „ნახევრად ჩრდილოვან“ საქმიანობას ეწევიან. ბიზნესის განვითარებას ხელს

უშლის მთვარობის წევრების ჩარევა ყოველგვარ საქმიანობაში, ასევე არასრულყოფილი საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც უკვე მრავალჯერ შეიცვალა.

მეწარმეობა ნელ-ნელა იქცევა რეალურ ეკონომიკურ და სოციალურ ძალად, თუმცა ამ პროცესს მნიშვნელოვნად ზღუდავს პოლიტიკური და სოციალური წინააღმდეგობები, კერძოდ, გარდამავალი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური არასტაბილურობა, მეწარმეობისათვის არასასურველი ფსიქოლოგიური ფონი, გადატაკებული მოსახლეობის უნდობლობა კერძო ბიზნესისადმი, ინფლაცია, გადასახადების სიმრავლე განაპირობებს მეწარმეთა ორიენტაციას არა განვითარებაზე, არამედ საკუთარი გადარჩენისათვის ბრძოლაზე. საბაზრო ურთიერთობათა განვითარება საქართველოში შეუქცევადი პროცესია, რადგან ბაზარს ქმნის არა საქონელი, არამედ ურთიერთკონკურენტი მეწარმეები. მათი უდიდესი უმრავლესი ქვეყანაში მცირე ბიზნესმენებია. მათი საქმიანობა ხელს შეუწყობს კონკურენციული მექანიზმის სრულყოფილად ამოქმედებას და საბაზრო გარემოს შექმნას.

ლიტერატურა

1. გველესიანი რ. მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა. თბილისი, გამომცემლობა „სამშობლო“, 1999.
2. გუგუშვილი პ. კაპიტალიზმის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1941.
3. გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX სს (1949–1984 წწ). თბილისი, “მეცნიერება”, 1985.
4. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები. ტომი VII. თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1951.

5. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, ფონდი 199, საქმე № 13, 1912. საქმე № 25, 1913.
6. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1961 წწ. პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით. თბილისი, 1961.
7. მაქსოვეი მ. მეწარმეობისა და ბიზნესის საფუძვლები საქართველოში. თბილისი, თსუ, 1997.
8. პაპავა გ. საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები. თბილისი, გამომცემლობა „ენა“, 1991.
9. ქეშელაშვილი ო. საქართველოს ბიზნესური პროფილი, ძირითადი მოტივაციები და განვითარების კონცეპტუალური საკითხები. შურნალი „ეკონომიკა“, 1996, № 4-6.

REVIVING OF MANUFACTURING BUSINESS IN GEORGIA

Gulnazi Erqomaishvili

*I. Javakhishvili Tbilisi State University
2, University St, 0102, Tbilisi, Georgia*

Summary. This paper studies periods and stages of development of manufacturing and business in Georgia, namely: creation of business; dating back to slave order; revival of business (beginning from 30th of XIX century); illegal business during the Soviet Union, when private property and manufacturing were considered to be a crime; transition period to the market economy. A major part of manufacturers are conducting illegal business. Corruption and interference from authorities have harmful effects on the further development of business.

ПРОИСХОЖДЕНИЕ И РАЗВИТИЕ БИЗНЕСА В ГРУЗИИ

Гулнази Эркоманшвили

Тбилисский Государственный Университет

им. И. Джавахишвили

Тбилиси, 0102, ул. Университетская 2

Резюме. В статье дана периодизация и этапы развития предпринимательства и бизнеса в Грузии; в частности рассмотрены: период возникновения бизнеса, который берёт начало от рабовладельческого строя, период оживления бизнеса (после 30-ых годов XIX в.), советский период, когда существовал только нелегальный бизнес, переходный период к рыночной экономике.

ПРЕДПОСЫЛКИ И ПЕРСПЕКТИВЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ МАРКЕТИНГА В ГРУЗИИ

Георгий Бериулава

Институт экономики им. П. Гугушвили

Академия наук Грузии

Тбилиси, 0107, ул. Кикодзе 14

Поступила: 20 Августа, 2003

Резюме. В статье рассматривается наличие необходимых и достаточных условий для применения маркетинговой ориентации в Грузии. Было установлено, что по крайней мере в большинстве её отраслей уже сложились необходимые предпосылки, которые создают условия, когда функционирование на принципах маркетинга просто необходимо для обеспечения положительных результатов деятельности фирмы. Но с другой стороны, отсутствуют предпосылки, определяющие достаточное условие, при наличии которых маркетинговая ориентация предприятий становится возможной. В качестве мер по преодолению этих проблем в работе рассматривается: вовлечение отечественных предприятий в процесс глобализации, посредством создания совместных предприятий и стратегических альянсов с “западными” компаниями; совершенствование системы образования менеджеров и реализация программ по тренингу; создание специализированных маркетинговых институтов.

* * *

Одним из основных событий развития мировой экономики в последней декаде прошлого века, явился развал централизованно-плановой экономической системы в странах “восточного блока”. Переход на принципы рыночного хозяйствования, вызвал вполне закономерный интерес в этих странах к управленческим подходам и методам,

характерным для “западной” экономики. Либерализация торговли и цен, ликвидация политики субсидирования, процессы приватизации и реструктуризации предприятий создали благоприятную почву для полной свободы экономических субъектов. В новых условиях, экономическое благосостояние предприятия становится зависимым от того, насколько эффективно оно сможет осуществить обмен на рынке. Одной из основных предпосылок эффективного рыночного обмена является управленческая философия, ориентирующая всю производственно-сбытовую деятельность предприятия на выявление и удовлетворение нужд и потребностей клиентов. Такая управленческая философия, которая ставит во главу угла, интересы покупателей известна на “западе” под названием-маркетинговая (рыночная) ориентация. Однако, маркетинговая ориентация применима только при наличии определенных условий. В данной работе, на примере Грузии, рассматриваются предпосылки формирующие необходимые и достаточные условия, при которых применение маркетинговой ориентации целесообразно и возможно.

1. Маркетинговая ориентация и необходимые условия для её использования

Маркетинговая ориентация – это общефирменная философия, предусматривающая осуществление следующих мероприятий:

- сбор рыночной информации о текущих и потенциальных нуждах и потребностях клиентов;
- ознакомление с собранной о клиентах информацией, сотрудников всех функциональных служб фирмы;
- общефирменное реагирование на полученную информацию [1].

Подобный подход к бизнесу характерен для большинства западных корпораций. Используя данный комплекс мероприятий, фирмы стремятся улучшить результаты своей рыночной деятельности (прибыль, рыночную долю и т.д.), удовлетворяя нужды своих клиентов более эффективно, чем конкуренты [2].

Однако, возникает вполне закономерный вопрос: всегда ли маркетинговая ориентация приводит к выгодным для фирмы результатам деятельности? Если нет, то в каких случаях она необходима, а в каких невыгодна? Вполне очевидно, что маркетинговый подход к бизнесу оправдывает себя лишь в том случае, если дополнительная информация о целевых рынках позволяет фирме:

- увеличить прибыль от заключаемой сделки;
- увеличить число заключаемых сделок;
- уменьшить стоимость заключения сделки [3].

Если же сбор дополнительной информации не способен привести к одному из вышеперечисленных результатов, то использование маркетинговой ориентации вряд ли можно считать уместным. В целом, можно выделить следующие ситуации, в которых применение маркетинга не имеет смысла.

Во-первых, подобная ситуация возникает когда жизнеспособность предприятия не находится в прямой зависимости от конечных результатов его деятельности. Сюда относятся также те случаи, когда предприятия не могут самостоятельно менять свой товарный ассортимент, выбирать торговых партнёров или определять ценовую политику. В бывшем СССР, к примеру, в условиях господства централизованно-плановой системы, экономические цели ставились в зависимость от главных политических и идеологических приоритетов, таких как недопущение безработицы и увеличение валового выпуска. Контроль за реализацией этих приоритетов возлагался на ряд центральных органов. Этими органами: планировались цели (ориентированные главным образом на валовый выпуск) для каждого индивидуального предприятия; устанавливалась жесткая система цен; предприятия закреплялись друг за другом на основе долговременных связей. При полном отсутствии свободы в своей производственно-сбытовой деятельности, ни одно предприятие никогда не беспокоилось за своё будущее. После того как продукция сходила с конвейера, она переставала быть заботой выпускавшего её предприятия. Даже в случае длительных убытков, политика государственного субсидирования гарантировала предприя-

тия от банкротств. Одним словом, в условиях командной экономики отсутствовала зависимость между результатами производственно-хозяйственной деятельности и рыночным обменом. Следствием этого на макро- уровне явились избыточный спрос и дефицит практически во всех отраслях экономики. В условиях экономики дефицита производители диктуют покупателям свои условия, на которые последние вынуждены соглашаться. Естественно, что в такой ситуации у производителей отсутствуют необходимые стимулы для использования маркетинга.

Во-вторых, даже когда результаты деятельности фирм зависят напрямую от рыночного обмена, фирмы не всегда следуют маркетинговой ориентации. Например, в рыночных условиях близких к ситуации чистой монополии или совершенной конкуренции необходимые предпосылки для использования маркетинга также могут отсутствовать. В первом случае, монополист посредством ограничения выпуска и возведения входных барьеров, имеет возможность зарабатывать сверхприбыль не интересуясь при этом мнениями покупателей. На совершенно конкурентных рынках фирмы зарабатывают нормальную прибыль также без каких-либо усилий по сбору информации о потребностях рынка. Этот рынок характеризуется однородностью информации и низким уровнем неопределённости. Поэтому, маркетинговая ориентация в обоих случаях может привести скорее к ненужному росту затрат, чем к положительным результатам.

На основе вышеприведенных рассуждений, можно резюмировать, что применение маркетинга необходимо и целесообразно только при наличии определённых предпосылок. Можно выделить следующие необходимые условия, которые формируют соответствующие стимулы для перевода деятельности фирмы на принципы маркетинговой ориентации.

Во-первых, это полная свобода экономических субъектов в принятии производственно-сбытовых решений. Во-вторых, это зависимость результатов хозяйственной деятельности предприятия от эффективности рыночного обмена. В-третьих, это отсутствие монопольных структур, а также каких-либо ограничений препятствующих конкурен-

ции. В-четвертых, это наличие избыточного предложения на рынке. В-пятых, это неоднородность информации и высокая степень неопределённости рынка.

Подобная ситуация наиболее характерна для олигополистических рынков и рынков монополистической конкуренции. Наличие данных предпосылок создаёт в экономике объективные условия, в которых маркетинговая ориентация является целесообразной и необходимой. В отсутствии данных условий маркетинговая ориентация теряет свой смысл. Поэтому мы определяем пять вышеперечисленных предпосылок как необходимые условия, в которых применение маркетинга имеет смысл.

Однако, являются ли данные условия ещё и достаточными для реализации принципов маркетинговой ориентации в странах с переходной экономикой? Как свидетельствует опыт стран восточной Европы, наличие перечисленных выше предпосылок является лишь необходимым, но не достаточным условием для эффективного использования маркетинга [4, 5, 6, 7, 8]. Существует ряд факторов препятствующих успешному применению маркетинговых методов в странах с переходной экономикой. Рассмотрим эту проблему на примере функционирования частного бизнеса в Грузии.

2. Предпосылки для внедрения маркетинговой ориентации в Грузии

Оценивая рыночную ситуацию с точки зрения необходимости использования маркетинговой ориентации, следует отметить, что по крайней мере, необходимые предпосылки для этого уже созрели во многих отраслях экономики. В первую очередь это касается рынков потребительских товаров и услуг. На рынках безалкогольных и алкогольных напитков, продуктов питания, бытовой электронной техники и т.д. предприятия имеют полную свободу в своей предпринимательской деятельности, результаты которой зависят от эффективности обмена на рынке. Либерализация внешней торговли привела к наплыву импор-

тных товаров на внутренний рынок. Это способствовало переходу рынка из состояния избыточного спроса в состояние избыточного предложения. Более того низкая платёжеспособность спроса ещё более усилила борьбу конкурентов за каждый лари потребителя. По своим основным характеристикам данные рынки являются либо олигополистическими, либо рынками монополистической конкуренции. Характерные для данных рынков неоднородность информации и высокий уровень неопределённости, наряду с другими вышеперечисленными факторами создают такие условия, в которых маркетинговая ориентация просто необходима для выживания предприятия. Однако, условия в которых необходимость использования маркетинговой ориентации очевидна, не всегда являются условиями, в которых маркетинговая ориентация используется.

Об этом свидетельствуют результаты исследования функционирования отечественных предприятий в условиях перехода к рынку, осуществлённого нами в 1998-1999 гг. [9]. Хотя с точки зрения интенсивности применения маркетинга исследуемые предприятия существенно отличались друг от друга, было очевидно, что ни одно из них не функционировало в полной мере на принципах маркетинговой ориентации. Если рассматривать интенсивность применения маркетинга в качестве континуума, в котором двумя экстремумами являются содержательное применение маркетинга и полное отсутствие маркетинговой деятельности, то результаты исследования позволяют утверждать, что рассматриваемые фирмы, в своем большинстве, занимают позицию в середине этого континуума, для которой характерно поверхностное применение маркетинга [10].

Согласно общепринятому определению, первым принципом маркетинговой ориентации является доминирование рыночных ценностей в организационной культуре фирмы [11]. Изучение взглядов и убеждений руководителей отечественных предприятий свидетельствует о том, что интересы покупателей редко представляют решающее значение при выборе рыночно-хозяйственной политики. На многих предприятиях доминирует старые стереотипы мышления, ориентированные на внутрипроизводственные проблемы, а не на рынок. Многие

из руководителей предприятий, имеющих богатый опыт работы в условиях плановой экономики, где основной их заботой было достижение количественных целей и обеспечение предприятий необходимыми ресурсами, зачастую не придают особого значения таким проблемам как изменение вкусов и предпочтений клиентов. Было бы наивным полагать, что решение данной проблемы состоит в просто лишь в убеждении руководителей предприятий, в необходимости перехода от производственно-сбытовой ориентации к маркетинговой. Основная проблема, на наш взгляд состоит в отсутствии необходимых навыков и знаний. Вполне очевидно, что опыт и навыки приобретённые в условиях экономики фиксированных цен, тотального дефицита и избыточного спроса вряд ли могут пригодиться в условиях свободных цен, избыточного предложения и выборочности покупателей. Необходимо прежде всего фундаментальный сдвиг в позициях и убеждениях руководителей, базирующийся на понимании рыночных процессов и знании покупательской психологии, с тем чтобы обеспечить достаточные условия при которых переход предприятий на принципы маркетинговой ориентации станет возможным.

Этот вывод, согласуется и в определённой мере подтверждает основные теоретические положения маркетинговой модели фирмы [10]. Согласно этой модели маркетинговая культура-позиции, взгляды и убеждения руководства фирмы-формируют маркетинговый климат, поведение ориентированное на достижение целей фирмы посредством удовлетворения потребностей клиентов. При отсутствии чётко выраженных маркетинговых позиций у руководства, поведение фирмы вряд ли будет ориентировано на покупателя. Этот теоретический вывод полностью подтверждается результатами практических исследований. Однако, в ходе исследования были выявлены проблемы, которые характерны исключительно для экономики переходного периода и поэтому не были представлены в маркетинговой модели фирмы. Речь идёт об отсутствии квалифицированных специалистов, способных эффективно претворять в жизнь маркетинговую политику. Данный фактор, как свидетельствуют результаты исследования, представляет серьёзный барьер для использования маркетинговой ориентации. Эта пробле-

მა усугубляется неразвитостью рыночной инфраструктуры и наличием институциональных барьеров. Основными институциональными и инфраструктурными барьерами, ограничивающими применимость маркетинговой ориентации в странах с переходной экономикой, согласно результатам исследования являются: технологическая отсталость и дефицит ресурсов; неразвитость финансовых и фондовых рынков; слабость правовой системы регулирующей частный бизнес; несовершенство коммуникационных и распределительных сетей, системы услуг; отсутствие вспомогательной системы маркетингового обслуживания: рекламных агентств, центров по исследованию рынка, консультационных фирм.

Таким образом, если пять предпосылок, сформулированных выше, в совокупности создают необходимое условие, при котором маркетинговая ориентация целесообразна, то в качестве достаточного условия, при котором маркетинговая ориентация осуществима, можно рассматривать наличие трёх следующих предпосылок.

Во-первых, это преобладание маркетинговых ценностей в позициях и убеждениях руководителей предприятий. Во-вторых, обеспечение отечественных предприятий квалифицированными кадрами в сфере маркетинга. В-третьих, развитие современной рыночной инфраструктуры.

Совокупность всех восьми вышеперечисленных предпосылок создаёт в экономике переходного периода как необходимые, так и достаточные условия для успешного применения маркетинговой ориентации.

Рассматривая в контексте осуществлённого исследования, присутствие необходимых и достаточных условий для применения маркетинговой ориентации в Грузии, можно констатировать, что по крайней мере в большинстве её отраслей уже сложились необходимые предпосылки для этого. Они создают условие, когда функционирование на принципах маркетинга просто необходимо для обеспечения положительных результатов деятельности фирмы. Но с другой стороны, отсутствуют предпосылки, определяющие достаточное условие, при наличии которых маркетинговая ориентация предприятий становится

возможной. Резюмируя, на данном этапе основное внимание в процессе рыночных реформ должно быть уделено созданию именно тех предпосылок, присутствие которых делает возможным эффективное функционирование предприятий на принципах маркетинга.

3. Рекомендации по развитию маркетинга на отечественных предприятиях

Одним из важнейших направлений развития бизнеса в стране является, с нашей точки зрения, перевод функционирования предприятий на принципы маркетинговой ориентации. Отсутствие этих принципов в хозяйственной деятельности отечественных фирм наглядно проявляется в проводимой ими бизнес-политике, используемых методах и подходах и как следствие этого в конечных результатах деятельности, которые нередко являются весьма плачевными. В этой связи в качестве мер по преодолению этих проблем можно рассматривать: вовлечение отечественных предприятий в процесс глобализации, совершенствование системы образования менеджеров и реализация программ по тренингу, создание специализированных маркетинговых институтов.

Вовлечение отечественных предприятий в процесс глобализации. Одним из направлений решения проблемы создания предпосылок для функционирования предприятий на принципах содержательно-го применения маркетинга, является их вовлечение в процесс глобализации, путём создания с зарубежными фирмами стратегических альянсов, сетевых организаций, совместных предприятий и т.д. Это позволит привлечь в страну не только иностранный капитал и технологический “ноу-хау”, но и что не менее важно управленческий “ноу-хау”. Передача зарубежными фирмами управленческого опыта и навыков способна намного ускорить ориентирование на рынок позиций руководства отечественных предприятий, создавая тем самым предпосылку для использования принципов маркетинговой ориентации в производственно-хозяйственной деятельности фирм.

Реформирование системы образования. Не менее важным направлением следует считать реформу образовательной системы. Мы

имеем ввиду подготовку специалистов по маркетингу, финансам, логистике и другим отраслям бизнеса, чья квалификация соответствовала бы требованиям рынка. Однако, поскольку реализация данного проекта требует длительного времени, в краткосрочном плане целесообразно на наш взгляд использовать услуги консалтинговых фирм. Одним из примеров такой фирмы, можно рассматривать действующий в Тбилиси центр по реструктуризации предприятий и поддержки менеджмента (CERMA). Эта организация оказывает существенную консультативную помощь предприятиям в процессе адаптации к рынку. Другую, не менее важную, функцию маркетингового центра представляет комплекс мер по трейнингу специалистов по маркетингу и менеджменту, осуществляемые рамках “программы Маршалла”.

Создание специализированного маркетингового института. Другим направлением решения данной проблемы мы видим в создании специализированной институциональной организации, обладающей высокой компетенцией в сфере маркетинга. Роль подобного маркетингового института, часто именуемого маркетинговым центром, состоит в создании соответствующей рыночным условиям коммуникационной инфраструктуры и предоставлении широкого спектра маркетинговых услуг, необходимых для ускорения процесса формирования рыночной экономики на микроуровне. Деятельность данного центра должна находиться в тесной взаимосвязи как с частным сектором, так и с правительственными органами. Его основная функция должна состоять в разработке рекомендаций по широкому спектру стратегических и тактических вопросов.

литература:

1. Jaworski, Bernard J. and Ajay K. Kohli., "Market Orientation: Antecedents and Consequences." *Journal of Marketing*, 1993, 57 (July), pp. 53-70.
2. Kotler, Philip. *Marketing management analysis, planning and control*, 5th ed. Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall, Inc., 1984.

3. Houston, F.S. and Gassenheimer, J.B., "Marketing and Exchange", *Journal of Marketing*, 1987, Vol. 51 No. 4, pp. 3-18.
4. Ennew, Christine T. "Constraints on the adoption of the marketing concept: The case of the former Soviet Union", *European Journal of Marketing*, 1993, vol.27, 11/12, p. 21-34.
5. Hooley, Graham J. "Marketing strategy typologies in Hungary", *European Journal of Marketing*, 1993, vol.27, 11/12, p. 80-101.
6. Hooley, Graham J. "Raising the iron curtain: marketing in a period of transition", *European Journal of Marketing*, 1993, vol.27, 11/12, p. 6-20.
7. Lascu, Dana-Nicoleta. "Marketing in Romania: The challenges of the transition from a centrally-planned economy to a consumer-oriented economy", *European Journal of Marketing*, 1993, vol.27, 11/12, p. 102-120.
8. Marinov, Marin. "Marketing approaches in Bulgaria", *European Journal of Marketing*, 1993, vol.27, 11/12, p. 35-46.
9. Бѳрулаვა Г. Маркетинგოვა მოდელი ფირმის და პრობლემის მისი გამოყენებისა ჯორჯიაში . ნეოპუბლიკოვანნი დისერტაციონიანი რაბოთა ნა სოიკანი სტეპენი დოკტორი ეკონომიკური მეცნიერებების . ტბილისი: ტბილისური სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2000.
10. Бѳრუღავა გ. მეტოდოლოგიური მიდრეკილებები მექანიზმი ადაპტაციისა პრედიურიტი კ რინოკური სეღოვანი. ტბილისი, "პარნავიზი", 1997.
11. Deshpande, Rohit, John U. Farley, and Frederick E. Webster, Jr. "Corporate culture, customer orientation, and innovativeness in Japanese firms: a quadrad analysis." *Journal of Marketing*, 1993, 57 (January), pp. 23-37.

მარკეტინგის პამოყენების წანამძვრები და პერსპექტივები საქართველოში

გ. ბერულავა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

პაატა გუგუშვილის სახელობის

ეკონომიკის ინსტიტუტი,

0107, თბილისი, ქიქოძის ქ. 14

რეზიუმე. სტატიაში განხილულია მარკეტინგული ორიენტაციის გამოყენების შესაძლებლობანი საქართველოში. დადგენილია, რომ საქართველოს ეკონომიკის ბევრ დარგში შექმნილია მარკეტინგული ორიენტაციის გამოყენების აუცილებელი წანამძვრები. ერთი მხრივ, ისინი აყალიბებენ იმ პირობებს, რომლის დროსაც მარკეტინგული ორიენტაციის პრინციპებზე გადასვლა აუცილებელია ფირმის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის. მაგრამ, მეორე მხრივ, არ არსებობს წინაპირობა, რომელიც მარკეტინგული ორიენტაციის საკმარისი პირობების შექმნას გახდიდა შესაძლებელს.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად ნაშრომში შემუშავებულია შემდეგი რეკომენდაციები: გლობალიზაციის პროცესში ქვეყნის საწარმოთა ჩართვის წახალისება, საზღვარგარეთის ფირმებთან სტრატეგიული ალიანსების და ერთობლივი საწარმოების შექმნის მეშვეობით; მარკეტინგის სპეციალისტებისათვის ტრენინგის პროგრამების შემუშავება; სპეციალიზირებული მარკეტინგული ინსტიტუტების ჩამოყალიბება.

1. Jaworski, Bernard J. and Ajay K. Kohli, "Market Orientation: Myths and Consequences," *Journal of Marketing*, 1993, 57 (July), pp. 33-50.
2. Kotler, Philip, *Marketing management: analysis, planning and control*, 5th ed. Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall, Inc., 1984.

PREREQUISITES AND OUTLOOKS OF MARKETING APPLICATION IN GEORGIA

George Berulava
*Paata Gugushvili Institute of Economics,
The Georgian Academy of Sciences,
14, Kikodze st., 0107, Tbilisi, Georgia*

Summary. It is the existence of necessary and sufficient conditions for the marketing orientation implementation in Georgian economy that is examined in this paper. It was found that in many industries of the economy the implementation of marketing orientation is a necessary condition for survival and success of business. However, the lack of adequate market infrastructure and relevant managerial attitudes hampers effective fulfillment of marketing orientation.

To overcome this problem, the following recommendations have been suggested: deep involvement of domestic firms in the process of globalization, through creating joint ventures, strategic alliances with Western companies, to ensure relevant technological and managerial know-how; training of local specialist in marketing and management; creation of specialized institutional facilities having high professional marketing competence.

ეკონომიკის ეროვნული საზღვრების პრობლემა

ანზორ აბრალავა

საქართველოს პარლამენტი

0108, რუსთაველის 8

შემოვიდა: 2003 წლის 1 სექტემბერს

რეზიუმე: სტატიაში აღნიშნულია, რომ დღეს შრომის საერთაშორისო დანაწილებას ადრინდელზე უფრო რთული შინაარსი აქვს შექმნილი. იგი, ერთი მხრივ კელაინდებურად გამოხატავს ერებს შორის წარმოებრივ ვალდებულებათა სტიქიურად განაწილების პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ, ეს წარმოებრივი ვალდებულებები გეგმაზომიერად ნაწილდება კონცერნებს შიგნით. მართალია, ისინი კონცერნების ფრგლებიდან არ გამოდიან, მაგრამ სახელმწიფოთა საზღვრებს კი სცილდებიან. ამის შედეგად თანამედროვე მსოფლიოს რუკაზე გაჩნდა ისეთი ეკონომიკური საზღვრები, რომლებიც ეროვნულ საზღვრებს არ ემთხვევა. განვითარებული და ძლიერი ეკონომიკა მკაფიოდ განსაზღვრულ პოლიტიკური საზღვრებიდან გამოსვლის საშუალებას იძლევა, ხოლო ზოგჯერ მან ამ საზღვრების გადასინჯვაც კი შეიძლება მოახდინოს. მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა სწორედ თავიანთ ეკონომიკურ ძლიერებაზე დაყრდნობით დიდად შეუწყვეს ხელი აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ის პოლიტიკური საზღვრების შეცვლას.

* * *

საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობების სფეროში ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების დროს დღეს ერთ-ერთ მთავარ ორიენტირად ინტერნაციონალიზაცია გვევლინება. ახლა საკითხი ასე კი არ დგას, ჩაერთვება თუ რა ეროვნული ეკონომიკა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, არამედ

სულ სხვაგვარად – თუ რა ტემპებით, რომელ პრიორიტეტული მიმართულებებით და რაც მთავარია, როგორი დარგთაშორისი პროპორციებით უნდა ავაგოთ საერთაშორისო თანამშრომლობა, რათა არ აღმოჩნდეთ ინტერნაციონალიზებული წრებრუნვის ქანცგამომცლელ წინეში.

თანამედროვე „შრომის საერთაშორისო დანაწილებამ“ ადრინდელზე უფრო რთული შინაარსი შეიძინა. იგი, ერთი მხრივ, კვლავინდებურად გამოხატავს ერებს (როგორც მწარმოებელ ერთეულებს) შორის წარმოებრივ ვალდებულებათა სტიქიურად განაწილების პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოებრივი ვალდებულებები გეგმაზომიერად ნაწილდება კონცერნების შიგნით. ეს ვალდებულებები კონცერნების ფარგლებიდან არ გამოდის, მაგრამ სახელმწიფოთა საზღვრებს კი სცილდება. მსოფლიოს რუკაზე გაჩნდა ისეთი ეკონომიკური საზღვრები, რომლებიც ეროვნულ საზღვრებს არ ემთხვევა. ეს შრომის ანკლავთშორისი (ფორმათაშორისი, კორპორაციათაშორისი) საზოგადოებრივი დანაწილების პროცესის შედეგია. აღმოჩნდა, რომ თვითონ ეროვნული მეურნეობები ერთდროულად რამდენიმე ტრანსნაციონალურ ფირმას კონტროლს ექვემდებარება, როგორც სხვადასხვა კომპლექსისი რგოლები.

თანამედროვე ვითარებას ახასიათებს ის, რომ ხდება ეროვნული მეურნეობების უახლეს ეკონომიკურ პოპულაციებად გარადასახვა ეროვნული სტრადეგიული ინტერესების შესაბამისად და მათი გადაქცევა თავისებურ ინტერნაციონალიზებულ ეროვნულ ეკონომიკურ სისტემებად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსოფლიოს სამეურნეო რუკაზე გაჩნდა ქვეყანა-სისტემები, რომელთაც აქვთ ეროვნული ფარგლებს გარეთ მრავლად გამოტანილი საწარმოო ჯაჭვები. ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების მეშვეობით მიმდინარეობს ეროვნული ეკონომიკის მიბმა მსოფლიო მწარმოებლური ბირთვების ამა თუ იმ რგოლთან. თავისი გეოეკონომიკური მიზნების მისაღწევად ქვეყანა-სისტემა აყალიბებს დამოუკიდებელ ინტერნაციონალიზებულ კვლავწარმოებით ბირთვებს, რომელთა რგოლებია ეროვნული ტრანსნაციონალიზებული სტრუქტურები. სწორედ მათ

მიანდობს სახელმწიფო გეოეკონომიკურ სივრცეში ეროვნულ ინტერესების რეალიზაციას და თანაც იცავს კიდევ ამ სტრუქტურებს.

სამართლიანად შენიშნავს პროფ. ნ. ჭითანავა, რომ გლობალიზაცია „უხეშად არღვევს სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძვლებს, შლის სახალხომეურნეობრივი კომპლექსების ეფექტიანად ფუნქციონირების ეროვნულ საფუძვლებს“ [1].

ამგვარად ხდება საზღვრების კონფიგურაციის შეცვლა ცვალებადი გეოეკონომიკური ვითარებისა და ტრანსნაციონალიზებული სტრუქტურების გადაჯგუფების გავლენით. შრომის დანაწილების მუდმივად ცვალებადი საზღვრები არ ემთხვევა ეროვნულ (სახელმწიფოების) საზღვრებს: ეროვნული მეურნეობები ნაწილებადაა „გახლეჩილი“ და ეს ნაწილები სხვადასხვა გლობალური კვლავწარმოებითი ციკლების (ბირთვების) რგოლებადაა გადაქცეული.

პროფესორი რ. გოგოხია არ იზიარებს იმ საკმაოდ გავრცელებულ აზრს, რომ ეროვნული მეურნეობათა ურთიერთდამოუკიდებლობის ზრდის კვალობაზე, სამუშაო ძალის ბაზრების ინტერნაციონალიზაციის, კაპიტალის გატანის, და ბოლოს, საწარმოო კომპლექსების ეროვნული საზღვრებიდან ინტენსიურად გასვლის შედეგად ერებს შორის ეკონომიკური საზღვრები სულ უფრო მეტად წაიშლება. მეცნიერის აზრით ეს იმ მასონური „თეორიის“ გამოძახილია, რომელიც „ცდილობს თავის ორბიტაში ჩაითროს ყველა ქვეყანა. განსაკუთრებით ნოყიერი ნიადაგი მას ხვდება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რომელთა უმეტესობა სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ კრიზისს განიცდის და რომელთა „მოქცევა“ კოსმოპოლიტური გლობალიზაციის ორბიტაში შედარებით ადვილია. შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოსთვის უცხო, უნიადაგო კოსმოპოლიტური თეორიები, უცხოურ ეკონომიკურ იდეოლოგიაზე აგებული სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობა გარკვეულწილად იმ „დიდი პოლიტიკის“ შემადგენელი ნაწილია, რომელიც სამამულო ინდუსტრიის და არსებითად მყარი ეკონომიკის ჩაკვლას ისახავს მიზნად და საქართველოს ნა-

თობსადენის, გაზსადენის, ევრაზიული დერეფნის და სამომავლოდ - ტურისტთა საჯირითო ქვეყნის მხოლოდ მიზერულ პერსპექტივას უტოვებს. ამისგან განსხვავებით, ჩვენ მყარად უნდა გავითავისოთ, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესებში საქართველოს კანონზომიერი ჩართვა მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული და ეფექტიანი, თუ ქვეყანა მტკიცედ მოირგებს ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგიის სამოსელს... თუმცა, XX საუკუნის მეორე ნახევარმა აშკარა გახადა „ღია ეკონომიკის“ მაღალი ეფექტიანი და უპირატესობა „ჩაკეტილთან“ შედარებით, მაგრამ საბოლოოდ ისიც დადასტურდა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა არ არსებობს ეროვნული თვითგანზრახულობის გარეშე, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში საზოგადოებრივი კვლავწარმოება ყოველთვის ხორციელდება როგორც ეროვნული კვლავწარმოება. [2] ის, რომ მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები არა თუ არ ემთხვევა ერთმანეთს, არამედ, პირიქით, მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურა ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისაგან, განსაკუთრებულ შეფერილობას აძლევს მსოფლიო მეურნეობაში ძალთა ახლებურად განლაგების პროცესს.

ბუნებრივია, აქ გვერდს ვერ აუუვლით საერთოდ ეროვნული საზღვრების პრობლემას და მსოფლიოს პოლიტიკური რუკის გადაკეთების გაჭიანურებულ პროცესს. როგორც, ცნობილია სახელმწიფო საზღვრების გადასინჯვის პროცესზე უზარმაზარი გავლენა იქონია გასული საუკუნის ბოლოს მომძლავრებულმა ნაციონალიზმმა. მრავალთავის ნათელი ხდება, რომ გლობალიზაცია მეტისმეტად ათანაბრებს ყველას, კულტურულ და რელიგიურ თავისებურებებს ართმევს ქვეყნებს, ეროვნული თვითშეგნების დაკარგვით ემუქრება მათ, რაც არ შეიძლება არ იწვევდეს მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენების პროტესტს. ნაციონალიზმის დღევანდელი ტალღა აგორებულია არა მარტო ეკონომიკურად უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ქვეყნებში, არამედ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებშიც (კვებეკის, ბასკეთის, კორსიკის, შოტლანდიის და ჩრდილოეთ ირლანდიის მაგალითები). ნაციონალიზმი აღვივებს ეთნიკურ კონფლიქტებს,

რასაც ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის რღვევა შეიძლება მოჰყვეს. (ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია).

ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები ცდილობენ თავიანთი ადგილის დამკვიდრებას და ამით კარდინალურად ცვლიან მსოფლიოს ადრინდელ გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურას. იზრდება კონკურენცია ახლად შექმნილ სახელმწიფოებსა და სხვა ქვეყნებს შორის. ქვეყნების რაოდენობის გადიდება ამრავლებს პოლიტიკურ და ფაქტობრივ კონკურენტებს, კონკურენციას კი თან მოსდევს ფასების დემპინგი და საგარეო ვაჭრობიდან მიღებული ამონაგების შეკვეცა. პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა საინვესტიციო პროცესს აყენებს ზიანს. სახელმწიფოები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ტერიტორიით, მოსახლეობითა და რესურსებით, მაგრამ ჩვენს დროში ეს ფაქტები ნაკლებად განსაზღვრავს მათ ეკონომიკურ პოტენციალს. როგორც ცხრილ 1-ში მოყვანილი მონაცემები ადასტურებს, ყველაზე ვრცელი ტერიტორიების მქონე და ყველაზე მჭიდროდ დასახლებული 20-20 ქვეყნიდან მხოლოდ 9-9 ქვეყანას აქვს ამ პარამეტრების შესადარისი ეკონომიკური პოტენციალი. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის მაჩვენებლით პირველ ადგილზე მყოფი აშშ-ს მსოფლიოში მეოთხე ადგილი უჭირავს ტერიტორიით და მესამე – მოსახლეობის რიცხოვნობით. მეორე პოზიციაზე მყოფ იაპონიას – მოსახლეობის რიცხოვნობით მერვე ადგილი, ტერიტორიის სიდიდით კი იგი ამ ოცეულს მიღმაა; მესამე პოზიციაზეა გერმანია, რომელიც ტერიტორიის სიდიდით ასევე ვერ ხვდება ოცეულში, მოსახლეობის რიცხოვნობით კი იგი მსოფლიოში მეთორმეტეა და ა.შ. ამის საპირისპიროდ, რუსეთი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით მეთერთმეტე ადგილზე იმყოფება, მაშინ როდესაც ტერიტორიის სიდიდით იგი პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, მოსახლეობის რიცხოვნობით კი მეექვსე; ჩინეთი პირველ ადგილზეა მოსახლეობის რიცხოვნობით, მესამეზე – ტერიტორიის სიდიდით, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით კი – მხოლოდ მეთხუთმეტეა და ა.შ.

მრავლის მეტყველია ასეთი შედარებებიც: თითქმის თანაბარი ეკონომიკური პოტენციალი აქვთ, ერთი მხრივ, რუსეთსა და სამხრეთ კორეას (რომელსაც ტერიტორიისა და მოსახლეობის მიხედვით ვერც კი შევადარებთ რუსეთს), მეორე მხრივ, ინდოეთსა და ნიდერლანდს (მისი მოსახლეობა 62-ჯერ ნაკლებია ინდოეთისაზე), ხოლო შვეიცარიის ეკონომიკური პოტენციალი 4-ჯერ მეტად აჭარბებს პაკისტანისას (მოსახლეობის მიხედვით თანაფარდობა – თითქმის 1:18) ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ქვეყანაა ინდონეზია (მეოთხე ადგილი) მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით მას შევადარებთ კი აღემატება. თუ შედა-

ც ხ რ ი ღ ი 1

მსოფლიოს გეოგრაფიული და ეკონომიკური საზღვრები:
ტერიტორიით, მოსახლეობითა და მშპ-ით უმსხვილესი ოცი ქვეყანა

№	ქვეყანა	ერიტ. ათასი კვ.მ	ქვეყანა	მოსახლე- ობა ნ. კაცი (1997 წ.)	ქვეყანა	პ, მლნ. დოლარი (1997 წ.)
1	რუსეთი	17075	ჩინეთი	1227,2	აშშ	7834,0
2	კანადა	9976	ინდოეთი	962,4	იაპონია	4190,2
3	ჩინეთი	9597	აშშ	267,6	გერ	2092,3
4	აშშ	9373	ინდონეზია	200,4	საფრანგეთი	1392,5
5	ბრაზილია	8512	ბრაზილია	163,7	დ. ბრიტანეთი	1286,5
6	ავსტრალია	7682	რუსეთი	147,3	იტალია	1145,6
7	ინდოეთი	3288	პაკისტანი	128,5	ჩინეთი	902,0
8	არგენტინა	2777	იაპონია	126,1	ბრაზილია	820,4
9	ყაზახეთი	2717	ანგლადეში	123,6	კანადა	607,7
10	სუდანი	2506	ნიგერია	117,9	ესპანეთი	532,0
11	აღიერი	2382	მექსიკა	94,3	რუსეთი	447,0
12	კონგო	2345	გერ	82,1	სამხ. კორეა	442,5
13	მექსიკა	1958	ვიეტნამი	76,7	მექსიკა	403,0
14	ინდონეზია	1905	ფილიპინები	73,5	ავსტრალია	393,5
15	ლიბია	1760	თურქეთი	63,7	ინდოეთი	381,6
16	ირანი	1648	ირანი	60,9	იდერლანდი	360,3
17	მონღოლეთი	1557	ტაილანდი	60,6	არგენტინა	325,3
18	პერუ	1285	ეკვადორი	60,3	შვეიცარია	255,3
19	ჩადი	1284	ეთიოპია	59,7	ბელგია	242,5
20	ნიგერი	1267	ბრიტანეთი	59,0	შვედეთი	227,6

რებები გავაგრძელებთ, ანალოგიურ სურათს მივიღებთ ლუქსემბურგისა და შრი-ლანკისთვის, სინგაპურისა და მალაიზიისათვის, ირლანდიისა და ეგვიპტისათვის და ა.შ.

ცხილ 1-ში მოყვანილია ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალების შედარება. მსოფლიოს რეალური ეკონომიკური საზღვრების შესახებ წარმოდგენას კიდევ უფრო გვიფართოებს მსოფლიო სამეურნეო კავშირების მომსახურე ძირითადი ვალუტების ერთმანეთთან შედარება. იმ 16 ქვეყანაზე, რომელიც პლანეტის მთლიანი შიდა პროდუქტის 40%-ს აწარმოებს, მოდის გლობალური საფინანსო სივრცის 85% ვაჭრობის სფეროში და მსოფლიოს მთელი სავალუტო რეზერვების 82%. ამგვარად, ა.შ.შ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა და ნაწილობრივ, ევროპის ცენტრალური ბანკი ფაქტობრივად პლანეტის ცენტრალური ბანკის პოზიციებზე იმყოფებიან, რაც საშუალებას აძლევს მათ ფინანსური გაბატონებული მდგომარეობა დაიკავონ გლობალურ ეკონომიკაში (ევროს შემოღებამდე ა.შ.შ-ის დოლარის წილად მოდიოდა საერთაშორისო საბანკო კრედიტების 70%, ობლიგაციური სესხების 50, ვალუტის ბაზარზე მიმდინარე ოპერაციების 80 და ევროდოლარებისა და ნავთობდოლარების ბაზრების ბრუნვის 100%) [3, გვ. 28-30].

მოულოდნელი არაა, რომ ეკონომიკურად დაწინაურებული ქვეყნები ცდილობენ და ახერხებენ კიდევ პოლიტიკურ სფეროში ლიდერობის მოპოვებას და არა მარტო სამხედრო, არამედ უფრო მეტად სწორედ თავიანთ ეკონომიკურ ძლიერებაზე დაყრდნობით საკუთარი პირობებს კარნახობენ მესამე სამყაროს. მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში „პატარა“, მაგრამ განვითარებული ქვეყნების გავლენა გაცილებით მეტია, ვიდრე მესამე სამყაროს „დიდი“ ქვეყნებისა, ამგვარად, განვითარებული და ძლიერი ეკონომიკა მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკური საზღვრებიდან გამოსვლის საშუალებას იძლევა, ხოლო ზოგჯერ მან ამ საზღვრების გადასინჯვაც შეიძლება მოახდინოს. მსოფლიო მეურნეობაში ეკონომიკურად გაბატონებულმა განვითარებულმა ქვეყნებმა სწორედ თავიანთ ეკონომიკურ ძალმოსილებაზე დაყრდნობით დიდად შეუწყვეს ხელი ად-

მოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ის პოლიტიკური საზღვრების შეცვლას. მსოფლიო პოლიტიკური რუკის ფორმირების თანამედროვე პერიოდი XX საუკუნის ბოლოს განვითარებული ნეოკოლონიალიზმის მაგალითებსაც გვიჩვენებს როდესაც რომელიმე ქვეყანაზე ან მის ტერიტორიაზე რამდენიმე განვითარებული ქვეყანა აწესებს პროტექტორატს. წარსულის იმპერიალიზმისაგან ამჟამინდელ ნეოკოლონიალიზმს ძირითადად ის განასხვავებს, რომ ახლა წინა პლანზეა წამოწეული არა კონკრეტული სახელმწიფო-მეტროპოლიის კერძო ინტერესები (ნედლეულის გამოზიდვა და გეოგრაფიული ექსპანსია), არამედ ყველა განვითარებული ქვეყნის საერთო ინტერესები, რომლებიც პოლიტიკური სტაბილურობის ზრდასა და მსოფლიო სისტემის მომავლის განჭვრეტაზე ზრუნავენ – ამის მიუხედავად, სინამდვილეში მაინც ხდება სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევა, რაც ამ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის აშკარად შეცვლას ისახავს მიზნად. ამ სისტემის ტრანსფორმაციას გარედან მართავენ იმგვარად, რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების ინტერესებს (კოსოვოს მაგალითი).

სავსებით შესაძლებელია, რომ ეს თანამედროვე კოლონიალიზმი და კრიზისული ქვეყნებში საერთაშორისო მმართველობის დაწესების იდეა ეროვნული საზღვრების ახალ გადასინჯვას მისცემს ბიძგს. ასეთ პირობებში საქართველოს მთელი ძალისხმევა საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას უნდა ხმარდებოდეს.

ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შედარება

№	განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანა	ძირითადი მონაცემები			ეკონომიკური პოტენციალი მისი შესადარისი ქვეყანა	ძირითადი მონაცემები (1997წ)		
		ტერიტორია, ათასი კვ. მ	მოსახლეობა მლნ. კაცი	მშპ-ის მოცულობა მლრდ. დოლარი		ტერიტორია ათასი კვ.მ	მოსახლეობა მლნ. კაცი	მშპ-ის მოცულობა მლრდ. დოლარი
1.	სამხ. კორეა	98	46,0	442,5	რუსეთი ¹	17 075	147,3	447,0
2.	აესტრალია	7 682	15,5	393,5	მექსიკა	1958	94,3	403,0
3.	ნორვეგია	387	4,4	153,4	ტაილანდი	514	60,6	153,9
4.	ისრაელი	21	5,8	98,1				
	სინგაპური	0,6	3,1	96,3	მალაიზია	330	21,7	98,5
5.	ირლანდია	70	3,7	75,0	ვგვიპტე	1001	60,3	75,6
6.	ახალი ზელანდია	269	3,8	64,5	პერუ	1285	24,4	63,8
7.	ლუქსენბურგი	2,6	0,42	17,0	შრი-ლანკა	66	18,6	15,1
8.	ისლანდია	103	0,27	7,3	იორდანია	89	4,4	7,0

წყარო: Малый атлас мира. М, 1998, გვ. 211-214

<http://www.worldbank.org/data/databytopic/pop97.pdf>;

<http://www.worldbank.org/data/databytopic/Gdp97.pdf>.

¹ 1998 წ. სავალუტო საფინანსო კრიზისის შემდეგ რუსეთის ეკონომიკური პოტენციალი 2-ჯერზე მეტად შემცირდა და მისი მშპ ახლა დაახლოებით ინდონეზიის მშპ-ის (210 მლრდ. დოლარის) ტოლია.

ლიტერატურა:

1. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, III ნაწ. თბილისი, 2001
2. გოგოსია რ. ეკონომიკის გლობალიზაციის ზოგიერთი პრობლემა. ეკონომისტთა მეოთხე რესპუბლიკური კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, 2001.
3. А. И. Погорлецкий. Экономика зарубежных стран. Санкт-Петербург, Из-во В. А. Михайлова, 2001.

PROBLEM OF NATIONAL BORDERS OF ECONOMY

Anzor Abralava

Parliament of Georgia

*8, Rustaveli Av., 0108, Tbilisi, Georgia**

Summary. In the article it is marked, that today the international division of labor has got more difficult than earlier sense. On the one hand it still expresses process of spontaneous division of industrial obligations between the nations, and on the other hand, these industrial the obligation are systematically distributed inside concerns. The truth is they do not leave the frameworks of concerns, however frequently break frontiers Hence, on a map of the modern world economic borders which do not coincide with national have appeared. To, that political and economic borders of the World not only structure of the World I differ radically from each other, gives special painting to process of new arrangement of forces in the world economy.

The new independent states actively aspire to the statement and by that cardinally change former geopolitical and economic structure of the World. The competition between the specified states and other countries grows. At the same time, the increase in number of the countries multiplies potential and actual competitors, and a competition conducts to a dumping of the prices and reduction of proceeds from foreign trade. Political and economic instability renders a loss to investment process.

The advanced and strong economy allows to leave the precise of the certain borders, and at times it in a condition carries out even the their revision. Conducting countries of the world on the basis of economic power in many respects promoted change of political borders of the East Europe and the former USSR.

ПРОБЛЕМА НАЦИОНАЛЬНЫХ ГРАНИЦ ЭКОНОМИКИ

Анзор Абралава

Парламент Грузии

Тбилиси, 0108, Пр. Руставели, 8

Резюме. В статье отмечается, что сегодня "международное разделение труда" приобрело более сложный чем раньше смысл. С одной стороны она по-прежнему выражает процесс стихийного разделения производственных обязательств между нациями, а с другой стороны, эти производственные обязательства планомерно распределяются внутри концернов. Правда они не выходят из за рамок концернов, однако часто нарушают государственные границы. Следовательно, на карте современного мира появились экономические границы, которые не совпадают с национальными. То, что политические и экономические границы Мира не толкло структуры Мира в корне отличаются друг от друга,

придает особую окраску процессу новой расстановки сил в мировом хозяйстве.

Новые независимые государства активно стремятся к утверждению и тем самым кардинально меняют бывшую геополитическую структуру Мира, растет конкуренция между указанными государствами и другими странами. Вместе с тем, увеличение числа стран умножает потенциальных и фактических конкурентов, конкуренция ведет к демпингу цен, сокращению выручки от внешней торговли. Политическая и экономическая нестабильность наносит урон инвестиционному процессу.

Развитая и сильная экономика позволяет выйти из за четко определенных границ, а порой она в состоянии осуществлять даже их пересмотр. Ведущие страны мира именно на основе экономической мощи во многом способствовали изменению политических границ Восточной Европы и бывшего СССР.

ტექნოლოგიური პროგნოზირებისა და მასშტაპოლაციის პრინციპის ერთობლივი ანალიზისათვის ეკონომიკაში

როლანდ სარჩიშვილი, ლია ჩარეკიშვილი

*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი,
0107, თბილისი, ქიქოძის ქ. № 14*

შემოვიდა: 2003 წლის 20 მარტს

რეზიუმე. განხილულია გრძელვადიანი ეკონომიკური პროგნოზირებისკენ გამიზნული ექსტრაპოლაციის პრინციპისა და ტექნოლოგიურ პროგნოზირებაში ჩართული მოვლენის დინამიზმის აგების მეთოდოლოგიის საკითხები. მსჯელობა წარმართულია ადამიანის, როგორც ექსპერტის აზროვნების იმ თავისებურებათა წინა პლანზე წამოწევით, რომელიც წარსულს ექსტრაპოლაციით აჯერებს მომავლის გრძელვადიან პროგნოზთან მინიშნებულ მომავლისკენ მოძრაობის პროცესში.

დახასითებულია ადამიანის, როგორც ექსპერტის შესაძლებლობები ეკონომიკური მოვლენის განჭვრეტისა და პროგნოზირების პროცესში, ასევე ტექნიკური პროგრესის თავისებურებები, როდესაც ადამიანის შრომას ვერ შეექმნა შემოქმედების სრული გადრმავეების პირობები და იმის ხაზგასმით, რომ ადამიანი ტექნიკას კიდევ უფრო “მოეჯახება”, ვიდრე მან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი გამოიყენა შემოქმედებითი შრომის გასადრმავებლად იმდენად, რამდენადაც პროგნოზები პესიმისტურ ხასიათს ატარებენ.

მოცემულია ტექნოლოგიური პროგნოზირების ანალიზი, როგორც დამაჯერებელი მსჯელობისა ტექნოლოგიების მომავალზე, როდესაც ტექნოლოგიური პროგნოზირება მინიშნებული



წარსულიდან აწმყოსაკენ შესაძლო ვარიანტების გადარჩევისას შეჯერებულია ექსტრაპოლაციის პრინციპთან და არ იკარგება მოვლენის შესახებ საწყისი ბაზისიდან მომავალზე განვითარების ტენდენციის გადატანის შესაძლებლობები.

კიბერნეტიკის თვალსაზრისით ადამიანი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ძალიან რთული მოაზროვნე მანქანა-კომპიუტერი. ასეთი დაშვების შედეგად გამორიცხული არ არის აღმოჩნდეს ის, რომ ადამიანთა მოქმედების წარმართველი აზრობრივი კოდი და მათი გამომჟღავნების პროგრამები არც თუ ისე მრავალმხრივია. თუმცა ევრისტიკული ხასიათისაა, მოქმედებენ ექტრაპოლაციის პრინციპით და მისი მოდელირების შესაძლებლობები პროგნოზირებისთვის შეზღუდულია. “ადამიანის აზროვნების კოდში” იგულისხმება ადამიანის თავში ფორმირებადი ევრისტიკული აზროვნების ვარიანტების ალგორითმული გამოვლენის პროგრამა, რომლის არსი პროგნოზირების შემთხვევაში არის “მინიშნებული მომავლისაკენ” ექსტრაპოლაცია (შეენიშნავთ, რომ ევრისტიკა შეისწავლის ადამიანის აზროვნების ოპერაციების ბუნებას სხვადასხვა ამოცანების ამოხსნის გამოცდილებებს და ადამიანის ინტუიციას).

არსებობს რიგი წინააღმდეგობები და სირთულეები ადამიანთა საზოგადოებაში, როდესაც ისინი ერთმანეთთან “მიმედურთიერთობენ” და წესრიგს არ ემორჩილებიან. ამის წარმართველი “აზროვნება იხლართება” შესაბამისი პროგრამებით ისე, რომ მათზე ზემოქმედება სასიკეთო საზღვრებში ჩაყენების თვალსაზრისით გართულებულია, ხოლო მიმდინარე პროცესის შესაბამისი გამართლებული პროგნოზის მიღების რეალობა სათუო ხდება, თუმცა ექსტრაპოლაციის პრინციპი ადამიანთა საზოგადოების გაერთიანებული დასკვნების მიღების უნარით ძალაში რჩება. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ის, რომ ბრძანებლური ეკონომიკიდან განთავისუფლებული ადამი-

ანთა თაობები ინერციით ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებებით არიან “დამუხტულნი”. ისინი ამის შესაბამისი პროგრამებით ერთმანეთს ხელს უშლიან ცხოვრების კეთილდღეობის მოწყობაში და მოქმედებენ ექსტრაპოლაციით. ამას ვერც “პირობითი” დემოკრატია შეეღის. პირიქით იგი კიდევ უფრო ამძაფრებს ადამიანის თავისუფლების შეგრძნებას (ადამიანი მართლაც, რომ მხოლოდ მოაზროვნე მანქანა-კომპიუტერი იყოს აღნიშნულის გამოსწორება “აგრესიული” პროგრამების “გამოხშირვის” მსგავსი მოქმედებებით მოხერხდებოდა).

თანამედროვე ადამიანი, რომელიც ცივილიზაციას მხოლოდ საკუთარი გაგებით ეზიარა და არ უკვირდება ამ ცივილიზაციის უარყოფითი შედეგების სიმძაფრეს, იგი შრომით აღზრდაშიც საკუთარ დახმარებას თხოულობს. თანამედროვე ადამიანი თითქმის უფასოდ წარსულიდან აწმყოში აზროვნების ლოგიკით მიეჩვია ტექნიკური პროგრესის სიკეთით სარგებლობას და არ უკვირდება საით მიყავს მეცნიერული ტექნიკის პროგრესის უკონტროლო გამოყენებასა და მასში პროგნოზირების დაბალ დონეს, პროგნოზების უგულვებელყოფას და ა. შ.

საგანგაშოა ის, რომ ადამიანთა მართვის სირთულე ცივილიზაციის ამადლებასთან ერთად კიდევ უფრო “იხლართება”. აქედან თავის დაღწევას ადამიანები ვერ ახერხებენ, პირიქით მოსალოდნელია ადამიანების ინერტულობით “გაზარმაცება”, რომელიც მათი უმოძრაობითაც ფიქსირდება. ამდენად, მნიშვნელობა ენიჭება ადამიანი სუბიექტის პასუხისმგებლობის ამადლებით ქცევის გააქტიურებას და პროგნოზირებაში შემოქმედების მიღწევას.

თითქმის ასეა, რომ ჩვენი “ცხოვრება ექვემდებარება მექანიკურ რიტმს”, რომლის მოქმედებით გამოწვეულ დინამიზმს ბუნების ძალას ვაბრალდებთ, საერთოდ ღმერთის იმედით ვსულდგმულობთ, სამყაროს არსში “ვიქექებით” თითქოს რაიმეს ვაღწევთ, მაგრამ ირკვევა, რომ იგიური გარდაქმნებით ვარსებობთ, რომელსაც ვართულებთ ისევ ჩვენს გაგებასა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში ვუშვებთ შეცდომებს და მათ გამოსწორებას ვცდილობთ. მულტიპლიკაციური თანმიმდევრობით წარ-

მოდგენილი იგივეობა ყოველგვარ გარდაქმნას უძლებს და მასში იგივეობა ძალაში რჩება, შემთხვევითობის ზეგავლენით ეს იგივეობა იკვეცება და ადამიანისგან როგორც ფიზიკური ერთეულისგან მხოლოდ “საწყისი სული” რჩება, რომელიც იდეის დონეზე არსებობს და შეიძლება ითქვას მარადიულია.

პროგნოზირების შესაძლებლობით ადამიანის აზროვნება გამოიყოფა კომპიუტერისგან, როგორც მომავლის განჭვრეტის უნარით, ასევე მისგან ოპტიმალური ვარიანტის გამოვლენით და მიზანსწრაფვით, უნიკალურობით და სისტემურობით. თუმცა არის სხვა რიგი თვისებებიც, რომლითაც ადამიანი უხილავი ხელის ზემოქმედებით ახალი შესაძლებლობის გამოვლენის გარეშე მოქმედებს და იმარჯვებს “გამოუვალ მდგომარეობაში ჩაუარდნის” შემთხვევაშიც კი. ამის თანამონაწილე არა მარტო ადამიანის გადაწყვეტილებებია, ამასთან ადამიანში, როგორც სუბიექტში ჩამოყალიბებული პროგნოზირების შესაძლებლობებია რომელიც მომავლისკენაა გამიზნული.

ის დიდი სფერო, რომელსაც თანამედროვე პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თავისი წამყვანი ხასიათით ეკონომიკაში და პერსპექტივით ქვეყნის გაძლიერების საქმეში. მიუხედავად ასეთი მნიშვნელობისა პოსტსაბჭოთა საქართველოში მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის პროგნოზირება ჯერ კიდევ არ არის აყვანილი სათანადო სიმაღლეზე.

იმის გამო, რომ ეკონომიკურმა პროგნოზირებამ ვერ მოიპოვა თავისი საპატიო ადგილი მეცნიერულ-ტექნიკურ პროგნოზირებაში (იგულისხმება მისი აქტიური ხასიათი სახელმწიფოს მომავლის დაგეგმვასა და მართვაში), თანამედროვე ტექნიკურმა პროგრესმა ადამიანის შრომისთვის არ დატოვა შემოქმედებითი და სამართლიანი შეფასების შესაძლებლობები. აღმოჩნდა პირიქით ადამიანის შრომა უფრო დაძაბული გახდა (და შეიძლება ითქვას ზოგჯერ მტანჯველიც კი). ასეთი შეფასება თითქოს სადავოა, რადგან მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის ზემოქმედება ადამიანთა საზოგადოებაზე არაერთგვაროვანია. არის ადამიანთა ნაწილი, რომლებიც მეცნიერულ ტექნიკურმა პროგ-

რესმა დაუმსახურებლადაც კი (შემთხვევით) გაამდიდრა, შეიძლება ისინი ბიუროკრატი ბიზნესმენებიც იყვნენ, რომლებსაც ეხერხებათ სხვისი შრომის მითვისება. სხვა შემთხვევაში მეცნიერების არმია, თავისი სტრუქტურით და პერსპექტივებით “ცარიელზე დარჩეს”. ეს ძირითადად ეხება პოსტსაბჭოთა სახელმწიფოთა მეცნიერებას, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც ტექნოკრატია მეცნიერთა შრომა ნაკლებად ეფექტიანი და არაშემოქმედებითი, თითქოს მარტივი გახდა. ამით ახალი უბედურებით დაემუქრა არა მარტო ცალკეულ შემომქმედ მეცნიერსა და მის დამხმარე პერსონალს, ამასთან ქვეყნის მომავალს. ამის მიზეზი ძირითადად ის არის, რომ ამჟამად სამყაროში პუმანურობის თვალსაზრისით არაადამიანურმა გადაწყვეტილებებმა დაკანონება დაიწყო და საქმე ისე წარიმართება, მომავალში უფრო ნათლად გამოჩნდება ის, რომ ტექნიკამ შემომქმედ გონიერ ადამიანს წაართვა მისი ადგილი, რომელიც მას ქვეყნიერების დასაბამიდან ებოძა. ადამიანთა საზოგადოებას მომავალში არ შეეძლება, თუ კი ვერ მოერევა, მოთოკოს მაინც სამხედრო კომპლექსებისგან გარემოს დაბინძურებით გამოწვეული ტექნიკური პროგრესის მიმე შედეგების კატასტროფული ზრდა. ეს ისაა, რასაც იწვევს გრძელვადიანი პროგნოზების სახელმწიფოთა დონეზე სათანადო დაუფასებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნიკური პროგრესი უკონტროლოდაა და მოკლევადიან პერიოდში მომგებიანობის გამო მიმზიდველია წვრილი ბიზნესმენებისთვის, რომლებიც ეკონომიკაში რისკის ჭეშმარიტ არსშიც ვერ ერკვევიან.

ტექნიკურმა პროგრესმა (იგულისხმება მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი) ადამიანის შრომას ვერ მიანიჭა შემოქმედებითი ხასიათი იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანი დამოუკიდებლად მოაზროვნე და კომპიუტერებისგან ბევრად განსხვავებულია და თავისუფალი უნდა იყოს ხედმეტი ჩარევისგან. მოხდა პირიქით, ცივილიზაციის შესაბამისად, რომელიც მისთვის დიდად მიმზიდველი გახდა, ადამიანი ტექნიკას კიდევ უფრო “მიეჯაჭვა”, ფიზიკური კეთილსინდისიერი და მწარმოებლური შრომა მტანჯველი და აუტანელი გახდა დროისა და ინფორმაციის უკმარი-

სობის პირობებში. ამას ისიც ემატება, რომ ცივილიზაციის შესაბამისად დიდია განათლების ზრდასთან ერთად მოთხოვნა და პრეტენზიები კარგ ცხოვრებაზე. ეს განსაკუთრებით შემაშფოთებელი ხდება პოსტსაბჭოთა საქართველოში, დაუმსახურებლად მოსახლეობის მდიდარი ფენის და უკონტროლო ბიუროკრატიის გაძლიერებით.

მსოფლიოში ადამიანთა საზოგადოების მდგომარეობა “უცნაურად დაიძაბა”, თითქოს ტექნიკამ ადამიანის შრომა ნაკლებად შემოქმედებითი და მარტივი გახადა (უკიდურეს სიმარტივისას ხელით შრომას, რომ ვუწოდებთ ისეთი). ამით ტექნიკამ სარგებელზე მეტად, უფრო მეტი უბედურება მოუტანა არა-ადამიანურ მდგომარეობაში ჩაყენებულ სამყაროს. ეს ხომ გარემოს ყოველმხრივი სულიერი და მატერიალური დაბინძურების მორევია, რომლის გამოსასწორებლად ადამიანები თითქოს იბრძვიან, მაგრამ საფუძვლიანი ვერაფერი ვერ მოუხერხებიათ, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ ის ხდება რეალური, რომ ადამიანთა საზოგადოებამ მთლიანობაში ზიანის მომყენებელ ტექნიკას უარი უთხრას და ეძებოს ბუნებასთან ურთიერთობის სხვა საშუალებები თუნდაც ამისთვის თვით ადამიანი მოერგოს ბუნებას თავისი შესაძლო გარდაქმნებით და არა ისე, როდესაც ადამიანი ცდილობს ბუნება მთლიანად, ზოგჯერ გაუაზრებლად, მაქსიმალურად მოარგოს თავის ინტერესებს და უფრო ბრმა რისკით, რომელიც მეტწილად ზიანის მომტანია.

თითქმის ასეა, რომ ჩვენი “ცხოვრება ექვემდებარება მექანიკურ რიტმს”. ამასთან, იბადება კითხვა, ტექნიკური მიღწევები ხომ არ გვართმევენ უფრო მეტ ძალას და ენერგიას ვიდრე ზოგავენ ან გვაძლევენ მას? [1, გვ. 373], ხომ არ არის საყოველთაო კანონი ის, რომ ადამიანი ვერასდროს ვერ განთავისუფლდება ბუნების ბატონობისგან და მასზე ზეგავლენის შესაძლებლობის შექმნის მცდელობით თავს იტყვევებს. შეიძლება მხოლოდ ის თვალსაზრისი იყოს საკმარისი, რომ ადამიანი უნდა განთავისუფლდეს ბუნებისგან, მისი ცხოველური დამოკიდებულებისგან და იგი გადაიზარდოს ადამიანის სულიერ ჩვევათა

განვითარებაში. ამაში კი მოსალოდნელია ადამიანი იპოვნის შვებას, თუ მის მოდგმას შვება საერთოდ თუ უწერია.

იპოვის კი ადამიანი სულიერ წონასწორობას, მაშინ როდესაც იგი მატერიალურად “ღორობის მაღალ საფეხურზე ავიდა” და სასტიკად გაბოროტდა. სანამ ადამიანი სულიერ წონასწორობას ინარჩუნებდა, იგი შედარებით ბედნიერი იყო, რადგან მცირე დოზის იყო მისი ზემოაღნიშნული ქცევა. ადამიანს მინიშნებული ჰქონდა საპატიო ადგილი დედამიწაზე. ამჟამად ადამიანისთვის გაუცნობიერებულმა ტექნიკამ (ერთის მხრივ თითქოს პროგრესმა) წაართვა მისი რეალური ადგილი სამყაროში იმდენად, რომ ადამიანს არ ძალუძს ბუნების მიმართ მოთხოვს თავისი დამოკიდებულება და ამასთან დაკავშირებით პროგნოზები პესიმისტურია.

სრული ჭეშმარიტებაა ის, რომ წარსულის მხრებზე აწმყო დგას, ხოლო მომავალი წარსულისა და აწმყოს ერთიანობაში მოიაზრება. მათთან დაკავშირებით ყურადსადებია რიგი ფილოსოფიური მსჯელობები [1, გვ. 360-371, 404].

ეკონომიკაშიც ასეა, მას არ შეუძლია მხოლოდ წარსულის სტატისტიკისა და მისი აწმყოში მომარჯვებით დაკმაყოფილდეს. თანამედროვე ეკონომიკა იძულებულია ყოველი მოვლენა წარმოიდგინოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანობაში შესაძლო დაკონკრეტებით და სავარაუდო დასკვნებითაც კი, თანაც ისეთი დინამიკურობით, რომ არ მოწყდეს ეკონომიკის რეალობას ისტორიით და თავისივე ლოგიკით.

თუ კი წარსული არ ვიცით იმ დონეზე, რომ შევძლოთ მასზე დაყრდნობა, იგი მაინც უნდა შევქმნათ თუნდაც “უკან ნაბიჯების გადადგმით და შემდეგ წინ” იმ დინამიკის ფორმირებით, რომელიც “მინიშნებულ” წარსულს მომავალში რეალურს გახდის. ეს ისაა როდესაც აწმყოში ხერხდება, როგორც წარსულზე ისე მომავალზე ინფორმაციის მიღება, რასაც შეიძლება არ ახლდეს დამაჯერებლობა, თუმცა მოსალოდნელია ამ რისკით აპრიორმა გაამართლოს. ამით თითქოს წამოიჭრება ეკონომიკური მოვლენის წარსულსა და მომავალში პროგნოზირების აუცილებლობა, რომლებიც სავარაუდო ხასიათს ატარებენ,

მაგრამ მაინც ეძლევათ მნიშვნელობა მომავალი განვითარებისკენ გზის გასაკვაღავად თუნდაც იმის გამო, რომ მომავალი განუხლებელია და აზრობრივი დაშვება აზრობრივ შემოწმებასთან ერთად შეიძლება სასარგებლო გახდეს.

ადამიანი აწმყოში ყველაზე უფრო მეტად იბრძვის თვითგანვითარებისთვის, რომელიც მომავალში უფრო გაძლიერდება, ამიტომ აწმყო ადამიანთა საზოგადოებისთვის ისტორიულობის ამოსავალი წყაროა, რაც ეკონომიკაშიც ბუნებრივია. ეკონომიკური საქმიანობა აწმყოდან მომავლისკენ წარმართავს თავის მოქმედებას და ცდილობს თავისი მეობის უკეთ განხორციელებისთვის გზების გამოვლენას, ამიტომ მომავალი აწმყოსთან კავშირში კაცობრიობის დროული სწრაფვაა [1, გვ. 404].

ადამიანთა საზოგადოების მომავალი მეტწილად აწმყოდან იმართება, თუმცა გამორიცხული არაა წარსულის გავლენა. ეკონომიკაში ეს პროცესი წარმოშობს მიზნობრივი დაგეგმვისა და პროგნოზირების აუცილებლობას სისტემური ანალიზის პოზიციებიდან.

აქვე აღვნიშნავთ, რომ აქ აღნიშნული ტერმინი “დაგეგმვა” თავისი შინაარსით განსხვავდება ბრძანებლურ ეკონომიკაში დამკვიდრებული ზემოდან ქვემოთ დაძალებით წარმართულ გეგმიურობისგან. წინამდებარე ნაშრომში დაგეგმვას განვიხილავთ პერსპექტიულ ეკონომიკურ ანალიზში მიღებული გეგმორიენტირის სახით და შესაძლო თავისუფლების მაღალი ხარისხით.

ამასთან ერთად აღვნიშნავთ იმასაც, რომ არ იქნება მიზანშეწონილი საგეგმო მართვის უგულებელყოფა ეკონომიკურ პროგნოზირებაში და არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საგეგმო მართვა – ესაა სამეურნეო მექანიზმი დინამიკაში [2, გვ. 47], რომელსაც საბაზრო ეკონომიკაში ახალი “ელფერი ეძლევა”.

ასეთი გზით მიმდინარეობს ეკონომიკური პროგნოზისათვის დინამიზმის ელემენტების მინიჭება, რომელიც საფუძვლად ედება მომავლის კონტურების გამოვლენას და მისი საშუალებით ტექნოლოგიური პროგნოზირების ეფექტიანობის გაზრდას. პასიური გეგმა წინ თუ უსწრებს პროგნოზირებას, მაშინ მისი

მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება პროგნოზის გააქტიურების შემთხვევაში, როდესაც ვგულისხმობთ არა ბრძანებლურ ეკონომიკაში დაკანონებულ გეგმას, არამედ დაგეგმვასა და მართვისთვის რეალიზებად გეგმა ორიენტირს და მასთან დაკავშირებულ აქტიურ პროგნოზებს. გამომდინარე აქედან დაგეგმვას წარმოვადგენთ, როგორც დინამიკური უკუკავშირის გარეშე მოქმედ მართვის ერთჯერად ელემენტს.

დაგეგმვისგან განსხვავებით მართვას წარმოვიდგენთ, როგორც ობიექტის (ეკონომიკური მოვლენის) მიმართ მიზანმიმართული ზემოქმედების განხორციელების დინამიკურ პროცესს, რომელშიც გათვალისწინებულია უკუკავშირების რეაქციებიც, მასთან კავშირში სისტემა გარკვეულ საზღვრებში რეგულირდება.

პროგნოზი (ეკონომიკური, მეცნიერული) ალბათური მსჯელობაა მომავლის შესახებ და იგი პროცესის მომავალი ცვლილებების ხასიათზე გამოთქმული აზრის საქმიანი ვარიანტია მაღალი ხარისხის საიმედოობით. მოვლენის წინასწარგანჭვრეტა, დაკავშირებულია ეკონომიკურ პროგნოზირებასთან, იგი სუბიექტის აზრია დამყარებული ობიექტის ცვლილების აბსოლუტურ საიმედოობაზე და არა ალბათური მტკიცება ამ ობიექტის მომავალზე (ე. ი. სუბიექტი ღრმად უნდა იყოს დარწმუნებული თავისი აზრის სისწორეში ობიექტის მომავლის შესახებ). მოსალოდნელი კი არის ის, რომ ასეთ წინასწარგანჭვრეტის შედეგს, როგორც პროგნოზს შეიძლება არ ჰქონდეს დიდი დამაჯერებლობა, რადგან იგი მეტწილად სუბიექტის, როგორც ექსპერტის, განჭვრეტის უნარსა და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული.

ზემოთ მოტანილ მსჯელობას აქვს მიმართულება ტექნოლოგიური პროგნოზირებისკენ, როგორც ყველაზე მისაღებ შესაძლებლობას მეცნიერულ-ტექნიკური პროგნოზირების პერსპექტივის გამოსაკვლევადა. ამასთან ერთად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ტექნოლოგიური პროგნოზირების ადაპტაციის გარკვევა პოსტსაბჭოთა ეკონომიკის ტრანსფორმაციასთან.

ჩვენი თვალსაზრისითაც ტექნოლოგიური პროგნოზირება არის დამაჯერებლური მსჯელობა ტექნოლოგიების მომავალ ვარიანტებზე, როდესაც საძიებელი ტექნოლოგიური პროგნოზირება დროითი ლაგით ორიენტირებულია ცოდნის, საწყისი ბაზისიდან, მომავალზე გადატანაზე. ამას ახლავს იმის ღრმადრწმენა, რომ ტექნოლოგიური პროგნოზირება თავის მხრივ წარმოადგენს ტექნოლოგიის მომავალს.

ნორმატიული ტექნოლოგიური პროგნოზირება დამყარებულია ექსტრაპოლაციის პრინციპზე, რომელიც გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის დამახასიათებელი მცირე ცვლილებების, მდგრადობის შენარჩუნებისა და სიმარტივის მიზეზებით, რაც თავის მხრივ აისახება შესაბამის მაჩვენებელთა განმსაზღვრელი პარამეტრების მცირედ ცვლილებებში.

მათგან განსხვავებით ტექნოლოგიური პროგნოზირება ამოსავალი საწყისებიდან მომავლის შემთხვევითობის დაშვებისას რეალური მიზნის მინიშნებით იწყება და მთლიანობაში ფასდება ვარიანტების ეტაპობრივი გადარჩევით მინიშნებული მომავლიდან საწყისისკენ უკუსვლით [3, გვ. 31].

როგორც ვხედავთ, გრძელვადიანი ეკონომიკური პროგნოზირების ჩატარება უკავშირდება ექსტრაპოლაციის პრინციპსა და ტექნოლოგიური პროგნოზირების მეთოდის ერთდროულ გამოყენებას, რაც მოითხოვს მინიშნებული მიზნისკენ ექსტრაპოლაციის მეთოდის მოდიფიკაციას. ამ შემთხვევაში მიზნის განჭვრეტა ცალკე წარმოებს, თუმცა შესაძლებელია მისი რამდენიმე ვარიანტი ექსტრაპოლაციის დროს პარამეტრთა ცვლილებით გამოვეყნოთ სცენარის მეთოდისა და ექსპერტების დახმარებით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და სხვა რიგი მნიშვნელოვანი პროცესების მისაღებად ჩატარებული შემოქმედებითი მუშაობის შედეგები თავს იჩენენ პროგნოზირების მეთოდების მოდიფიკაციებსა და მათ განზოგადებებში, რომლებშიც ბუნებრივად უნდა ჩაირთოს სრული სპექტრით შესაბამისი პრინციპებით: უნიკალურობა, მიზანდასახულობა, სისტემურობა და ა. შ. [4]. მათ კვლევის გაღრმავების საფუძველზე, მეთოდოლოგიის

სახე მიეცემათ. ასეთ შემთხვევებში ეკონომიკური პროგნოზირების სქემატურ მხარეებსაც ენიჭებათ უპირატესობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი მიმართულნი არიან წამყვან ფაქტორთა ზრდის ტემპების და მათი სტრუქტურათა ცვლილების გამოსავლენად, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ფორმირების დასახუსტებლად და ა. შ. აქედან გამომდინარე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგნოზირების მეთოდოლოგიის სრულყოფის მიმართ სუბიექტის დამოკიდებულება ყოველთვის ოპტიმისტურია, თუმცა არც იმის უგულებელყოფა იქნებოდა სამართლიანი, რომ არსებითია დანახარჯებისა და მოგების სავარაუდო შეფასების დაფიქსირება. მათზე ანგარიშია გასაწევი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ალბათური ხასიათს ატარებენ. იმის გამო, რომ სანდოობის დაბალი ხარისხი აქვთ, მაინც არ შეიძლება ყურადღების გარეშე დარჩეს ლოგიკურად გამართლებული, მაგრამ ნაკლებად გამჭვირვალე მეთოდებით მიღებული შედეგებიც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი რეალურ შედეგებზე მხოლოდ მინიშნებას ახდენენ.

ადამიანის ფაქტორიდან გამომდინარე, რიგი უნიკალურობისა და მიზანდასახულობის ჩართვა ეფექტიანი ხდება ეკონომიკაში პროგნოზირებისთვის. ამასთან დაკავშირებით სტატიაში ხაზგასმულია ტექნოლოგიური პროგნოზირებისა და ექსტრაპოლაციის პრინციპის ერთობლივი ამოქმედების პერსპექტიულობა, განსაკუთრებით მაშინ თუ მათში ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორის სახით ჩაერთვება აზროვნება სრული სპექტრით.

ლიტერატურა

1. კოდუა ე. ისტორიის ფილოსოფია. თბილისი, 1966.
2. Беридзе Т. А. Плановое управление в концепции ускорения социально-экономического развития. Тбилиси. Мецნიერება. 1988.
3. Янч Е. Прогнозирования научно-технического прогресса. Москва, Прогрес. 1974.
4. Наддлер Дж. Хибино Ш. Фаррелл Дж. Мышление полного спектра (перевод с английского). Минск, 2001.

UNIFIED ANALYSES OF TECHNOLOGICAL FORECASTING AND EXTRAPOLATION PRINCIPLE IN THE ECONOMY

Roland Sarchimelia, lia Charekishvili
*Paata Gugushvili Institute of Economics,
The Georgian Academy of Sciences
14 Kikodze st, 0107, Tbilisi, Georgia*

Summary. The paper considers problems of technological forecasting and extrapolation principle as a method of long-term economic forecasting. Those thinking peculiarities of the individual as an expert, that compares the past with long-term forecasting of the future with the help of extrapolation, are the objects of primary deliberation.

The paper characterizes the possibilities of an individual, as an expert in revealing of tendencies of the development of economic phenomenon and in the forecasting process, as well as features of technical progress, when conditions for deep creative activity of an individual were unestablished. An individual became even more dependent on scientific and technical progress since forecasts have pessimistic character.

The paper analyses technological forecasting, as the convincing example of the technology of the future, when technological forecasting of the future, based on past experience, compatible with extrapolation principle.

ЕДИННЫЙ АНАЛИЗ ТЕХНОЛОГИЧЕСКОГО ПРОГНОЗИРОВАНИЯ И ПРИНЦИПА ЭКСТРАПОЛЯЦИИ В ЭКОНОМИКЕ

Сарчимелия Роланд, Чарекишвили Лия

Институт экономики им. П. Гугишвили

Академии Наук Грузии,

Тбилиси, 0107, ул. Кикодзе N 14

Резюме. В статье рассмотрены вопросы технологического прогнозирования и принцип экстраполяции, как метод долгосрочного экономического прогнозирования. На первый план вынесены те особенности мышления человека как эксперта, которые при помощи экстраполяции сопоставляют прошлое с долгосрочным прогнозированием будущего.

Охарактеризованы возможности человека, как эксперта при выявлении тенденций в развитии экономического явления и в процессе прогнозирования. А так же особенности технического прогресса, когда не были созданы условия для углубленного творческого труда человека, и человек еще больше стал зависим от техники, чем до того, как он использовал потенциал научно-технического прогресса для углубления творческого труда, постольку поскольку прогнозы носят пессимистический характер.

Дан анализ технологического прогнозирования, как убедительный пример технологии будущего, когда технологическое прогнозирование, основанное на использовании опыта прошлого для расчета возможных вариантов будущего, совместимо с принципом экстраполяции.

საქართველოს საგადასახადო სისტემის საკანონმდებლო სრულყოფის გზები

თამაზ აქუბარდია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
0177, თბილისი, კოსტავას 77.

შემოვიდა: 2003წ 18 მარტს

რეზიუმე. სტატიაში გაანალიზებულია საგადასახადო სისტემის საკანონმდებლო სრულყოფის გზები. ჩამოთვლილია ის სუბიექტები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციისა და საგადასახადო პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის საქმეში. ეს სუბიექტებია – სახელმწიფო, როგორც “თამაშის წესების” დამდგენი და იმავდროულად გადასახადის ამკრეფი; მეწარმე, როგორც გადასახადის გადამხდელი და ბოლოს მომხმარებელი, ანუ ქვეყნის მოსახლეობა, როგორც გარკვეულწილად ორივე ზემოთ ჩამოთვლილი სუბიექტების ნიშნების მატარებელი. ხაზგასმულია, რომ საგადასახადო პოლიტიკის უმთავრესი მიზანი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მასტიმულირებელი გარემოს შექმნაა, რაც ქვეყნის საშუალო ფენის ფორმირებას შეუწყობს ხელს. ამ უკანასკნელის ფორმირების წინაპირობა კი წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარებაა. სტატიაში დასაბუთებულია, რომ აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელია, თუ ქვეყნის საგადასახადო სისტემაში არ მოხდა ყველა იმ ინტერესის გათვალისწინება და შეძლებისდაგვარად დაბალანსება, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ სუბიექტებს გააჩნიათ. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკანონმდებლო რეალიზაცია, რომლის განხორციელების გზას წარმოადგენს იმ ადამიანთა ერთობლივი მუშაობის შედეგი, რომლებიც წარმოადგენენ აღნიშნული სუბიექტების ინტერესების გამომხატველ პირებს. სტატიაში ხაზგასმულია, რომ გარდა

ჩამოთვლილი სუბიექტებისა, საგადასახადო სისტემის საკანონმდებლო სრულყოფის პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციები. მათ შორის უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო საგაულტო ფონდთან გაფორმებული მემორანდუმი, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს საქართველოს პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების ნორმალიზაციისათვის.

* * *

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს სწორი საგადასახადო პოლიტიკის წარმართვა წარმოადგენს. საკითხის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მშენებლობის იმ ეტაპზე, რომელზეც დღეს საქართველო იმყოფება. საბჭოთა კავშირის დაშლამ, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვის სისტემიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის უაღტერნატივობამ, დღის წესრიგში დააყენა დამოუკიდებელი საქართველოს საგადასახადო ურთიერთობების საკანონმდებლო ბაზის ფორმირების ამოცანა. ამ მიზნით, ჯერ კიდევ საქართველოს მესამე მოწვევის პარლამენტმა 1993 წლის ბოლოს მიიღო ახალი კანონების მთელი წყება, რომლითაც პრაქტიკულად შეიცვალა გადასახადების საბჭოური ფორმები და მეთოდები. აღნიშნული კანონების მიღებით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა საგადასახადო სისტემის შექმნას, შემუშავდა საგადასახადო სისტემის ფორმირების ზოგადი პრინციპები, ჩამოყალიბდა გადასახადების, გადასახდელების, მოსაკრებლების და სახელმწიფო ბაჟის ფორმირების მეთოდოლოგიური და მეთოდური საფუძვლები [1]. მიღებული საკანონმდებლო აქტების უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად ალბათ არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ არსებობდა საერთო მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომა, რომლის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ცალკე იქნა მიღებული “საგადასახადო სისტემის საფუძვლების შე-

სახებ” კანონი, რომელიც შემდეგ თავის მხრივ საფუძვლად დაედო ასევე ცალკ-ცალკე მიღებულ კანონებს “საგადასახადო სამსახურის შესახებ”, “დამატებული ღირებულების შესახებ”, “აქციზის შესახებ”, “ მოგების გადასახადის შესახებ”, “ქონების გადასახადის შესახებ” და ა.შ. კანონებს. აღნიშნული გარემოება ძალზე ართულებდა საგადასახადო სისტემის როგორც საკანონმდებლო მონიტორინგის, ასევე მისი, როგორც ერთიანი, მთლიანი, დასრულებული სისტემის მთლიანობაში აღქმას. ალბათ ამანაც განაპირობა ის, რომ საქართველოს მეოთხე მოწვევის პარლამენტმა, 1997 წლის პირველ ნახევარში, მიიღო საგადასახადო კოდექსი. ამ კოდექსის ყველაზე მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ მან, ჯერ ერთი, გააერთიანა, აქამდე ცალკ-ცალკე გაბნეული საგადასახადო სისტემასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები და მეორეც, კოდექსმა “სამართლებლივად განსაზღვრა გადასახადების დაწესების, შეცვლის და გაუქმების წესი, მათი გადახდევინების პრინციპები, ფორმირების და საგადასახადო კონტროლის განხორციელების მეთოდოლოგია, დაადგინა საერთოსახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადების სახეები, მკაფიოდ ჩამოყალიბდა გადასახადების აღმინისტრირების წესები, შემუშავდა საგადასახადო სამსახურის სტატუსი და სტრუქტურა და ა.შ.” [1] მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, ცალსახად უნდა აღინიშნოს დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსის ნაკლოვანი მხარეებიც. პირველ რიგში ეს ეხება, მთელი რიგი დებულებების, მუხლების და რიგ შემთხვევაში ცალკეული თავების რთულ, აღსაქმელად არაცალსახა და ბუნდოვან ენობრივ კონსტრუქციებს. გარდა ამისა, ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო კოდექსის მომზადებისას დაშვებულ შეცდომებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ ქართულ მხარეზე არ მოდის. როგორც საუბრით სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ვლადიმერ პაპავა “საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში დაშვებულ შეცდომათა უმრავლესობა საგადასახადო პრობლემატიკას ეხება” [2]. ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ 1997 წლიდან ვიდრე დღემდე, საგადასახადო კოდექსში 60-ზე მეტი საკანონმ-

ჩამოთვლილი სუბიექტებისა, საგადასახადო სისტემის საკანონმდებლო სრულყოფის პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციები. მათ შორის უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გაფორმებული მემორანდუმი, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს საქართველოს პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების ნორმალიზაციისათვის.

* * *

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს სწორი საგადასახადო პოლიტიკის წარმართვა წარმოადგენს. საკითხის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მშენებლობის იმ ეტაპზე, რომელზეც დღეს საქართველო იმყოფება. საბჭოთა კავშირის დაშლამ, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვის სისტემიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის უაღტერნატივობამ, დღის წესრიგში დააყენა დამოუკიდებელი საქართველოს საგადასახადო ურთიერთობების საკანონმდებლო ბაზის ფორმირების ამოცანა. ამ მიზნით, ჯერ კიდევ საქართველოს მესამე მოწვევის პარლამენტმა 1993 წლის ბოლოს მიიღო ახალი კანონების მთელი წყება, რომლითაც პრაქტიკულად შეიცვალა გადასახადების საბჭოური ფორმები და მეთოდები. აღნიშნული კანონების მიღებით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა საგადასახადო სისტემის შექმნას, შემუშავდა საგადასახადო სისტემის ფორმირების ზოგადი პრინციპები, ჩამოყალიბდა გადასახადების, გადასახდელების, მოსაკრებლების და სახელმწიფო ბაჟის ფორმირების მეთოდოლოგიური და მეთოდური საფუძვლები [1]. მიღებული საკანონმდებლო აქტების უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად ალბათ არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ არსებობდა საერთო მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომა, რომლის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ცალკე იქნა მიღებული “საგადასახადო სისტემის საფუძვლების შე-

სახებ” კანონი, რომელიც შემდეგ თავის მხრივ საფუძვლად დაედო ასევე ცალკ-ცალკე მიღებულ კანონებს “საგადასახადო სამსახურის შესახებ”, “დამატებული ღირებულების შესახებ”, “აქციზის შესახებ”, “მოგების გადასახადის შესახებ”, “ქონების გადასახადის შესახებ” და ა.შ. კანონებს. აღნიშნული გარემოება ძალზე ართულებდა საგადასახადო სისტემის როგორც საკანონმდებლო მონიტორინგის, ასევე მისი, როგორც ერთიანი, მთლიანი, დასრულებული სისტემის მთლიანობაში აღქმას. ალბათ ამანაც განაპირობა ის, რომ საქართველოს მეოთხე მოწვევის პარლამენტმა, 1997 წლის პირველ ნახევარში, მიიღო საგადასახადო კოდექსი. ამ კოდექსის ყველაზე მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ მან, ჯერ ერთი, გააერთიანა, აქამდე ცალკ-ცალკე გაბნეული საგადასახადო სისტემასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები და მეორეც, კოდექსმა “სამართლებლივად განსაზღვრა გადასახადების დაწესების, შეცვლის და გაუქმების წესი, მათი გადახდევინების პრინციპები, ფორმირების და საგადასახადო კონტროლის განხორციელების მეთოდოლოგია, დაადგინა საერთოსახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადების სახეები, მკაფიოდ ჩამოყალიბდა გადასახადების ადმინისტრირების წესები, შემუშავდა საგადასახადო სამსახურის სტატუსი და სტრუქტურა და ა.შ.” [1] მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, ცალსახად უნდა აღინიშნოს დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსის ნაკლოვანი მხარეებიც. პირველ რიგში ეს ეხება, მთელი რიგი დებულებების, მუხლების და რიგ შემთხვევაში ცალკეული თავების რთულ, აღსაქმელად არაცალსახა და ბუნდოვან ენობრივ კონსტრუქციებს. გარდა ამისა, ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო კოდექსის მომზადებისას დაშვებულ შეცდომებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ ქართულ მხარეზე არ მოდის. როგორც საუბრით სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ვლადიმერ პაპავა “საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში დაშვებულ შეცდომათა უმრავლესობა საგადასახადო პრობლემატიკას ეხება” [2]. ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ 1997 წლიდან ვიდრე დღემდე, საგადასახადო კოდექსში 60-ზე მეტი საკანონმ-

დებლო აქტებით განხორციელებული ცვლილებების საერთო რაოდენობა 3000-ს აღემატება, რაც ალბათ ყოველთვის არ უნდა ყოფილიყო სადადასახადო კოდექსის სრულყოფისაკენ მიმართული. უფრი მეტიც, ხშირად ეს ცვლილებები, როგორც პოლიტიკური კონიუნქტურის, ასევე ცალკეული კლანების ინტერესებითაც იყო განპირობებული. იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს დამთავრდეს ეს გაუთავებელი “საგადასახადო ვაკხანალია”, ჩვენი აზრით აუცილებელია სულ ცოტა ორი უმნიშვნელოვანესი გარემოების გათვალისწინება. პირველ რიგში აუცილებელია “იმ იდეალური საგადასახადო სისტემის მახასიათებლების განსაზღვრა” [3], რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დემოკრატიულ ქვეყნაზე თუნდაც პრეტენზიის მქონე ქვეყანის საგადასახადო სისტემა და მეორე, უნდა ჩამოყალიბდეს ის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საგადასახადო ურთიერთობებში ქვეყნის ინტერესების გატარებას ჯერ კიდევ საკანონმდებლო დონეზე. პირველ საკითხთან დაკავშირებით ალბათ არაფერი არ იქნება საკამათო, თუ გავიზიარებთ საგადასახადო სისტემის ცნობილი სპეციალისტის ფილლიპ ჩაპელის მოსაზრებას იდეალური საგადასახადო სისტემის შესახებ [3]. მისი აზრით იდეალური საგადასახადო სისტემა შემდეგ ექვს პრინციპს უნდა ემყარებოდეს: სიმარტივე – რაც ნიშნავს გადასახადებთან დაკავშირებული საკითხების ყველასათვის გასაგებად ჩამოყალიბებას; სიცხადე – რაც ნიშნავს ერთიანი განაკვეთით გადასახადს; განაკვეთის სიდიდე – რაც ნიშნავს განაკვეთის ისეთ სიდიდეს, რომელიც მეწარმისათვის მომგებიანს გახდის გადასახადის გადახდას, არგადახდასთან შედარებით; უნივერსალობა – რაც გულისხმობს ყოველგვარი შედავათების და პრივილეგიების გაუქმებას, ხოლო სახელმწიფო მხარდაჭერის საჭიროების სპეციალური პროგრამებით განხორციელებას; სრულყოფილება – რაც ნიშნავს გადასახადებით არა მხოლოდ შემოსავლების, არამედ ხარჯების დაბეგვრასაც; მიუკერძოებლობა – რაც ნიშნავს გადასახადების სხვადასხვა ფორმებს შორის სიმეტრიის არსებობას. მას შემდეგ, რაც განისაზღვრება ის უმთავრესი მოთხოვნები, რომელთა შესრულება მოგვცემს

მეტ-ნაკლებად სრულყოფილ საგადასახადო სისტემას, ამის შემდეგ აუცილებელია ჩამოყალიბდეს ის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით საგადასახადო სისტემის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას.

პირველ რიგში შევნიშნოთ, რომ დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში “სახელმწიფოს” და “მთავრობის” ცნება იდენტურია [4]. აქ არ შევუდგებით იმის გარკვევას, თუ რამ განაპირობა ამ ცნებების იდენტურობა, მითუმეტეს, რომ ჩვენი აზრით მათ შორის პრინციპული განხზავვააა. “მთავრობის” ცნების ქვეშ იგულისხმება ხელისუფლების მხოლოდ ერთი შტო – აღმასრულებელი ხელისუფლება, მაშინ როდესაც “სახელმწიფოს” ცნების ქვეშ მთლიანად ხელისუფლება იგულისხმება [5]. ასეთი გამიჯვნის შემდეგ შეიძლება სალსახად ითქვას, რომ როგორც წესი მთავრობა მსხვილ ბიზნესს ეყრდნობა. უფრო მეტიც, ხშირად მსხვილი ბიზნესი გადამწვევტ როლს თამაშობს მთლიანად მთავრობის ფორმირებაში [6]. აქედან გამომდინარე, მთავრობა მსხვილი ბიზნესის ინტერესების დამცველია, მაგრამ ასე არ არის სახელმწიფოსთან მიმართებაში [7]. იგი ვერ დაეყრდნობა მხოლოდ მსხვილ ბიზნესს. მისი დასაყრდენი არა მხოლოდ და არა იმდენად მსხვილი ბიზნესია, რამდენადაც პირველ რიგში წვრილი და საშუალო ბიზნესი. მართლაც, საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, საზოგადოების განვითარების “ეკონომიკურ ხერხემალს”, სახელმწიფოს ფუნქციონირების “ეკონომიკურ სტაბილიზატორს” საზოგადოების საშუალო ფენა წარმოადგენს [2]. ამდენად, ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ამოცანა საშუალო ფენის ფორმირებაა. არსებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის საზოგადოების 60-70 პროცენტი უღარიბეს ფენას განეკუთვნება. ისინი, შეიძლება ითქვას, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არიან. 20-25 პროცენტი საშუალოზე დაბალ ფენას ქმნის, 5-8 პროცენტი განეკუთვნება საშუალო ფენას და მხოლოდ 2-5 პროცენტი – მდიდართა ფენას. საზოგადოების ასეთი პოლარიზაცია უდიდეს სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს წარმოშობს, რომლის დაძლევის ერთად-

ერთი ქმედითი გზა იმ მექანიზმების ამუშავებაა, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, რომელიც საშუალო ფენის ფორმირების წინამძღვრებს შექმნის. ამ უკანასკნელის ფორმირებისათვის კი, როგორც უკვე აღნიშნეთ აუცილებელია წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა. ის, რომ დღეისათვის ამ მხრივ საქართველოში ყველაფერი წესრიგში არ არის ბიუჯეტში მობილიზებული თანხების ანალიზიდანაც ჩანს. დღეისათვის ქვეყნის ბიუჯეტში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების 80 პროცენტამდე სულ რაღაც 100-მდე მსხვილ გადამხდელზე მოდის და მხოლოდ 20 პროცენტი მოდის ყველა დანარჩენზე [8].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საგადასახადო კოდექსის “იდეოლოგია”, მისი უმთავრესი დანიშნულება, მასში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა, მიმართული უნდა იყოს წვრილი და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს ფორმირებისაკენ. ცხადია, რომ უკანასკნელი არ გულისხმობს მსხვილი ბიზნესისადმი მხარდაჭერის უგულვებელყოფას.

როდესაც საუბარია საგადასახადო პოლიტიკის საკანონმდებლო სრულყოფის გზებზე, უპირველეს ყოვლისა ლაპარაკია იმ სამი ძირითადი სუბიექტის ინტერესების მაქსიმალურ ასახვასა და ამავე დროს ამ ინტერესების ისეთ დაბალანსებაზე, რომელიც საბოლოო ჯამში განაპირობებს საზოგადოებრივი ეკონომიკური ცხოვრების წინსვლას. ეს სუბიექტებია: სახელმწიფო, ანუ გადასახადის ამკრეფი; მეწარმე, ანუ გადასახადის გადამხდელი; მომხმარებელი, ანუ ქვეყნის მოსახლეობა, რომელიც გარკვეული აზრით ორივე ზემოთჩამოთვლილი სუბიექტის ნიშნების მატარებელია.

პირველი სუბიექტი – სახელმწიფო, როგორც გადასახადის ამკრეფი და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების “თამაშის წესების” დამწესებელი, ერთის მხრივ მოწოდებულია რაც შეიძლება მეტი სხვადასხვა სახის გადასახადი დააწესოს და ამასთანავე მაქსიმალურად შესაძლო მაღალი განაკვეთით. მეორეს მხრივ, ამ მიმართულებით ზედმეტმა “გატაცებამ” შე-

საძლოა სამეწარმეო ინიციატივა ჩაახშოს და გადასახადების მობილიზაციის დონე კატასტროფულად შეამციროს. აქედან გამომდინარე, აუცილებლად უნდა მოხდეს სახელმწიფოს, როგორც გადასახადის ამკრეფის და სახელმწიფოს, როგორც “თამაშის წესების” დამდგენის ინტერესების ოპტიმიზაცია.

მეორე სუბიექტი – მეწარმე, ანუ ის ვინც ორგანიზაციას უკეთებს ნებისმიერი სახის დოვლათის შექმნას და ვისი მეოხებითაც ძირითადად ხდება ქვეყნის ბიუჯეტის შევსება. მეწარმე, როგორც ეკონომიკური საქმიანობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტი, თეორიულად მაინც, წინააღმდეგია ნებისმიერი სახის გადასახადის. მაგრამ რამდენადაც ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, ბუნებრივია იგი ცდილობს რაც შეიძლება ნაკლები გადაიხადოს. ეს მისი “სრულიად ბუნებრივი” სურვილი თავის გამოსატყულებას კპოულობს სხვადასხვა სახის ღობისტურ საქმიანობაში, რაც პირველ რიგში ხელისუფლებასთან აქტიურ თანამშრომლობაში გამოიხატება.

და ბოლოს, მესამე სუბიექტი – მომხმარებელი, ანუ თითოეული ჩვენთაგანი, რომელიც ერთის მხრივ გადამხდელიც გახლავთ და, ამ შემთხვევაში იგი მეწარმის ინტერესების გამზიარებელია, ხოლო მეორეს მხრივ იგი სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებების, შეღავათების და ა.შ. მიმღებიც გახლავთ და, ამ აზრით, იგი სახელმწიფოს ინტერესების გამომხატველია.

ამგვარად, ის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ინტერესების შესაბამისად საგადასახადო პოლიტიკის საკანონმდებლო სახით რეალიზებას და, როგორც შედეგი, მოცემული ეტაპისათვის მაქსიმალურად მისაღები საგადასახადო სისტემის შექმნას ზემოთჩამოთვლილი სამი სუბიექტის – სახელმწიფო, მეწარმე, მომხმარებელი – ინტერესების დაბალანსების პროცესია.

აქედან გამომდინარე, რადგანაც ქვეყნის საგადასახადო სისტემა ზემოთ ჩამოთვლილი სამი სუბიექტის ინტერესების დაბალანსების შედეგს უნდა წარმოადგენდეს, ამდენად არ შეიძლება ასეთი დოკუმენტის შექმნა ერთი რომელიმე ზემოთ აღ-

ნიშნული სუბიექტის ეგიდით ხდებოდაც, მართლაც, თუ და ვუშვებთ, რომ ამ დოკუმენტზე ვთქვათ მეწარმეები მუშაობენ, მაშინ, ალბათ ძნელი არ არის იმის დაშვება, რომ ასეთი დოკუმენტი ძირითადად მხოლოდ მეწარმეთა ინტერესების გამომხატველი იქნება – გადასახადების მაქსიმალურად მცირე რაოდენობა და განაკვეთების მაქსიმალურად დაბალი სიდიდე. ასეთი მიდგომის კარგი მაგალითია საპარლამენტო ფრაქცია “მრეწველების” მიერ წარმოდგენილი საგადასახადო კოდექსის პროექტი, რომელიც პარლამენტის მიერ 2003 წელს პირველი წაკითხვით იქნა კიდევ მიღებული. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საპარლამენტო ფრაქცია “მრეწველების” მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში არის საკითხები რომელთა გაზიარება მართლაც საჭიროა. კერძოდ, მოქმედ საგადასახადო კოდექსში არის გადასახადის ისეთი სახეები, რომელთა გაერთიანება “ერთი ქულის” ქვეშ არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ ჩვენი აზრით აუცილებელიცაა. მართლაც, საგნებით შესაძლებელია ისეთი გადასახადების გაერთიანება, როგორიცაა “ქონების გადასახადი”, “მიწის გადასახადი”, “ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი”, “ქონების გადაცემისათვის გადასახადი”. საგნებით გასაზიარებელია აგრეთვე მათი დამოკიდებულება “სოციალური გადასახადისადმი.” უდაოა, რომ მისი დღეს არსებული სახით დატოვება ამუხრუჭებს ბიზნესის განვითარებას [9].

ამგვარად, საგადასახადო სისტემის საკანონმდებლო ბაზა ვერ იქნება სრულყოფილი და ვერ იმუშავებს ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ, თუ ამ სისტემაში მხოლოდ რომელიმე ერთი სუბიექტის ინტერესები იქნა გათვალისწინებული, იმისდა მიუხედავად, რომ რიგ შემთხვევაში მათ მიერ წარმოდგენილი ზოგიერთი დებულება შესაძლოა ქვეყანას წაადგეს კიდევ. აქედან გამომდინარე, ის ადამიანები, რომლებიც კონკრეტულად იმუშავებენ საგადასახადო სისტემის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე, ჩვენი აზრით დაკომპლექტებული უნდა იყოს სამივე სუბიექტის – სახელმწიფოს, მეწარმის და მომხმარებლის – წარმომადგენლებისაგან. შაგანგებოდ ღირს შეჩერება იმაზე,

თუ ვინ უნდა იყოს ამ პროცესში მომხმარებლის ინტერესების გამომხატველი. როგორც ცნობილია, “არასამთავრობო ორგანიზაციების” ინსტიტუტი წარმოადგენს დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტს. ჩვენდა სამწუხაროდ საზოგადოებას დღესდღეობით ეს ფაქტი კარგად გაცნობიერებული არა აქვს. სამაგიეროდ ამას კარგად ხვდებიან როგორც პოლიტიკური პარტიები, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციები და ალბათ ამიტომაც არის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა მათ სატელიტებს წარმოადგენენ. ბუნებრივია მათ მიმართ საზოგადოების მხრიდან გარკვეული უნდობლობაც. მოსდა მიუხედავად ამ ინსტიტუტის ამოქმედება ხელს შეუწყობს საგადასახადო სისტემის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის პროცესის გამჭვირვალეობას, რასაც დღევანდელ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

და ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ჩამოვთვალეთ ის სუბიექტები რომელთა ინტერესებიც უნდა იქნეს არა მხოლოდ დაცული, არამედ მაქსიმალურად გათვალისწინებული, როდესაც საუბარია ქვეყნის საგადასახადო სისტემის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის საკითხზე. მაგრამ არაფერი გვითქვამს ამ პროცესში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლის შესახებ. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გაფორმებული მემორანდუმი ჩვენ გარკვეულ ვალდებულებებს გვაკისრებს და მათი არ გათვალისწინება ქვეყნის განვითარების პროცესს ნამდვილად არ წაადგება. მითუმეტეს, რომ მათი რეკომენდაციები ძირითადად ისეთი სახისაა, რომ იგი ქვეყანამ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეასრულოს, სავალუტო ფონდი ბუნებაში საერთოდ არ არსებობდეს [2].

ლიტერატურა

1. მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო. გადასახადები და დაგეგმვა. თბილისი, „პდპ“, 2002.

2. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, “პდპ”, 2002.
3. Chappell P. The assault on Fiscal Privilege. A Simpler System with Lower Tax Rates. In: P. Chappell, J. Key, B. Robinson. Which Road to Fiscal Neutrality, London, IEA. 1990.
4. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები. თბილისი, “დიოგენე”, 2000.
5. აქუბარდია თ. საბაზრო სისტემა და სახელმწიფო. თბილისი, “მეცნიერება”, 1996.
6. რონდელი ა. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. თბილისი, “მეცნიერება”, 2003.
7. Пиндайк Р., Рабинфельд. Д. Микроэкономика. СПб, Питер, 2002.
8. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, 2001 წელი. თბილისი, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.
9. აღამია ს. გადასახადების შემცირების ცნების არსისა და მნიშვნელობის საკითხისათვის. კრებულში: “გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები”, ტომი მე-2, თბილისი, ფსკი, 2002.

THE WAYS OF LEGISLATIVE IMPROVEMENT OF TAX SYSTEM OF GEORGIA

Tamaz Akubardia

Georgian Technical University

77, Koctava, 0171, Tbilisi, Georgia

Summary. In this paper there are analyzed some ways of improvement tax legislation system. For these purposes, first of all it is necessary to identify

these subjects, which play definitive role in mobilization tax revenue and implementation of tax policy of the country. These subjects are: state, as the composer of "game rules" and tax collector; proprietor, as tax payer and population, i.e. consumer, which is characterized with both abovementioned characteristics. There is underlined that the main direction of tax policy is the creation of facilitating environment for economic development of the country. This will support to the creation of middle level of population and the precondition of this is the development of small and medium sized business. According to article, this will not be possible without taking into consideration all the interests of abovementioned subjects and their possible balance. Only after this, the improvement of tax legislative system by means of joint work of persons, who defend the interests of these subjects, will be reached. It is also stated in this article, that beside this, it is necessary to take into consideration the recommendations of international financial organizations, including the memorandum signed with International Monetary Fund, which is the main condition for normalization of Georgia's relations with neighbor countries.

ПУТИ ЗАКОНОДАТЕЛЬНОГО СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ НАЛОГОВОЙ СИСТЕМЫ ГРУЗИИ

Тамаз ақубардия

Доцент технического университета

Тбилиси, 0171, ул. Костава 77.

Резюме. В статье проанализированы пути законодательного совершенствования налоговой системы Грузии. Показано, что для реализации

последнего необходимо определение тех субъектов, которые играют решающую роль в мобилизации налоговых поступлений и практической реализации налоговой политики страны. Такими субъектами являются: государство, которая определяет «правила игры» и собирает налоги; предприниматель, как платильщик налогов и, наконец, потребитель, который несет в себе черты обеих вышеперечисленных субъектов. В статье подчеркнута, что основным направлением налоговой политики является создание благоприятной среды экономического развития страны, которая будет способствовать формированию среднего класса населения, предпосылкой которого всюю очередь является развитие малого и среднего бизнеса. В статье декларируется, что для осуществления последнего, необходимо определить все те интересы и по возможности сбалансировать их в налоговой системе, которые имеют вышеуказанные субъекты. После этого следует идти по пути законодательной реализации налоговой системы. В статье подчеркивается, что помимо перечисленных субъектов, в процессе законодательного совершенствования налоговой системы, необходимо учесть рекомендации международных финансовых организации, в том числе и меморандум, которая заключена с международным валютным фондом. Последняя является необходимым условием нормализации отношения странами-партнерами Грузии.

Tamar Akhbaridze
Georgian Technical University
77, Kostava, 0110, Tbilisi, Georgia

Tamar Akhbaridze
Georgian Technical University
77, Kostava, 0110, Tbilisi, Georgia

საგადასახადო სისტემა
საგადასახადო სისტემა

საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფის ბზები საქართველოში

ჯანდრი ზარანდია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოხუმის ფილიალი
0105, თბილისი, გრიგოლ აბაშიძის ქ. 12*

შემოვიდა: 2003 წლის 20 მაისს

რეზიუმე. სტატიის მიზანია „საბიუჯეტო ფედერალიზმის“, როგორც მრავალასპექტიანი და რთული მექანიზმის კვლევა და მის საფუძველზე „ცენტრსა“ და „რეგიონს“ შორის ფუნქციონირება და უფლებამოსილებათა გამიჯვნა. ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების შრომების ანალიზის საფუძველზე ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება მისი განსაზღვრის მეთოდოლოგიის სრულყოფაზე. ავტორი ეთანხმება მეცნიერ-ეკონომისტთა იმ მოსაზრებას, რომლებიც ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე იზიარებენ საბიუჯეტო ფედერალიზმის კოოპერაციულ მოდელს. ჩამოყალიბებულია დონისძიებები, რომელიც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე „მეტი ფუნქციების“ დელეგირების გათვალისწინებით საბიუჯეტო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. გამახვილებულია ყურადღება „ცენტრსა“ და „რეგიონს“ შორის საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობების სწორად გამიჯვნაზე, რაც ქვეყნის შიგნით და გარეთ რეგიონთაშორისი ინტეგრაციის ახალი პრინციპებით წარმართვას შეუწყობს ხელს.

* * *

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების ამოცანათა შორის სულ უფრო

მზარდ მნიშვნელობას იძენს საბიუჯეტო ურთიერთობების, კერძოდ კი საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფის საკითხები.

„საბიუჯეტო ფედერალიზმი“, ისევე, როგორც პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ახლად დამკვიდრებული სხვა მრავალი ტერმინი სხვადასხვა ავტორების მიერ არაერთგვაროვნად განიმარტება. ყველაზე ხშირად ამ ტერმინის გამოყენებით ახასიათებენ ფინანსური დეცენტრალიზაციისა და ტერიტორიული წარმონაქმნების თვითმყოფადობის სხვადასხვა ასპექტებს. ამასთან, პირველ რიგში „საბიუჯეტო ფედერალიზმი“ გაიგივებულია ბიუჯეტთაშორის ურთიერთობებთან, მეორე რიგში გულისხმობს დასახელებული ურთიერთობების სუბიექტების არსებობას ერთიანი „ცენტრისა“ და „რეგიონის“ ფორმით, ხოლო მესამე რიგში კი თვით ეს ურთიერთობები მოქცეულია ფედერაციის სუბიექტების საზღვრებში (არ ვრცელდება ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემებზე).

ცნობილი რუსი რეგიონალისტი, აკადემიკოსი ა. გრანბერგი მიიჩნევს რა სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირების ქმედით ბერკეტად საბიუჯეტო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას, „საბიუჯეტო ფედერალიზმს“ ახასიათებს, როგორც ცალკეული დონის ბიუჯეტების ავტონომიურობისა და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების შეხამებას.

აღნიშნულ პრობლემებზე მსჯელობისას რეგიონალისტი პროფესორი ე. ბარათაშვილი საკვანძო მომენტად მიიჩნევს საფინანსო დამოუკიდებლობის გარანტიებს, საბიუჯეტო ფედერალიზმის უზრუნველყოფას, რომელიც აძლევს რეგიონს იმის საშუალებას, რომ დამოუკიდებლად გადაწყვიტოს სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები. აგრეთვე, ეკონომისტები იყენებენ ტერმინს „საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი“ იმისდა მიუხედავად, თუ სახელმწიფო როგორია მოწყობის თვალსაზრისით – ფედერაციული თუ უნიტარული.

ცნობილი პროფესორი ვლ. პაპავა ამ მიმართულების ანალიზისას აღნიშნავს: „საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი“ მოიცავს ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო მოწყობის ორივე მხარეს: ერთის მხრივ არეგულირებს საგადასახადო შემოსავლუ-

ბის, ხოლო მეორეს მხრივ კი სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი ხარჯების განაწილებას ქვეყნის ცენტრალურ („ცენტრსა“) და ტერიტორიულ („რეგიონებს“) სახელისუფლო სტრუქტურებს შორის. ფედერაციული სახელმწიფოს პირობებში „რეგიონებიდან“ ცალკე გამოიყოფა ფედერაციის სუბიექტები, რომელთაც პირობითად ვუწოდოთ „ფედერაციული რეგიონები“.

„საბიუჯეტო ფედერალიზმის“ არსის თაობაზე ცნობილი რეგიონალისტებისა და მეცნიერ-ეკონომისტების ზემოაღნიშნული განმარტებების განზოგადების გათვალისწინებით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნა: „საბიუჯეტო ფედერალიზმი“ (საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი) მრავალსაქტიანი და შესაბამისად, რთული მექანიზმია, რომლის ძირითადი მიზანია „ცენტრსა“ და „რეგიონს“ შორის ფუნქციათა და უფლებამოსილებათა გამიჯვნის კვალობაზე (ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე „მეტი ფუნქციების“ დელეგირების გათვალისწინებით) ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ამდენად, „საბიუჯეტო ფედერალიზმის“ პირობებში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამი ძირითადი პირობა:

– ხელისუფლების ყველა დონეს შორის უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნა საფინანსო რესურსების განკარგვაზე (ხარჯვაზე);

– სხვადასხვა სახელისუფლო დონეებისათვის მინიჭებული (გადაცემული) უფლებამოსილებათა რეალიზაციისათვის, მათი შესაბამისი საფინანსო რესურსებით უზრუნველყოფა;

– სხვადასხვა დონის ბიუჯეტების დისბალანსის შერბილება ბიუჯეტთაშორისი ტრანსფერტების გამოყენებით, მკაფიოდ განსაზღვრული ნორმების (წესების) ფარგლებში.

ტერიტორიული (რეგიონული) სამართლიანობის პროცეპის დაცვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბიუჯეტო ფედერალიზმის ტიპის ამორჩევაზე. ამ თვალსაზრისით მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული საბიუჯეტო ფედერალიზმის ორი ძირითადი ტიპი: კონკურენტული (დეცენტრალიზაციის) და კოოპერაციული.

როგორც პრაქტიკა და მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს კონკურენტული (დეცენტრალიზებული) მოდელი წარმატებით გამოიყენება ისეთი ტიპის ქვეყნებში, როგორცაა აშშ და სხვ. ხოლო კოოპერაციული მოდელი კი სკანდინავიის ქვეყნებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და სხვა ქვეყნებში.

ამდენად საბიუჯეტო ფედერალიზმის მოდელის არჩევასთან დაკავშირებული გარკვეული წინააღმდეგობებისა, კოოპერაციული მოდელისათვის დამახასიათებელი რეგიონული ხელისუფლების ფართე მონაწილეობა ეროვნული შემოსავლების გადანაწილებისა და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესში, და აქედან გამომდინარე სხვადასხვა საბიუჯეტო დონეებს შორის მჭიდრო ურთიერთანამშრომლობის უზრუნველყოფა შეიძლება მივიჩნიოთ (ჩავთვალოთ) ჩვენი ქვეყნის განვითარების დღევანდელი მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან წინაპირობად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ სრულად ვიზიარებთ და მხარს ვუჭერთ გარდამავალი პერიოდის აღიარებული მკვლევარის პროფესორ ნ. ჭითანავას პოზიციას იმის შესახებ, რომ: „საქართველოში საბიუჯეტო ფედერალიზმის მოდელის კოოპერაციული ტიპი (მისი სხვათა ნიშან-თვისებებით, ასევე ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით) გარდამავალ ეტაპზე უფრო მისაღებად უნდა ჩავთვალოთ. რეგიონების (მხარეების, რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ფორმირებების) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებში სრულად უნდა აისახოს შესაბამისი დონეების ბიუჯეტების ფორმირების პრინციპები, მიმართულებები. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პორიზონტალურ გამოთანაბრებას.“

როდესაც საქართველოში საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფის პრობლემებს ვაანალიზებთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვაზოგადოთ არსებული საბიუჯეტო (ბიუჯეტთაშორისი) ურთიერთობების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანი მხარეები.

პირველი – საქართველოს რეგიონებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გარკვეულწილად მოგვარების

საკითხები ტერიტორიული ბიუჯეტების შესაძლებლობების ფარგლებში მეტად არაერთგვაროვანია და მისი განსაზღვრის არსებული მეთოდოლოგია (სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობისა და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ოდენობის გათვალისწინებით) მოითხოვს სრულყოფას.

მეორე - არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული (განსაზღვრული) ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერტების გადანაწილების მეთოდიკა. არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ის რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმები, რომელთა შესაბამისად განისაზღვრება რეგიონებისათვის ტრანსფერტების დიფერენცირებულად გადაცემის ნორმები. ასეთ პირობებში კი „ცენტრს“ საბიუჯეტო ტრანსფერტების მანიპულირების შესანიშნავი შესაძლებლობები ექმნება. ხოლო საბოლოოდ კი საბიუჯეტო ტრანსფერტების არსებული სისტემა უფრო მეტად უწყობს ხელს რეგიონული დისპროპორციების გაღრმავებას, ვიდრე მის ნიველირებას.

ამასთან, აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის პოზიციის შესახებ, რომელიც გვაძლევს იმის იმედს, რომ ეს პრობლემა უახლოეს პერიოდში დადებითად გადაწყდება. კერძოდ: „სერიოზულად დაიხვეწება ე. წ. „სპეცტრანსფერტების“ მოცულობების განსაზღვრისა და განაწილების ამჟამად მოქმედი პროცედურა, რომელიც იზნორირებას უკეთებს ცენტრალური ბიუჯეტიდან ხარჯების პროგრამული დაფინანსების პრინციპების საფუძველზე გაწევას. აქედან გამომდინარე ხსენებული პროცესი რეგიონული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების (საპროგრამო წინადადებების) შერჩევისა და დაფინანსების წესის დამკიცების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის №711 ბრძანებულების შესაბამისად წარიმართება.“

მესამე - ცენტრალური ხელისუფლება არ ფლობს რეგიონების საგადასახადო შესაძლებლობებისა (რეზერვების) და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შესახებ არსებულ რეალურ ინფორმაციას. ამასთან, არ გააჩნია ჩრდილოვანი ეკონომიკის, როგორც არაკრიმინალური ნაწილის ლეგალიზაციის,

ასევე მისი კრიმინალური სეგმენტის მასშტაბების შემცირების რეალურად ეფექტური ბერკეტები.

მეოთხე – საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის ვერტიკალური დაუბალანსებლობის პირობებში, რომელიც დაკავშირებულია სოციალური ხარჯების რეგიონულ დონეზე გაწვევის მზარდ ტენდენციასთან (მით უმეტეს რეგიონების არასათანადო ოდენობით საგადასახადო ბაზის უზრუნველყოფის მდგომარეობაში), ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს პოლიტიკური კონიუნქტურის ზეგავლენით, არაობიექტური გადაწყვეტილებების მიღებას.

თავისთავად ცხადია, რომ საბიუჯეტო ფედერალიზმის არსებულ მოდელს, საქართველოში არც ერთი მეცნიერი და პრაქტიკოსი არ მიიჩნევს სრულყოფილად და საბოლოოდ ჩამოყალიბებულად. მაგრამ, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ფუნქციონირებდა სისტემაში რადიკალური ცვლილებების შეტანა, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო დღემდე ჭიანჭურდება.

თუმცაღა, დღევანდელ საქართველოში ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები იღებება. შეიქმნა პირველი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არეგულირებს მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას და მათ კავშირს ცენტრალურ ხელისუფლებასთან. შეტანილია სათანადო ცვლილებები ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის ურთიერთობაში, კერძოდ შემოსავლებისა და განაწილების საქმეში, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების ფარგლებში მათ შორის ურთიერთობებს აწესრიგებს. ამასთან, ქვეყანაში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც აღმასრულებელი ორგანოები, როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეებზე არღვევენ საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებს – კუთვნილი საბიუჯეტო ასიგნებების საერთოდ მიუღებლობა, მათი დაგვიანებით ან ნაწილობრივ მიღება, მიზნობრივი ფინანსური რესურსების არამიზნობრივად ხარჯვა და მრავალი სხვა.

მთლიანობაში საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტის გაშლილი სტრუქტურა, ნახაზის სახით შეიძლება წარმოდგინოთ შემდეგი სახით (იხ. ნახაზი 1):

ზემოთ აღნიშნული საბიუჯეტო სისტემა მოიცავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების (მათ შორის ქ. თბილისის), სრულიად დამოუკიდებელ ბიუჯეტებს. 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად საქართველოში ფუნქციონირებს 900-მდე სხვადასხვა სახისა და დონის ბიუჯეტი. ჩამოყალიბებული საკრებულოების საქმიანობის პრიორიტეტს ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა, დამტკიცება და საბოლოო ანგარიში წარმოადგენს.

ტერიტორიული ერთეულების შემოსავლების გამოყენების საკითხს, გარდა მიზნობრივი ტრანსფერებისა და სხვა დონის ბიუჯეტებიდან გადაცემული სესხებისა, ადგილობრივი ორგანოები წყვეტენ დამოუკიდებლად. ამასთან, საქართველოს კანონით „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ“ ადგილობრივი შემოსავლების წყაროები 2000 წლამდე იყო მოგების გადასახადის 60 პროცენტი და საშემოსავლო გადასახადის აგრეთვე 60 პროცენტი, ხოლო 2001 წლიდან კი აღნიშნული გადასახადებიდან ადგილობრივი ბიუჯეტებში 85 პროცენტი რჩება, რაც უდაოდ დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ოპტიმიზაციას. ამჟამად ურთიერთობები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტსა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის რეგულირდება საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების საშუალებით. ტერიტორიულ ბიუჯეტებში მთლიანად ჩაირიცხება შემოსავლები ისეთი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან, როგორცაა:

ღირებულ შემოსავლად ითვლება. ამგვარად საქართველოს სახელმწიფო ფინანსების სისტემა მრავალი ნაკლით ხასიათდება.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე, საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფა-დამკვიდრების თვალსაზრისით, შესაძლებელია გარკვეული ღონიძიებების განხორციელება. იმ პირობებში, როდესაც შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის მოქცეული საგადასახადო ადმინისტრირების სფეროში, ზემოსსენებულ საკითხთან მიმართებაში შეიძლება შემუშავდეს სტიმულირების სისტემა. კერძოდ:

- თითოეულ რეგიონთან მიმართებაში ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის და აქედან გამომდინარე, ტრანსფერის მოცულობის პროგნოზირებისას შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას საგადასახადო შემოსავლების მობილიზების წინა წელს მიღწეული დონის შენარჩუნება, რომლის ამაღლება ირიბი გზით ადგილობრივი ხელისუფლებისათვის დამატებითი ფინანსური შესაძლებლობების მიღების ტოლფასი იქნება;

